საერთო გაზეთი

№42 (500) • 21 ნოემბერი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

საზოგადოებას, ამ გაჭირვების ფონზე, მაქსიმალური გრძნობადობა უნდა ჰქონდეს იმისა, რომ ეს არის მისი ხელისუფლება

საქართველოს მთავრობის ისტორიული გადაწყვეტილება - 600 000 მოქალაქეს საბანკო დავალიანება გაუნულდება

სააკაშვილო, იდიოტი ხარ და ვერ ხვდები, თორემ შენ სწორედ იმ გლდანის ეკლესიის დარბევამ მოგიღო ბოლო, დღეს რომ ფარდულს ეძახი!

ყველა გავერთიანდეთ და მხარი დავუჭიროთ სალომე ზურაბიშვილს, რადგან ამით ჩვენი შვილების მომავალს ვუჭერთ მხარს

ახლაც ის ხდება, რაც აფხაზეთსა და ქვემო ქართლში უკვე მოხდა - რუსეთი „ნაცმოძრაობის“ და ვაშაძის ხელით საქართველოს დაპყრობას ცდილობს, ოღონდ ტანკების გარეშე, არჩევნების გზით

საქართველოს მთავრობის ისტორიული გადაწყვეტილება – 600 000 მოქალაქეს საბანკო დავალიანება გაუნულდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის განცხადება

დღეს მინდა გაგაცნოთ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომელიც მძიმე ტვირთს მოუხსნის ასობით ათას ოჯახს.

ყველანი ვთანხმდებით, რომ ჭარბვალიანობის დაძლევის გარეშე სიღარიბის დამარცხება წარმოუდგენელია. ამისი ნათელი დასტურია იუნისეფის ბოლო კვლევაც, რომელმაც პირდაპირ მიუთითა ჭარბვალიანობასა და სიღარიბეს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე და ცხადჰყო, რომ ჭარბვალიანობის ტვირთი იმდენად მძიმეა ბევრი ქართული ოჯახისთვის, რომ უარყოფით ასახვას ჰპოვებს ბავშვების და მოზარდების განვითარებაზე.

ეს პრობლემა წლების მანძილზე ბორკილებად ედო ჩვენს საზოგადოებას და დღეს თითქმის 700 000-ზე მეტი მოქალაქე იმყოფება ე.წ. შავ სიაში, რის გამოც, პრაქტიკულად, მოკლებულია სრულფასოვანი ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობას.

ამ გამოწვევაზე პოლიტიკაში მობრუნებისთანავე გაამახვილა ყურადღება ჩვენი პარტიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა.

ამაზე ვსაუბრობდი მეც, ჯერ კიდევ ფინანსთა მინისტრად მუშაობის პერიოდში და ახალი მთავრობის დამტკიცების დროსაც საქართველოს პარლამენტში და შემდეგ უკვე მთავრობის სხდომაზე დავდეთ პირობა, რომ წლის ბოლომდე გადავდგამდით პრინციპულ ნაბიჯებს ე.წ. შავი სიის პრობლემის მოსაგვარებლად.

მინდა გითხრათ, რომ მიმდინარეობდა ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებები და მოხარული ვარ, რომ როგორც საბანკო, ასევე არასაბანკო სექტორის უდიდესმა ნაწილმა და მათ შორის ეგრეთ წოდებულმა სესხების ამომღებმა ბიუროებმა გაიზიარა ჩვენი პრინციპული პოზიცია, გამოიჩინა მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა და მივედით გადაწყვეტილებამდე, რომელიც შვებას მისცემს ასობით ათას ოჯახს.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“. რომ არა ფონდის მხარდაჭერა, ამ ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივის რეალიზაცია ვერ მოხდებოდა.

მინდა განვუმარტო საზოგადოებას, რომ შავ სიაში დაფიქსირებული ვალების თითქმის 95% შედგება სესხებისგან, რომელთა ძირი თანხაც ორი ათას ლარს არ აღემატება. საუბარია 600 ათასზე მეტი მოქალაქის ფინანსურ ვალდებულებებზე, ბანკების, ონლაინ ორგანიზაციების თუ სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტების მიმართ, რომელიც ჯამში შეადგენს დაახლოებით მილიარდნახევარ ლარს.

დღევანდელი გადაწყვეტილებით ეს მილიარდნახევრიანი დავალიანება უნულდებათ ჩვენს მოქალაქეებს.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიაში შედის თითქმის 150 ათასი სოციალურად დაუცველი და ათეულობით ათასი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჩვენი მოქალაქე.

მიმდინარეობს მუშაობა მოვალეთა რეესტრის ბაზებზე, ვალების განულების პროცესი დაიწყება 15 დეკემბერს და 31 დეკემბერს დასრულდება. 600 ათასი მოქალაქე და მათი ოჯახები 31 დეკემბრამდე გარანტირებულად ამოვა მოვალეთა რეესტრიდან და ვალების გარეშე შეხვდება ახალ წელს.

ამ 600 ათასი მოქალაქის ვალდებულების განულების შესახებ შეთანხმება უკვე მიღწეულია, თუმცა მუშაობა გრძელდება და სხვა ფინანსური ორგანიზაციების მიერ ჩვენს ინიციატივასთან შემოერთების პარალელურად ვალებისგან გათავისუფლებულ მოქალაქეთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მწვავე გამოწვევად რჩება ე.წ. მევახშეობით უსამართლოდ დაზარალებული მოქალაქეების პრობლემა. მინდა გითხრათ, რომ ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ და ვიმედოვნებ, რომ დადებით შედეგს ამ ნაწილშიც მივაღწევთ.

ჩვენი მიდგომაა, ჭარბვალიანობა, როგორც რისკი და მძიმე ტვირთი ზოგადად იქნას დაძლეული. შესაბამისად გავაგრძელებთ მუშაობას, რომ მოქალაქეებს თავისი შემოსავლის უდიდესი ნაწილი არ მისდიოდეთ ვალების მომსახურებაში და ზოგადად, ვალების მომსახურების კოეფიციენტი გავუტოლოთ ჯანსაღ საერთაშორისო პრაქტიკას.

ჭარბვალიანობის აღმოფხვრა არის სიღარიბის დამარცხების წინაპირობა. დღეს გაცხადებული გადაწყვეტილება საშუალებას მისცემს ასეულობით ათას ჩვენს თანამოქალაქეს სრულფასოვნად ჩაერთონ ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, რაც უფრო მდგრადს გახდის ჩვენს ეკონომიკას, ხოლო საბანკო-საფინანსო სექტორს უფრო ჯანსაღს.

ჩვენი პოლიტიკური გუნდისთვის ადამიანი იყო, არის და იქნება მთავარი ფასეულობა.

„საერთო გაზეთის“ კომენტარი:

ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ გაგვაოცა თავისი უპრეცედენტო მასშტაბის ქველმოქმდებით და 600 000 ადამიანის საბანკო დავალიანების დაფარვა თავის თავზე აიღო.

ბანკების მიერ წლების განმავლობაში შავ სიაში ჩაკეტილი და მძევლებად აყვანილი ყველა მიმართულებით გზამოჭრილი 600 000 ადამიანი, ამიერიდან, თავისუფალია და ახალ წელს ვალების გარეშე შეხვდება.

რა უნდა იყოს ამაზე უფრო სასიხარულო ამბავი ქვეყნის ცხოვრებაში — საქმე ხომ ჩვენს გაჭირვებულ თანამემამულეებს, ჩვენს სისხლსა და ხორცს ეხება და თუ მთლად წყალწაღებული ნაძირალა არ ხარ, ეს ამბავი, ცხადია, უნდა გიხაროდეს, მაგრამ ის, რაც მთელი ერისთვის მართლაც საზეიმო მოვლენაა, „ნაცმოძრაობისთვის“ გლოვისა და მწუხარების საგნად იქცა.

„ნაცმოძრაობა“ შოკშია და დამბლადაცემულივით ლუღლუღებს: არ დაიჯეროთ, ივანიშვილი გატყუებთო.

„ნაცმოძრაობას“ მისი სატელიტი რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია აჰყვა და განგაში ატეხა: ყველაფერი ეს ამომრჩეველთა მოსყიდვას ჰგავსო.

არა, ძვირფასო ასო-ებო, ეს არ არის მოსყიდვა — მოსყიდვის კლასიკური მაგალითი ის იყო აგერ, სულ ახლახან, „ნაცმოძრაობა“ ხელშეკრულებებს რომ აფორმებდა მოსახლეობასთან და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ვალების დაფარვას, სახლების გამოსყიდვას და სახლების აშენებას რომ ჰპირდებოდა.

ასო-ებს მაშინ ხმა არ ამოუღიათ, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, სინამდვილეში ვისი ასო-ები არიან ეს სინდისგარეცხილები.

— „ქართულმა ოცნებამ“ ჩვენ მოგვპარა ეს იდეა. გუშინ თუ გუშინწინ რომ დავაანონსეთ, ის იდეა მოგვპარაო, — წიკვინებენ ნაციონალები.

გუშინ და გუშინწინ კი არა ნახევარი წლის წინათ დაიწყო ამ თემაზე საუბარი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ და რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო საბანკო სექტორში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ნახევარი წლის წინათ პოლიტიკაში დაბრუნებისთანავე ისაუბრა ამ საკითხებთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილმაც, რომელმაც პირდაპირ განაცხადა: არ შეიძლება ამის მოთმენა, ორმა ბანკმა გადაჭამა მთელი ქვეყანაო.

თუმცა არის ერთი გარემოება, რაზეც ამომრჩეველი განსაკუთრებით ვაშაძის, ანუ „ნაცმოძრაობის“ ამომრჩეველი აუცილებლად უნდა დაფიქრდეს.

გამორიცხულია ეს ამბავი, მაგრამ, ვთქვათ და, რომ გაპრეზიდენტდეს ვაშაძე, ის ამ მილიარდნახევრის გადამხდელი რომ არ არის, ხომ ფაქტია, მისი შეფიც, სააკაშვილიც, როგორც თვითონ ამბობს, ჯიბექესატადაა, თუმცა, არაუშავსო, ირწმუნება მიშა — თქვენ გრიშა აირჩიეთ პრეზიდენტად, მერე მე ჩამოვალ და იმ მილიარდნახევარს სასწრაფოდ მოვატანინებ ივანიშვილს და ვალებსაც გაგინულებთო.

არ გეგონოთ, ვხუმრობდეთ, სიტყვასიტყვით ასე თქვა სააკაშვილმა ამ ორიოდე დღის წინათ.

არა, არ იქნება ამ კაცის გამოსწორება — ხომ ხედავთ, ისევ წართმევაზე, დაყაჩაღებაზე, წაგლეჯაზე უჭირავს თვალი.

კი, მაგრამ, ყაჩაღი და ბანდიტი რაში გვჭირდება ივანიშვილთან „შუამავლად“, როცა ეს ადამიანი თავისი ნება-სურვილით და თავისი ინიციატივით აპირებს თანამემამულეებისთვის ხელის გამართვას, როგორც ეს ათასჯერ გაუკეთებიათ მანამდეც.

რაც შეეხება ბანკებს, რაკი ყინული დაიძრა და საბანკო სექტორში რეფორმები დაიწყო, ეს პროცესი მხოლოდ შავი სიების გაუქმებით და მოქალაქეთა ნაწილისთვის ვალების ჩამოწერით არ დამთავრდება.

„საერთო გაზეთი“

®

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

საზოგადოებას, ამ გაჭირვების ფონზე, მაქსიმალური გრძნობადობა უნდა ჰქონდეს იმისა, რომ ეს არის მისი ხელისუფლება

ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ მოუხაზა „ნაცბანდას“!

ალბათ, სულ რაღაც ორი-სამი თვის წინ ბიძინა ივანიშვილი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ამდენი ბრძოლა დასჭირდებოდა, ამდენი ხარჯის გაღება მოუხდებოდა და მეტიც, ნოემბრის შუა რიცხვებში ტელე „იმედის“ ეთერში ისევ მოუწევდა ბოდიშნარევი მტკიცება, რომ ხალხი სამართლიანად არის გაბრაზებული. გრძნობადობა არ იყო პარტიაში, მთავარი გუნდი მოსწყდა ხალხსო. იქამდე მიმიყვანეს, რომ მეც კი გამამწარეს და გამომიყვანეს მწყობრიდან, მკაცრი საუბრები მქონდა, წინასაარჩევნო კვლევებიც კი ვერ ჩაატარეს ხეირიანად, რა ცდომილებაც იყო, თავად ნახეთო. რასაკვირველია, ბიძინა ივანიშვილი ვერ წარმოიდგენდა, თუ მეორე ტურის წინა დღეებში თეონა გეგელიას და ნიკა ლალიაშვილის წინაშე მოუწევდა თავის მართლება. არადა, ამ კაცს არაფერი აქვს საბოდიშო და თავის გასასამართლებელი, ამდენი სიკეთე ქვეყნისთვის არავის გაუკეთებია. ჩვენ არ უნდა ვიყოთ უმადურები, როგორც ბატონი ბიძინა ამბობს, ყველაფერს უნდა დავარქვათ თავისი სახელი.

ბიძინა ივანიშვილის ახალი იდეა: აღარ არის ყალბი გუნდურობის დრო, მხოლოდ ერთგულებაზე ორიენტირება არ არის სამართლიანი. ჩვენ გვჭირდება მხოლოდ პროფესიონალები. იმედია, პროფესიონალები მხოლოდ „ნაციონალები“ არ აღმოჩნდებიან.

ივანიშვილის აზრით, ძალიან ცუდია, რომ დღეს ბრძოლა ისევ მიდის თეთრსა და შავს შორის. „ოცნებას“ არ ჰყავს ღირსეული ოპონენტი, „ნაცმოძრაობა“ არის დესტრუქციული ძალა. სწორედ ამიტომ დაიწყო რღვევის პროცესი „ქართულ ოცნებაში“. დიახ, მმართველმა ძალამ უნდა შეძლოს, რომ სიცრუის მძევლად არ დატოვოს მოსახლეობა, ანუ „რუსთავი 2“-ის მძევლად. ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნათლად და ჯანსაღად აფასებს მოვლენებს, ეს კი იძლევა იმის იმედს, რომ მეორე ტურის შემდეგ ყველაფერი სხვანაირად იქნება.

რაც შეეხება 600 ათასი ვალჩამოწერილის ხსენების დღეს, ანუ მთავრობის გადაწყვეტილებას, მისი აზრით, ხალხს უნდა შევუმსუბუქოთ ყოფა. ეს პროცესი გაგრძელდება ადგილობრივი მმართველობების დონეზე. ესეც მართალია, ხალხზე ზრუნვა არ უნდა იყოს ერთჯერადი. დაქირავებული ხელისუფლება უნდა იყოს მუდმივად აქტიურ რეჟიმში. ბიძინა ივანიშვილი გვარწმუნებს, რომ პარტია და მთავრობა იზრუნებს ხალხზე, ერთ წელიწადში, უფრო ადრე, მე ყველაფერს გავაკეთებ იმას, რაც შესაძლებელია.

ბიძინა ივანიშვილს, როგორც თვითონ ამბობს, შეხვედრა ჰქონია საარჩევნო შტაბების უფროსებთან და უთქვამს, ან იმუშავეთ განსაკუთრებულ რეჟიმში, ან დატოვეთ თანამდებობებიო. მოგეხსენებათ, შტაბების ხელმძღვანელებად არჩევნების წინ ავტომატურად გახდნენ რაიონების მერები. სხვათა შორის, უკვე არის კულუარული ინფორმაცია, რომ მეორე ტურის შემდეგ მერების უმეტესობა დაემშვიდობება თანამდებობას, შესაბამისად, „ბორჯომისა“ და ყავის სმას, აღარაფერს ვამბობ „ნაშებსა“ და რესტორნებზე.

ბიძინა ივანიშვილს არ შეცვლია აზრი „ნაცმოძრაობაზე“. ამ დესტრუქციულ ძალას ძალიან ღრმად ჰქონდა ფესვები საერთაშორისო არენაზე. დღეს ევროპამაც და ამერიკამაც იცის, ვინ არიან ესენი. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ეს ძალა ისევ შემობრუნდეს, ასე დავაბნევთ საერთაშორისო თანამეგობრობას. ესენი ვერ მობრუნდებიან, ამის პირობას გაძლევთ, უბრალოდ ამათი მოქმედება აფერხებს ინვესტიციების შემოდინებას. თუმცა, ნიკა ლალიაშვილის შენიშვნის თანახმად, ყველაფერი მზადაა რევოლუციისთვის. ივანიშვილის თქმით, „ნაცმოძრაობას“ კი აქვს მზად რევოლუციური სცენარი, მაგრამ არ გააჩნია რესურსი, 8 ათას კაცზე მეტის გამოყვანა არ შეუძლიათ. საზოგადოებამ კარგად შეაფასა მოვლენები, როგორ მოვახერხეთ, რომ ამხელა ნდობა აქამდე მივიყვანეთ? ხალხი ნაწყენია, მაგრამ არა გაბრაზებული. ზუსტი შეფასებაა, ხალხი ნაწყენია და არა გაბრაზებული. დასკვნა, რევოლუციის „მამებს“ აქვთ სურვილი, მაგრამ არ აქვთ რესურსი და დასავლეთის მხარდაჭერა.

ბიძინა ივანიშვილი მოუწოდებს მოსახლეობას, ყველა გამოვიდეს საარჩევნო უბნებზე, ნუ

ჩვენს მოსახლეობას, ჩვენ ამას არც ვმალავდით, დღესაც კარგად ვაცნობიერებთ, რომ ასეთი ეკონომიკა გვაქვს, როგორიც გვაქვს. ჩვენ ღარიბი ეკონომიკა გვაქვს, ჩვენ ღარიბ ქვეყნებში გავდივართ და ამ დროს ხელისუფლებას მართებს განსაკუთრებული მცდელობა იმისა, რომ საზოგადოებას ამ გაჭირვების ფონზე მაქსიმალური გრძნობადობა უნდა ჰქონდეს იმისა, რომ ეს არის მისი ხელისუფლება, რომ ეს მის განცდებშია და მაქსიმუმს აკეთებს იმისთვის, რომ მათ ყოფა შეუმსუბუქოს“.

როგორც ხედავთ, ივანიშვილს გაცილებით ადრე სცოდნია იმ პრობლემების შესახებ, რამაც მეორე ტურამდე მიგვიყვანა. მე ხშირად ვამბობ ხოლმე, ზოგი ჭირი მარგებელია-მეთქი, ალბათ სხვანაირად „ქართული ოცნება“ ვერც გამოცოცხლდებოდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს კრახით დაასრულებდა. ეს იქნებოდა მოულოდნელი კატასტროფა ქვეყნისთვის. იგივე გაიმეორა ბიძინა ივანიშვილმაც — ზოგი ჭირი მარგებელია:

„აშკარად ჩანს, რომ გუნდმა დაკარგა გრძნობადობა ხალხთან ურთიერთობის. გაჩნდა ბზარი ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. ამას მრავალგვარი მიზეზები აქვს, მე ყველას არ ჩამოვთვლი. ერთ-ერთზე გეტყვით, რომ გუნდი, რომელიც ხელისუფლების ყველა რგოლს და ყველა შტოს ფლობს, როგორც წესი, თვითდაჯერებულობა ემატება, ერთ-ერთზე გავაკეთებდი მე მახვილს, რომ ზედმეტი თვითდაჯერებულობა ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, როგორც ვითარდებოდა და როგორც ხდებოდა ურთერთობა საზოგადოებასთან. ამის კარგი გამოხატულება გახლდათ თუგინდ ის, რომ პირველ ტურში შედეგებს, რასაც ველოდებოდით და რაც თქვენს კითხვაშიც ჩანს, მე ვიყავი ჩართული რა თქმა უნდა, მაგრამ ისევ ძველ გუნდზე და ძველ ინფორმაციაზე დაყრდნობით. იმ დონეზე იყო გუნდი დარწმუნებული საკუთარ ძალებში, რომ კვლევებიც კი პროფესიონალური არ ჩაუტარებია თ. რეალურად პარტიული რესურსით ახერხებდნენ კვლევების ჩატარებას და ასეთი ცდომილება, ეს იყო სირცხვილი. ის, რასაც ელოდნენ, ეგზიტპოლების შედეგების შემდეგ მეც კი გამომიყვანეს მწყობრიდან, ეს იყო სირცხვილი. ძალიან მკაცრი საუბარი მქონდა ამის შემდგომ და არათუ გრძნობადობა, მოლოდინი ჰქონდათ აბსოლუტურად აცდენილი რეალობასთან. 14% სხვაობა სირცხვილია, ამას კვლევა აღარ ქვია, დამეთანხმებით. ძირითადზე ვსაუბრობ მე. მე კარგად დავინახე, ვხედავდი, ზოგი ჭირია მარგებელია, მე ძალიან მიყვარს ეს გამონათქვამი. თვითონ გუნდმაც მიიღო ცივი შხაპი და ყველაზე სასიამოვნო რაცაა, დავინახეთ რომ თურმე საზოგადოება აფასებს, როგორ იქცევი და მათ გააკეთეს შესატყვისი რეაქცია“.

აი, ეს გახლდათ ძირითადი შინაარსი ამ ინტერვიუსი. რაღა დაგიმალოთ და... მე პირადად კმაყოფილი დავრჩი იმის გამო, რომ ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ მოუხაზა „ნაცბანდელებს“. პრინციპში, ამას მოხაზვა კი არა, „მოყომარება“ უფრო ჰქვია. ისე, ვერც იმას დაგიმალავთ, რომ ბატონმა ბიძინამ საკუთარ გუნდსაც კარგა გვარიანად მოუხაზა. ეს კი, გამოგიტყდებით და უფრო სასიამოვნო იყო...

გელა ზედელაშვილი
ტელ: 555 48 48 61

®

რეზო ამაშუკელის მიმართვა ერსა და საზოგადოებას

თავიდანვე მინდა განვაცხადო: იმ რეზოლუციას, რომელიც „პატრიოტთა ალიანსმა“ წამოაყენა და რომელსაც უკვე 300 000-მა ადამიანმა მოაწერა ხელი, თუ არ დაეთანხმება და ხელის მოწერით არ დაადასტურებს ამ ქვეყნის მოყვარული ნებისმიერი ადამიანი, მწერალი იქნება, ხელოვანი თუ სხვა ვინმე, ეს იქნება ღალატი. მერე სიები უნდა გამოქვეყნდეს იმათი, რომლებიც აქეთ-იქით დახტიან პოლიტიკური ამინდის მიხედვით. ერმა უნდა იცოდეს, ვინ ვინ არის.

ბოლოს და ბოლოს, უნდა დადგეს განწმენდის დრო.

უცოდველი არავინ არაა, მაგრამ ვინაც ისეთი ცოდვები ჩაიდინა სამშობლოს და ერის მომავლის წინაშე, რაც „ნაცმოძრაობამ“ და მისმა განშტოებებმა, სათანადოდ უნდა იქნას შეფასებული.

თუ ხელისუფლება ამ არჩევნების შემდეგ ისევ გააგრძელებს კოჰაბიტაციურ ფორმაში ურთიერთობას ამ ნაძირლებთან, პირველი მე ვიქნები, ვინც მათ გადაეღობება.

დღეს ვითარება ასეთია: „რუსთავი-2“-ის სათაო ოფისმა ტვ I-ში გადაინაცვლა. მე მათ „პირგველები“ დავარქვი. ამჟამად არ მოვყვები თითოეული მათგანის დახასიათებას, მაგის დროც მოვა, მაგრამ მთელი ერის საყურადღებოდ ვაცხადებ — თუ ჩვენ არ შევისწავლეთ საქართველოში არსებული ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა — საიდან ფინანსდებიან და რა მიზანს ემსახურებიან, იგივე წრეზე მოგვიწევს სიარული, რაზეც დავდივართ ბოლო რამდენიმე ათეული წელია.

ამხანაგი გრიშა, რომელიც „ობრაზცოვის კუკლას“ ჰგავს, თავის დროზე, 10 წლის წინ მე „მოვნათლე“ და დავარქვი „ტარაკან პრუსაკი“. გიჟი-გადარეული და საქართველოს მტერი, სისხლისმსმელი საკაშვილი და ეს „ტარაკანა“ ერთი კაცის თოჯინები არიან და ეს კაცი გახლავთ თემურ ალასანია, რომელმაც თავის დროზე გამოჩორკნა მიშა თავისი ხელით, როგორც პაპა კარლომ ბურატინო. დანარჩენი ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციონერებიც ყველანი თემურ ალასანიას თოჯინები არიან.

პირი არავინ არ გააღოს და არ გაბედოს ხმამაღლა იმის თქმა, რომ ესენი არიან გაერთიანებული ოპოზიცია, ესენი გახლავან 11 თითო-ოროლა კაცისგან შემდგარი ჯგუფები.

ოპოზიციის ზოგიერთ ყმაწვილს, ძმა რომ გაუთხოვდა ამერიკაში, თვითონაც რომ წაეთრიოს, უკეთესია, მოშორდება აქაურობას.

ვინც იმას ამბობს, რომ უნდა დაისაჯონ რაიხსფიურერები და ა. შ. რასაკვირველია, მე ამას ვეთანხმები! მე ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებ იმ მოსაზრებას, უნდა დაისაჯონ ქალბატონი გურგენა დონაძე და ის ვითომ ჟურნალისტები და ვითომ მოღვაწეები, უფროსი დაიკო ლევან ბერძენიშვილი და გურუც. თავი და თავი ყველა უბედურების. თუ ჩვენ დავიწყეთ იმაზე ლაპარაკი, რომ ისინიც ქართველები არიან და ჩვენები არიან, ხომ გახსოვთ, „ამოითხარე თვალი იგი მაცდუნებელი“. თუ ბოლომდე არ იქნება სულიერი განწმენდა, ჩვენ არაფერი გვეშველება.

დროა, გამოფხიზლდეს საქართველო, თავი დავანებოთ პრანჭიაობას და ვითომ იურიდიულ მარკერებს. მივხედოთ ჩვენს ქვეყანას და ჩვენს მომავალს.

კიდევ ერთხელ ვაცხადებ: ჩვენ რომ მეტად თავმოყვარეები ვიყოთ, პირველ რიგში, ზურაბ ჯაფარიძე უნდა გამოვათრიოთ და ხეზე დავკიდოთ თავისი იმ ამფსონებით, რომლებმაც შარვლები ჩაიხადეს და ეპატიჟებიან რუსებს. ნუ დაემგვანება ერი „გირჩის“ შარვალჩახდილ პეტუხებს, თორემ ღმერთი დაგვსჯის აუცილებლად.

დღეს საუბარი არ არის რომელიმე პარტიულ კუთვნილებაზე. ლაპარაკი არაა პარტიკულარულ ურიერთობებზე. აქ საუბარია ერის მომავალზე, მის ბიოლოგიურ გადარჩენაზე. მე არავის არ ვაშინებ. მთელი ჩემი ცხოვრება, ყველა ჩემი სტატია და გამოსვლა ბოლო ხანებში იწყებოდა იმით, რომ ვამბობდი: დაეპატიმრეთ ბოკერია.

ამას იმიტომ ვამბობდი, რომ, ეს არის განზოგადებული სახე იმ საშინელების, იმ ბინძური რეჟიმის, რომელსაც წარმოადგენდა თვითონ გიგა ბოკერია.

მივმართავ თბილისელებს, გავიხსენოთ, ვინ წამოაყენა „ნაცმოძრაობამ“ თბილისის მერის კანდიდატურაზე.

ცალტვინა იდიოტი აყუდებული ბუტაფორია უდუმაშვილი, ეს არის კაცი, რომელიც მთელმა საქართველომ ნახა, როგორ ეხვეოდა საქართველოს აოხრების მთავარ დირიჟორს იგორ შკლიაროვს.

ახლა კახა კალაძეს უმიზნებენ, რომ მოაცილონ ხელისუფლებას.

მტრების ჯინაზე კახა კალაძე მოუხდა ჩვენს ქალაქს. ყველანაირად ცდილობენ საკაშვილის ლეკვები, რომ მასაც მიაყენონ ჩრდილი. მაგრამ ვერ მივართვით. კახის გვერდით მთელი თბილისი დგას!

მე კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ჩემს ხალხს, ყველას, ვისაც ოდესმე ჩემი სჯეროდა, ან სჯერა — მივიდეთ არჩევნებზე და შემოვხაზოთ ციფრი 48.

საქართველო უნდა გადარჩეს!

ერთი ურემი ხმა რომ მქონდეს, ვაშაძეს ერთს არ ვუწილადებდი...



შორიდან დავიწყებ:

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისის პირველი საპროტესტო აქციის მონაწილე ვარ.

მას მერე მიტინგები თითქმის არ გამიცდენია.

აქვე ვიტყვი: ცუდია, რომ ლუსტრაციის კანონი არა გვაქვს მიღებული. უფრო ცუდია და სირცხვილიც, თუ ვერც ერთმა ხელისუფლებამ ეს ვერ გაბედა!

9 აპრილის შემდეგ ყველაზე სამარცხვინო და ქვეყნისთვის გამანადგურებელი რბევა, ალბათ, 2007 წლის 7 ნოემბრის დღე იყო.

დილით ტელევიზორი ჩავრთე...

სასწაულები მესმის, საშინელებები ხდება...

არ მახსოვს, რით და როგორ მივედი.

ქაშუეთის წინ ვდგავარ და კიდევ არ მჯერა, რაც ხდება...

გაშეშებული ვარ ჩემი ასაკისა და ჭაღარის იმედად...

უცებ დავინახე, სამი ნიღბოსანი მორბის ჩემკენ...

შევბრუნდი, ვიკადრე გაქცევა... ერთი და ორი ხელჯოხი კი არა, გვარიანად მომხვდა ბეჭებში, მარჯვენა ხელი საფეთქელზე ავიფარე და... თითქოს მაჯა წამაცალეს, ერთბაშად მარცხენა მუხლი ბეტონს დავკარი, ეკლესიის შიგნით შევგორდი. რომელიღაც მღვდელმა მტაცა ხელი, წამომაყენა, გრძელ სკამზე დამსვა... სამ-ოთხ წუთში მტევანი გამიშავდა, დამისივდა... ხელისგული გადმომიბრუნეს, სისხლიანი მაქვს, დამსხვრეული ძვალი ლურსმანივით მაქვს ამოსული... უცნობი ქალბატონი ცხვირსახოცით თუ თხელი კაშნეთი მწმენდს სისხლს და მიხვევს...

კარგა ხნის მერე წამოვედი. მშრალ ხიდთან, მშობლიურ „ცისკარში“ ავედი. თანამშრომლები შემომეხვივნენ. დასამშვიდებელ წამლებს მასმევენ, საავადმყოფოში წაყვანა უნდათ. უარს ვამბობ. ერთადერთ სიტყვას ვიძახი — უარესი მხვდება! რატომო? — უკვირთ. თავს ძალად ვიბრუნებ: აბა, ამათგან სხვა რას ველოდი?!. მე ხომ ესენი (ნაციონალები) არც მაშინ მიყვარდა, როცა ხელისუფლებაში არ იყვნენ. რა ნაგვებიც იყვნენ, მაშინაც ვიცოდი! — ლამის ვყვირი.

ტაქსი გამოიძახეს. სახლში გამიშვეს.

თითქმის ორი თვე მკლავი ბინტით მეკიდა მკერდზე.

26 მაისის ღამეს ვინც იქ იყო, ეხსომება, შეღამებულზე, 9–10 საათისთვის საშინელი თავსხმა წვიმა მოვიდა. თავი ვერსად შევაფარე. საშინლად დავსველდი. გადავწყვიტე, უფროს ძმასთან ავსულიყავი ავლაბარში, წელს ზემოთ მაინც გამომეცვალა. იქნებ გაციებას გადავურჩე, — ვფიქრობ. ამ დროს ჩემი უმცროსი, თხუთმეტი წლის ბიჭი მირეკავს, მიტინგზე ხარო? ხო-მეთქი. ახლავე მოდი სახლშიო. მაშინვე გადავწყვიტე შინ წასვლა. დიდი დიღმის ბოლო „მარშრუტკას“ მივუსწარი. სახლში რომ მივედი, უკვე კინო „რუსთაველიდან“ გამოჰყავდათ თავგახეთქილი, ნიკაპებდალეწილი, გაფითრებული და დათრგუნული ადამიანები...

გადავურჩი!.. — რომელს გადავურჩი, ცემას თუ სიკვდილს, ახლაც არ ვიცი.

ბევრს უთქვამს და მეც გავიმეორებ.

იმ ტრაგიკულ 9 აპრილს რუს ჯარისკაცებს გასაქცევი გზა მაინც არ ჩაუხერგავთ... ქართველმა (!) „ნაციონალებმა“ კი ქართველები პირუტყვებივით სასაკლაოზე შერეკეს და გადარჩენის შანსი არ დაუტოვეს.

ნაცებს სინდისის ნატამალი რომ ჰქონდეთ, არც უნდა ფიქრობდნენ უკან მობრუნებაზე!

●

ახლა იმას ვიტყვი, ქალბატონ სალომესთვის წინა ტურში ხმა რომ არ მიმიცია!

მიუხედავად იმისა, ბატონ ჯანრის კარგად ვიცნობდი, „ცისკრის“ ხშირი ავტორიც იყო. ვახლობლობდით. სტუმრადაც ვყოფილვართ მათ ოჯახში, კარგი ფრანგული ღვინო და ყავაც დამილევია... თუმცა მე ჩემს უახლოეს მეგობარს და გულმართალ ქართველ კაცს — ბატონ თემურ შაშიაშვილს მივეცი ხმა.

ახლახან ქალბატონმა სალომემ ბრძანა — დღეს არის არჩევანი ორ საქართველოს შორისო!

ვეთანხმები.

მხარს ვუჭერ!

მის მოწინააღმდეგეს, ბატონ ვაშაძეს, ერთი ურემი ხმა რომ მქონდეს, ერთს არ ვუწილადებდი. რაც შეეხება ქალბატონ სალომეს, ვპირდები, ათ-თხუთმეტ ხმას ოჯახში და საახლობლო-სანათესაოში მაინც მოვიპოვებ მის სასარგებლოდ!

ზაურ კალანდია

P.S.

წინა კვირას ჩემს მშობლიურ ქალაქ ზუგდიდში ვიყავი. ორი-სამი „ბრძოლა“ გადავიხადე; ვიფიქრეთ, ვიკამათეთ... დავრწმუნდი, მეგრელები საღად აზროვნებენ და ფიქრობენ და 28 ნოემბერს სწორ და გონივრულ არჩევანს გააკეთებენ.

ზ.კ.

„სულ ლაშქარსა ვართ, რაც კია!..“

უმადური ერის ტრაგედია და ცოდვამოუნანიებელთა სინდრომი

მე მრცხვენია თუნდაც ივანიშვილის წინაშე! ადამიანს, რომელმაც, ფაქტობრივად, „მორგიდან ამოთხარა ქვეყანა“ და გამოიყვანა გაუგონარი ტირანის ბრჭყალებიდან, ბოდიშს ვახდევინებთ?

სულ ლაშქარსა ვართ, რაც კია — ძუძუს მომწყვიტა დედამა!“ — ამბობს ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ ერთ-ერთი მისტიკური გმირი.

ეს მართლაც ასეა, და ომი ჩვენთვის — ქართველი ერისთვის უწყვეტი პროცესია — ის არასოდეს მთავრდება! და როდესაც გვგონია, რომ დამთავრდა, ის სწორედ მაშინ იწყება; მაშინ დგება ჩვენი „ძილ-ღვიძილის“ და დაღუპვის ხიფათი...

იბერთა ისტორია ომის ისტორიაა, ბრძოლა „ყოფნა-არყოფნისათვის“: არაოდენ ფიზიკური, არამედ ზნეობრივი სივრცის დაცვისთვის, ისტორიული ცივილიზაციის გადარჩენისთვის...

სიტუაცია ახლაც იგივეა — დრამატული მოვლენა მეორდება — ჩვენ ვერც ამირანის მითში დავამარცხეთ დამანგრეველი სატანური ენერგია ბოლომდე და ვერც ახლა.

მოგვეჩვენა, რომ გავიმარჯვეთ, მაგრამ ირკვევა, რომ ეს ასე არ არის!

ქვეყანას გამოუჩნდა ბოროტი მოუნანიებელი ცოდვების განუკურნებელი სენით შეპყრობილი ძალა, „დაუნდობელი ნაცისტური სექტა“, რომელსაც შეუძლია, რომ ყველაფერი უარყოს და სხვას გადააბრალოს. მათ, ფაქტობრივად, აღარ შეუძლიათ თეთრისა და შავის გარჩევა. მათ დაკარგეს მორალი და უმორალოდ იბრძვიან ძალაუფლებისთვის! გაუგონარი უტიფრობით უსწორდებიან პრეზიდენტობის კანდიდატ მანდილოსანს, დახვეწილ, კულტურულ ქალბატონს...

მათთვიც უცხოა „არა იცრუო“, „არა ცილ სწამო“, „არა კაც ჰკლა“... მათ ამოძრავებს მოუნანიებელთა სინდრომი, დანაშაულთა არაღიარების ცოდვა და ასე ხელისუფლებაში შემობრუნებისთვის იბრძვიან.

მათ უნდათ, საზოგადოებამ და „ოცნებამ“ დაივიწყოს მათი გაუგონარი არაადამიანური დანაშაულებები და ცოდვათა დავიწყებულ სამყაროში გვაცხოვრონ. ისტორია, ხალხი ვერასოდეს ივიწყებს წარსულს: ჰეროსტრატების, ნერონების, ჰიტლერების, პილატეების დანაშაულს და ცოდვას, არამც თუ გუშინნდელს — ნაცების ნამოქმედარს!

●

მთავარი მორალია. „კოჰაბიტაცია“, ანუ „ბილწთან ზავით შეკვრის“ სინდრომი მორალის ნგრევა იყო!

„შერიგება ბილწთან“, ბოროტთან თანაცხოვრების იძულება ერისთვის და საკუთარი თავისთვის, ეს იყო „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დანაშაულის ტოლფასი უმძიმესი შეცდომა და სასჯელი ერისთვის, რომლის ისტორიული ცნობიერება (მენტალობა) და ფსიქოლოგია შეუთავსებელია ამ მოვლენასთან!

თუ „კოჰაბიტაცია“ მკვეთრად უარყოფილი არ იქნა, „ოცნება“ ვერაფერს დაალაგებს, ქვეყანა მუდმივ შეუთავსებლობაში და მორალურ რყევაში იქნება. საზოგადოება ახლა მოიგებს ომის ერთ ფაზას, რომელიც ნაცების შეჩერებას და სალომეს გაპრეზიდენტებას გულისხმობს!

მაგრამ ეს ბრძოლაა და ამ ბრძოლის შემდგომი რადიკალური ფაზა თუ არ გაგრძელდა, თუ არ აღმოიფხვრა „ნაციონალ-ფაშისტური“ სექტის შხამიანი ფესვები, ქვეყანა (ერი) კატასტროფას ვერ გადაურჩება!

ამიტომ უსწრაფესად უნდა დაიწყოს ახალი ეროვნულ-პატრიოტული ძალების ჩამოყალიბება 2020 წლის საპარლამენტო დემოკრატიული არჩევნებისთვის... „ოცნებამ“ უნდა იზრუნოს ერის კონსოლიდაციისთვის. უნდა რადიკალურად შეცვალოს საზოგადოებასთან მიდგომის კრიტერიუმები, სწრაფად გაწმინდოს პოლიტიკური სივრცე და „სულიერი ზონები“ ფაშისტურ-ლიბერასტული ელემენტებისგან, მათი უარყოფითი „კარმით“.

დაეჭიროს მხარი „პატრიოტთა ალიანსს“ და დაიწყოს ნაცების პარტიის აკრძალვის საპარლამენტო პროცედურა: ერის წინაშე მათ დანაშაულთა სასამართლო პროცესები...

მიმდინარე მოვლენების ფონზე საზოგადოების ცნობიერება და „გარჩევის“ უნარი წაშლილია — მას შავ-თეთრი, კეთილი და ბოროტი, ანუ, უკეთესი და უარესი აერია ერთმანეთში! მოხდა ფასეულობათა სრული დევალვაცია და ნიველირება. შეიძლება ვიხმაროთ ახალი ცნება (ტერმინი) „ზნეობრივი დალტონიზმი“. საზოგადოებაში „ზნეობრივი დალტონიზმი“ ინერგება...

●

მე მრცხვენია იმ დროის და იმ ვითარების, რომელსაც ქართველთა ერთი ცდუნებული ნაწილი აბრუნებს საქართველოში.

საზოგადოების ეს ნაწილი აღმოჩნდა რევანშისტულ-ობსტრუქტიულ პარტიათა და არასამთავრობო ლიბერასტულ სექტათა მსხვერპლი და სატანისტური (ანტიქრისტიანული, ანტიეროვნული) ტელევიზიების და, კერძოდ, „რუსთავი-2“-ის მძევალი...

საზოგადოება და ხელისუფლებაც მოექცა ყოვლად უტიფარი, ფაშისტურ-ლიბერასტული, ანტიქართული, მაზომბირებელი მასმედიის ძალადობის არეალში.

სიტყვა ცვლის ადამიანთა ფსიქიკას და რწმენასაც კი, როდესაც დღე და ღამ ყურში ჩასჩიჩინებენ სატანისტურ ტექსტებს.

სრულიად წარმოუდგენელია გრიგოლიების, ჟიჟილაშვილების, კვესიტაძე-გვარამიების, სანაია-გაბუნიების თუ ჯანგირაშვილების დაბრუნება ზნეობრივ სივრცეში, მათ მიერ ერისთვის და სახელმწიფოსთვის სასარგებლო, მასტაბილირებელი, პატრიოტული თუნდაც ერთი გადაცემის მომზადება...

ისინი იქცნენ „ფუნაგორიებად“ — ნეხვში ჯდომა და სამწუხაროდ, საზოგადოებისთვის ნერვების წეწვა იქცა მათთვის საარსებო მატერიად და ცხოვრების წესად.

●

მე მრცხვენია თუნდაც ივანიშვილის წინაშე! ადამიანს, რომელმაც, ფაქტობრივად, „მორგიდან ამოთხარა ქვეყანა“ და გამოიყვანა გაუგონარი ტირანის ბრჭყალებიდან, ბოდიშს ვახდევინებთ?

კაცს, რომელმაც XXI საუკუნის „სვეტიცხოველი“ დაუდგა სამშობლოს, გენიალურ ქველმოქმედს და პატრიოტს, მილიარდები რომ დახარჯა თავისი ქვეყნისა და ხალხის გადარჩენისთვის, თავის მართლება და პატიების თხოვნა უწევს უმადური ერისთვის — არაფრისთვის და იმისთვის „რატომ კარგი აგიგიაო!..“

ბოდიშის მოხდა უწევს იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში „კაცი კაცადი„ ვერ ნახა, რომელიც არ უღალატებდა და არ „ჩააფლავებდა“ თვით მის „იმიჯს“ და ღირსებას და საქველო საქმეებს მის მიერ ქმნულს საკუთარი სამშობლოსთვის!..

ეს პრობლემა გვიდგას ჩვენს ყველა სფეროში: „კაცი-კაცადი“ სანთლით საძებარი გახდა...

ამავე პრობლემამ დააქცია ბიბლიური „სოდომი და გომორი“, როდესაც უფალმა 10 კაციც კი ვერ ნახა ღირსეული!..

უნდა ითქვას, რომ არსემომს ამ მხრივ ჩვენს საზოგადოებაში „დეფიციტი“, მაგრამ არსებობს ღირსეულ ადამიანთა ძებნის და პოვნის ნაკლები სურვილიც...

გამაოგნებელია ჩვენი საზოგადოების (ვიტყვი ქართველთა!) უმადურობა!

კაცი მოვიდა და თავი გადადო, რომ ერისთვის მომაკვდინებელი ვირუსი აერიდებინა. ის, ფაქტობრივად, „ქოლერიან“ („ჟამით“ მოოხრებულ) სივრცეში შემოვიდა, სადაც მიწა-წყალი უკვე წართმეული იყო და ერიც აყრილი ამ მიწიდან! ბიძინა ივანიშვილი შემოვიდა „მკვდარ ზონაში“, როგორც მკურნალი შედის ქოლერიან თემში და, რა თქმა უნდა, ადვილი არ აღმოჩნდა მისი გაცოცხლება!..

მკვდარ სხეულში ცოცხალს თუ შეიყვან, რა მოხდება, არავინ იცის: — ცოცხალი წამოაყენებს მას თუ მკვდარი გაიწოვს?!

კაცს, სამების ტაძრის ამშენებელს, ბოდიშის მოხდა რომ უწევს მთელი ერის სივრცეზე ჩაყრილი მილიონებისთვის და ქველობისთვის, სიკეთისთვის, არაერთი განწირული ადამიანის გადარჩენისთვის პატიებას რომ ითხოვს:

— ეს უმორალო და უმადური ქვეყნის თუ ხალხის მახინჯი სულიერი ანომალიაა, სხვა ქვეყანაში ასეთი რამ არ მოხდება, პიგმეების ტომებშიც კი!

მკვდარს რომ „გამოაღვიძებ“ და გამოღვიძებული რომ გეტყვის: „წადი, შენი ასე და ისე, — რატომ გამაცოცხლეო!“ — აი, ასეთი უმადური მკვდრები ვართ ჩვენ და არც არაფერი გვეშველება!

ჩვენ შეგვიძლია ჯერ ვლანძღოთ და ვაგინოთ კაცი, რომელმაც მართლა გადაგვარჩინა და მერე მოვიყვანოთ რუსის გენერალ ალასანიას ქილერები, რომელიც მილიონს იხდის ივანიშვილის მოსაკლავად!..

ზისტად ასე მოვაკვდინეთ ილია მართალი — ერის მამას ჯერ ტალახი ვაყარეთ, მერრე ტყვია და მერე ხელისუფლებაში ორჯონიკიძეები მოვიყვანეთ!

ახლაც იგივეს ვიმეორებთ — მოგვყავს რუსის აგენტები, საკაშვილის ჯალათები, გრიშები, გრიშისტები და მიშისტები, ეკლესიის მაგინებელი იუდა სამნიძე-ბერძენიშვილები, ბარამიძე-ბოკერიები, ილიას და რუსთაველის მტრები! პატრიარქის ცილის მწამებლები! და ამ ჯალათებს ქართველ მანდილოსანს ვალანძღვინებთ! ვითმენთ მათ შეურაცხყოფას და სიცრუეს! ქართველები ასე არ უნდა ვიქცეოდეთ!

●

ქართველმა ერმა უნდა იგრძნოს და გააცნობიეროს, რომ საბედისწერო ზღვარზე ვდგავართ! როგორმე უნდა გაიღვიძოს, მოიკრიბოს ძალა და 28 ნოემბერს საბოლოო ვერდიქტი გამოუტანოს ნაციონალების ამ უზნეო და „ცოდვათა მოუნანიებელ სექტას“, სადღაციდან მოვლენილ „ჰიქსოსებს“, რომელთაც ქვეყანა აპოკალიფსის ზღვარზე დააყენეს და „მაოხრებელი მკვდარივით“ გვებლანდებიან ყველგან, მსოფლიოს ყველა კონტინენტზე...

კობა არაბული
მწერალი, ეთნოლოგი

გზა სამშობლოსკენ

ბოლო არჩევნებმა აშკარად გამოავლინა ქართველი ხალხის მასობრივი დაბნეულობა და დაქსაქსულობა. მათთვის საამაყოდ და საიმედოდ მიჩნეულმა ათეულობით კანდიდატმა საბოლოოდ ფიასკო განიცადა და ხელთ შეგვრჩა ორი ფავორიტი, რომელთაგან ერთი დასავლურ კულტურას ნაზიარები, ქართველ ემიგრანტთა შთამომავალი, გამოცდილი დიპლომატია, მაგრამ იმის გამო, რომ წინა ხელისუფლების მეთაურის მიმართ თავისი დამოკიდებულება გაასაჯაროვა და მავანთა მცდარი მოსაზრებით, დიპლომატიის ელემენტარული ეთიკის ნორმა დაარღვია, ისე აითვალწუნეს, უკანასკნელი სიტყვებით ამკობდნენ. ამ დროს ეს კანდიდატი სიმშვიდეს ინარჩუნებდა და ნამდვილი დიპლომატის შესაფერისად, ღიმილით იგერიებდა მოწინააღმდეგეთა მიერ ნასროლ ტალახს. მეორე კანდიდატი კი — რუსულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ნაცადი მოთამაშე (პირდაპირი მნიშვნელობით), რომელსაც არ ჩაუგდია არც ერთი აკრძალული ილეთი კარიერისტული სვლის გზაზე, განუწყვეტლივ გვიმტკიცებს, რომ მას რუსულ დაზვერვასთან არაფერი კავშირი არ ჰქონია და საქმეთა მინისტრადაც კი დანიშნა და მასთან სიახლოვით თავიც კი მოჰქონდა, რადგან ეს დასავლური კულტურის ღირებულებათა მატარებელი ქალბატონი ფარად სჭირდებოდა. მაგრამ როგორც კი მან დამოუკიდებელი ხასიათი და პრინციპულობა გამოავლინა, მის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეცვალა, თანამდებობიდან გადააყენა, ბოღმა და ბალღამი გადაანთხია და ერთგული ჟურნალისტების მეშვეობით ათასი სისაძაგლე დააბრალა.

ხშირად გაიგონებთ, რა უნდა ამ ქალს, თავის საფრანგეთში დატეულიყო, და იმას ვერ აცნობიერებენ, რომ თუ ასე ვიმახეთ, ამჟამად ემიგრაციაში მყოფ ჩვენს მოქალაქეებს რაღაც დროის შემდეგ მსგავსი დახვედრა ელით აქ დარჩენილი საზოგადოების მხრიდან და ასე მოვიმკით ქალბატონი სალომეს მიმართ დაუსრულებელი ლანძღვა-გინებისა და

მთელი ცხოვრება ვითომ საქართველოს ბედნიერებისა და დამოუკიდებლობისთვის იღწვოდა და იღწვის...

სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთში XX საუკუნის ოციან წლებში პოლიტიკურ ნიადაგზე ემიგრირებული ბრწყინვალე პიროვნებების შთამომავალია. მათი გვარები დღეს ლამის ყველა ქართველმა იცის. მარტო ნიკო ნიკოლაძის სამშობლოსთვის გაწეული ღვაწლი რომ ჩამოვთვალოთ, „საერთო გაზეთის“ ფორმატი არც ეყოფოდა. სალომე ზურაბიშვილს უფროსი თაობის წარმომადგენელთა უმრავლესობა იმქვეყნიურ სამყაროში ისე გადავიდა, სამშობლოსთვის ერთხელ მაინც თვალის შევლება ვერ მოახერხა, მაგრამ აქ დაბრუნება და მის სასარგებლოდ მოღვაწეობა ანდერძად დაუტოვეს თავიანთ შთამომავლებს, რომელთა ერთ-ერთი წარმომადგენელი მიწის ყივილს აჰყვა, საფრანგეთის ელჩად დაბრუნდა თაობების ნანატრ სამშობლოში და მისთვის თავისი გამოცდილებისა და სიყვარულის დამტკიცება მოინდომა. მაშინდელმა პრეზიდენტმა საგარეო მუქარების სამარცხვინო შედეგებს.

მას ქართულ საუბარს უწუნებენ. ხშირ შემთხვევაში ამას ისეთი ვიღაცა იჩემებს, ვინც ფრაზას ნორმალურად ვერ მართავს და მისი აბდაუბდის მოსმენა საერთოდ ჭირს. რა თქმა უნდა, ქვეყნის პრეზიდენტი მშობლიურ ენაზე გამართულად უნდა მეტყველებდეს, მაგრამ მავანნი ანგარიშს არ უწევენ, რომ ეს ისტორიული კატაკლიზმების წნეხში გავლილი ქართველის ხვედრია და არა მშობლიური ენისადმი მისი დაუდევრად მიდგომის ბრალი.

ქალბატონი სალომეს შვილები გვარად გურჯისტანები არიან. როცა მის ვაჟიშვილს ჰკითხეს, ეს გვარი რისი მიმანიშნებელიაო, მან უპასუხა, რომ ძნელბედობის ჟამს ირანში ჩარჩენილ მის მამას, სამეგრელოდან გამოსულ გუგუშვილს, გამოუვალი მდგომარეობის გამო მიუღია ეს გვარი. ქალბატონი სალომეს ვაჟიშვილი, თურმე, სტუმრობს-ხოლმე თავის წინაპართა სოფელს სამეგრელოში და ამ კუთხის სიყვარულით ცოცხლობს... და რაოდენ სავალალოა, რომ წინაპრების სამშობლოთი ასე გულანთებული ახალგაზრდა კაცი ისმენს დედამისის მიმართ საშინელ ბრალდებებსა და მუქარებს, რაც ნაციონალების რუსი პიარტექნოლოგების მიერ არის დადგმული (ნაციონალებმა თავი როგორაც არ იმართლონ და თვალში ნაცარი არ გვაყარონ, ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, მათი რჩეული საიდან იმართება. აქვე ერთი რამ უეჭველად უნდა აღვნიშნოთ: რუსმა გვარი და ეროვნება რამდენჯერაც არ გამოიცვალოს, მაინც რუსად რჩება და ყველა შემთხვევაში, „რუსული საქმის“ ერთგული რჩება. ვინ იცის, ეს ჭეშმარიტება რამდენჯერ დადასტურებულა და რამდენი ვინმე გამხდარა მათი მსხვერპლი), და ამ ქალბატონის შეურაცხყოფის ხარჯზე, მისი კონკურენტის შავი წარსულის შეფუთვას ცდილობენ.

ქართული ნომენკლატურული მუშაკის შვილის, გრიგოლ ვაშაძის წინაპრებს არც ფოთი აუშენებიათ და არც ციხეგოჯი, მაგრამ ეს საბჭოთა უშიშროების გამობრძმედილი რეზიდენტი ისე იქცევა, თითქოს რუსეთში მთელი ცხოვრება დისიდენტად იყო ჩანერგილი და ქართული ეროვნული საქმეების გამო იწვოდა და იდაგებოდა.

ქართულ საზოგადოებას კარგად უნდა ახსოვდეს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგ, მცირე ხნით საქართველოს კულტურის მინისტრად ნამყოფი გრიგოლ ვაშაძე წაგებული ომიდან სამ თვეში, როგორ ემუდარებოდა რუსეთის კულტურის მინისტრს, ქართველი ხელოვნების მუშაკები მიეწვიათ მოსკოვში გასტროლებზე. ეს ამბავი თავის დროს გასაჯაროვდა. ნაციონალებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონიაო, მაგრამ თავიანთ უერთგულეს მხარდამჭერთა გარდა ვერავინ დააჯერეს.

იმავე ხანებში გრიგოლ ვაშაძემ და მისმა პრიმაბალერინა მეუღლემ, რუსთაველის გამზირზე განთავსებული მოსწავლეთა სასახლის ხელში ჩაგდება მოინდომეს. სასახლის წინ აზვირთებული მშობლებისა და მოქალაქეების რიგებში საპროტესო პლაკატით კოლეგებთან ერთად მეც ვიდექი. თუ ამნეზია არ შეყრიათ, ალბათ, ყველას ახსოვს ფიასკოგანცდილი ანანიაშვილის დაცინვა აღშფოთებული ხალხის მისამართით: ყიყინებენ!... ჭიჭყინებენ!..

ეს იქით იყოს და, რამდენიმე ხნის წინათ ხელში ჩამივარდა ანანიაშვილის ინტერვიუს ამონარიდი გაზეთ „იზვესტიას“ კორესპონდენტთან. კორესპოდენტი: „თქვენი შვილი მშობლიურად რომელ ენას მიიჩნევს?“ ეს საქართველოს „პატრიოტი“ პრიმა ბალლერინა პასუხობს: „რა თქმა უნდა რუსული, რადგან ის აქ იზრდება და რუსეთს ღვიძლ სამშობლოდ აღიქვამს...“

ვაშაძის მინისტრობის დროს ნაციონალები დილის ექვს საათზე თავს დაესხნენ საქართველოს მწერალთა კავშირს, ბარბაროსულად დაარბიეს და შენობიდან გამოყარეს.

სამწუხაროა, რომ თაკო ჩარკვიანმა გრიგოლ ვაშაძის წარსადგენ მიტინგზე, ბაგრატის ტაძრის ფონზე, მწერალთა კავშირის შენობიდან მწერლების დარბევისა და გამოყრის გამო ასეთი მამალი ტყუილი ბრძანა: — „როგორც კი გრიგოლ ვაშაძემ ეს ამბავი შეიტყო, ყველაფერი ხუთ წუთში მოაგვარა...“ თაკო ჩარკვიანს ამ გაზეთიდან უნდა შევახსენო, რომ გრიგოლ ვაშაძეს ეს საკითხი გულთან არც მიუტანია, რადგან რომ მიეტანა, მცირე ხნის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრად არ დააწინაურებდნენ.

ისე, შესაძლოა, თაკო ჩარკვიანს მაჩაბლის ქუჩაზე მომიტინგეებთან გრიგოლ ვაშაძის გამოჩენა სხვა ფაქტებში აერია. მაშინ ირონიულად მოღიმარ მინისტრს, თქვენს ოჯახს მოსწავლეთა სასახლეში ფეხი არ ჩაუვიდა და ახლა სააკაშვილი მწერალთა სასახლის გადმოცემას ხომ არ გპირდებათო, ჰკითხა ერთ-ერთმა მომიტინგემ. ამ ერთი ციდა შენობის მითვისება რაში მჭირდება, როცა მოსკოვში, პეტერბურგში, პარიზში, ლონდონში, ვაშინგტონსა და კიდევ ევროპის რამდენიმე დედაქალაქში ნამდვილ სასახლეებს ვფლობო. ნაცადი ილეთით მოინდომა ჩვენი დამშვიდება და აუცილებლად შესაბამისი ზომების მიღებას შეგვპირდა, მაგრამ მისი სიტყვების არავის სჯეროდა და მართლებიც იყვნენ. მწერალთა კავშირის შენობა ნაციონალებმა ლამის „ობშიჟიტიედ“ გამოაცხადეს და ნაციონალურ ხროვას ჩაუგდეს ხელში.

თაკო ჩარკვიანს ეს უნდა სცოდნოდა, როცა ქუთაისში წმინდა ტაძრის წინ ამ კარიერისტ რუს პოლიტიკოსს ქება-დიდებას ასხამდა, რომელიც იმდენად ბუტაფორიულია და თავისი სიუზერენის სწრაფვებს ისე ურცხვად ახმოვანებს, რად უნდა მარჩიელობა, მის ავ საქმეთა ჩასაფარცხად და მოსაყვანად ირჯება.

ამიტომ, ქართველებს, განსაკუთრებით ჩემი მშობლიური სამეგრელოს ამომრჩევლებს ვურჩევდი, ერთხელ კიდევ ნუ მოიტყუებენ თავს და მხარი მართლაც ღირსეულ კანდიდატს დაუჭირონ.

ზურაბ თორია

ყველა გავერთიანდეთ და მხარი დავუჭიროთ სალომე ზურაბიშვილს, რადგან ამით ჩვენი შვილების მომავალს ვუჭერთ მხარს

„საქართველოს მოსახლეობას საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში უბრალოდ სხვა არჩევანი არ აქვს, ყველამ მხარი უნდა დავუჭიროთ სალომე ზურაბიშვილს, თუ არ გვინდა 2004–2012 წლების რეალობაში დაბრუნება“, აცხადებს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი.

ირმა ინაშვილი: ჩვენი პარტია რა თქმა უნდა, მხარს არ დაუჭერს გრიგოლ ვაშაძეს, რადგან არ გვინდა იმ წარსულში დაბრუნება, სადაც არბევდნენ ჟურნალისტებს, ადამიანებს ქონებას ართმევდნენ, ქუჩაში ხოცავდნენ ახალგაზრდებს. ჩვენ ეს გადმოცემით ხომ არ ვიცით, საკუთარი თვალით ვნახეთ. ამიტომ ნურავინ შემეკამათება, რატომ ლაპარაკობ ნაციონალების მმართველობის ცხრა წელზეო, თუმცა ახლა უკვე 15 წელზე ვლაპარაკობ, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, არაერთ ფაქტზე გვქონდა მწვავე პოზიცია და მომავალშიც გვექნება. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია ვართ, ჩვენს ქვეყანას არ ვუდგავართ ოპოზიციაში, არ ვართ სახელმწიფოს მტრები. პოლიტიკური ეგოიზმის, რაღაც ამბიციების გამო ვერ ვიტყვით, არ ვიღებთ არჩევნებში მონაწილეობასო. ქართულ პოლიტიკას ახასიათებს ბოღმა-შურიანობა, სამწუხაროდ, გადამწყვეტ მომენტში პოლიტიკოსებს ზოგჯერ გაუკეთებიათ არჩევანი არა ქვეყნის, არამედ საკუთარი პარტიების სასარგებლოდ. ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, ამიტომაც გადავწყვიტეთ მხარი დაგვეჭირა სალომე ზურაბიშვილისთვის, რადგან ეს არის საქართველოს მხარდაჭერა, ჩვენი შვილების მომავლის მხარდაჭერა. მინდა ქალბატონმა სალომემ კარგად გააცნობიეროს და დარწმუნებული ვარ გააცნობიერებს, რომ მას ახლა მხოლოდ „ქართული ოცნება“ კი არა, ქართველი ხალხი ირჩევს, მათ შორის, ის ადამიანები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმს ვებრძოდით, და გაამარჯვებინებს კიდეც. ქალბატონი სალომე მომავალში სწორედ ამ ხალხის წინაშე იქნება პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული, იმედი მაქვს, პრეზიდენტი რომ გახდება, სიყვარულითა და ერთგულებით უპასუხებს ქართველ ხალხს. მე ეჭვი არ მეპარება, რომ მეორე ტურში სალომე ზურაბიშვილი გაიმარჯვებს, იმიტომ, რომ ხალხი კარგად აცნობიერებს შექმნილ ვითარებაში რატომ უნდა დაუჭიროს მხარი სალომე ზურაბიშვილს. პირველ ტურში პრაქტიკულად არ მიგვიღია მონაწილეობა, შესაბამისად, ჩვენმა მხარდამჭერებმა ან გადახაზეს ყველა კანდიდატურა, ანდა არ მივიდნენ არჩევნებზე. ამომრჩეველთა იმ 53%-ში, ვინც არჩევნებზე არ მივიდა, ჩვენი მხარდამჭერების დიდი წილი იყო. ახლა მათ მოვუწოდებთ იაქტიურონ, მხარი დავუჭიროთ სალომე ზურაბიშვილს, თუ არ გვინდა ჩვენი შვილების მომავალი საფრთხის წინაშე დავაყენოთ.

სააკაშვილი, ბოკერია, ვაშაძეები, ბაქრაძეები და ა.შ. არც მალავენ, რომ მათ ინტერესში შედის გარკვეული პროვოკაციების აგორება, ვფიქრობ, უფრო არჩევნების შემდეგ ვარაუდობენ ამის ორგანიზებას. ჩვენ შეგვიძლია თავი მოვიტყუოთ, რომ არაფერი არ ხდება, მაგრამ საზოგადოება აშკარად შუაზეა გაყოფილი, მიდის ფარული დაპირისპირება, ფაქტობრივად ფარული ომი. ძალიან დიდია რადიკალიზაცია საზოგადოების სხვა და სხვა ჯგუფებს შორის, რასაც აღრმავებს ის ამორალური საქციელი, როცა მწამებელი, მკვლელი, ქართული მიწების გამჩუქებელ-გამყიდველი და სხვა არაერთი დანაშაულის ჩამდენი, სალომე ზურაბიშვილს ეძახის მოღალატეს. ამის ჩამდენები და ის ხალხი პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გონორით რომ გვესაუბრებიან, მათი ხმა არ გამიგია, როცა ხელ-ფეხი დაგვამტვრიეს 2009 წლის 15 ივნისის აქციაზე. ვინც ვერ მოგვკლეს, დაგვაზიანეს, თითქმის ყველას ჯანმრთელობა აქვს შერყეული. 50.000-ზე მეტმა მოწმემ სააკაშვილის რეჟიმის პირველი პირების წინააღმდეგ მისცა ჩვენება. ვაშაძე, რომ ამბობს გაპრეზიდენტების შემთხვევაში შევიწყალებ ამ დამნაშავეებს და გავათავისუფლებო, ესენი გარეთ რომ გამოვლენ და იქ დახვდება ეს 50.000-ზე მეტი მოწმე, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება. ამიტომ მინდა საღი გონებით, მშვიდად გავაკეთოთ მეორე ტურში არჩევანი. ვერავის ვერ შეაშინებს ვაშაძე, ვერც სააკაშვილი, ეს უკანასკნელი ამსტერდამში დარჩება, სანამ არ ჩამოვიყვანთ და „მატროსოვზე“ არ მივაბრძანებთ.

ამ „შავ“ საარჩევნო კამპანიაში, ნაცმოძრაობის მთავარი თემა, რასაც თავიანთი რუსი პიარსპეციალისტების დახმარებით ავითარებდნენ, აგვისტოს ომის თემა იყო. დღემდე აქტუალურია სამხედროების დაპირისპირების მცდელობის საკითხი სალომე ზურაბიშვილთან. ჩემი აზრით, ეს მარტო ქალბატონ სალომესთან კი არა, სახელმწიფოსთან დაპირისპირების მცდელობაა. მინდა ქართველ სამხედროებს მივმართო, ჰააგის ტრიბუნალი რიგით ჯარისკაცებსა და ოფიცრებს არ ემუქრება, ის მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებს ემუქრება, რომლებმაც მთელი რიგი კანონები დაარღვიეს ომის პირობებში. პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილს ემუქრება ჰააგის ტრიბუნალი. აგვისტოს ომის კონტექსტში მთელი კამპანია მიდიოდა მოღალატის თემაზე აპელირებით, ჯერ ერთი, სიტყვა მოღალატეს ყოველთვის სიფრთხილით უნდა მივუდგეთ, თანაც ვინ ლაპარაკობდა ღალატზე? სააკაშვილი, ბოკერიები, ვაშაძე და მთელი მათი გუნდი ის ხალხია, რომლებმაც აგვისტოს ომის დროს, სხვაზე რომ აღარაფერს ვთქვათ, გმირულად დაღუპული ჯარისკაცების ცხედრები მიატოვეს კონფლიქტის ზონაში, პატრიარქი რომ არ ჩასულიყო და არ გამოესვენებინა, იმ სიცხეში ბუზი ჭამდა და ნადგურდებოდა. მე აფხაზეთის ომის დროს 22 წლის ვიყავი, ყველას ახსოვს ვინც იქ მნახა, ხელით თუ ზურგზე მოკიდებული რომ გამომყავდა დაჭრილები და გარდაცვლილები, წინა ხაზზე არცერთი არ დამიტოვებია. მე ჩამოვასვენე დაღუპული ჟურნალისტები თბილისში. ამათ მთელმა გენერალიტეტმა, სააკაშვილებმა, კეზერაშვილებმა, ბაქრაძეებმა ასე დატოვეს ქართველი ჯარისკაცები ტრიალ მინდორზე. პატრიარქი ტიროდა, ჯარისკაცებისადმი, ჩვენი თანამემამულეებისადმი ასეთ დამოკიდებულების შემხედვარე. ჩვენი მიზანი ხომ ის არის, შვილი ისე აღზარდო, სამშობლოს სამსახურში იყოს და თუ საჭირო გახდა, თავი შესწიროს. მე იმიტომაც მოვუწოდებ ქართველ ხალხს მხარი არ დაუჭირონ ნაციონალებს, რადგან ჩვენ შვილებს, რომლებსაც სამშობლოს დასაცავად ქართულ ჯარში გავუშვებთ, ასე გაწირავენ და მიატოვებენ ბრძოლის ველზე. ნაციონალებზე დიდი მოღალატე ვინ არის, როცა კოდორის ხეობა, სადაც არავითარი საომარი მოქმედებები არ ყოფილა, მარტო კი არ ჩააბარეს, სამარცხვინოდ გაყიდეს, იქ კონკრეტული გარიგება მოხდა. კიდევ ერთხელ ვითხოვ მთავარი პროკურორისგან, გამოიჩინოს მოქალაქეობრივი სიმამაცე, ნუ მიაქცევს ყურადღებას აბსურდულ მოსაზრებებს, ამერიკელები რას იტყვიან, ბრიუსელი რას იტყვისო. ვერავინ ვერაფერს იტყვის, როცა დავადასტურებთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ სამხედრო დანაშაული ჩაიდინა 2008 წლის ომის დროს.

ამ ომის თემა რომ არ გამოვიძიეთ, იმიტომაცაა ნაციონალები სხვებს რომ დასძახიან მოღალატეებს. ესენი მოღალატეობაზე როგორ უნდა ლაპარაკობდნენ, მე საქართველოს უახლეს ისტორიაში ამათზე დიდი მოღალატე არ მეგულება.

„პატრიოტთა ალიანსის“ ინიცირებულ რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებს სააკაშვილ-ბოკერიას მმართველობის შეფასებას, იყო თუ არა ის რეჟიმი, 300.000-ზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი. თუ რეჟიმი იყო, მაშინ დაგვიჭიროს მხარი „ქართული ოცნების“ საპარლამენტო დეპუტაციამ. ეს ხალხი 25 ნოემბერს, დღის სამ საათზე თავისუფლების მოედანზე ვიკრიბებით. არამარტო ამ რეზოლუციის მხარდამჭერები, არამედ ყველა, ვინც სააკაშვილის რეჟიმს უპირისპირდება. 23 ნოემბერს, ბათუმში, ამავე დროს ერას მოედანზე შევიკრიბები თ. ჩვენ იმიტომ ვიკრიბებით, რომ ამერიკას, ბრიუსელს, სტრასბურგს, სადაც კარგად თამაშობენ ეს ბატონები, გრიგოლ ვაშაძე და დანარჩენი ამხანაგები, საერთოდ მთელ მსოფლიოს ვაჩვენოთ რამდენნი ვართ, ვისაც არ გვინდა წარსულში, სააკაშვილის ძალადობრივ რეჟიმში დაბრუნება. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბევრი ვიყოთ. ველოდებით უამრავ ადამიანს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ დააბრუნებს საქართველოს სააკაშვილ-ბოკერიების რეალობაში. კიდევ ერთხელ მივმართავ საქართველოს მოსახლეობას, მნიშვნელობა არ აქვს, პოლიტიკოსია, საზოგადო მოღვაწე თუ რიგითი მოქალაქე, ახლა არის გადამწყვეტი ეტაპი, უფლება არ გვაქვს, მიზეზთა გამო არჩევნებში მონაწილეობა არ მივიღოთ. ყველა გავერთიანდეთ და მხარი დავუჭიროთ სალომე ზურაბიშვილს, რადგან ამით ჩვენი შვილების მომავალს ვუჭერთ მხარს. ვაშაძის გამარჯვება ნაციონალების მობრუნებას ნიშნავს, რომლებიც ყველას სახლთან მივლენ, ყველას აწამებენ, გაასმაგებული ძალებით გააძრობენ ტყავს ჩვენს ერს. თუ მმართველმა პარტიამ რაიმე დააშავა, ამ არჩევნების მერე მოვთხოვოთ პასუხი. გპირდებით, მე ვიქნები ის ადამიანი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ არაფერს არ აპატიებს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ჰააგის სასამართლოს საერთოდ არ აინტერესებს, თუ ვინ დაიწყო ომი. ის მხოლოდ ომის დროს ჩადენილ კონკრეტულ დანაშაულს იძიებს

„საერთო გაზეთის" სტუმარია ანალიტიკოსი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში, გენერალი ამირან სალუქვაძე.

– ბატონო ამირან, მოგეხსენებათ,,, ნაციონალურმა მოძრაობამ" თავისი წინა საარჩევნო კამპანია, ფაქტობრივად, სალომე ზურაბიშვილის ერთ გამონათქვამზე ააგო, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყების საკითხს შეეხება. ნაცმოძრაობა საქმეს ისე წარმოაჩენს თითქოსდა ზურაბიშვილის ამ განცხადების გამო ჰაგის სასამართლოში საქართველომ შეიძლება წააგოს პროცესი და ქართველი სამხედროები და სხვა პირები დაექვემდებარონ, ასე ვთქვათ, მძიმე სანქციებს. რას იტყვით ამაზე?

– ახლა მოგახსენებთ რასთან გვაქვს საქმე – ჰაგის სასამართლო განიხილავს ომის დანაშაულებს და არა იმას თუ ვინ დაიწყო ომი. ეს ერთი, მეორეც, მე ვერ ვიპოვე და ვერც ვერავინ წარმომიდგინა

სალომე ზურაბიშვლის განცხადება ომის დაწყებასთან დაკავშირებით, სადაც ის ამბობს, რომ საქართველომ დაიწყო ომი, მაგრამ დღეს, მეტ აქცენტს აკეთებენ არა ამაზე, არამედ ცხინვალის დაბომბვაზე, რომ ჩვენ დავბომბეთ ცხინვალი. სხვათა შორის, მსგავსი განცხადებები უამრავ ქართველ პოლიტიკოსს აქვს გაკეთებული და ამის გამო ქვეყანა არ დაუნგრევიათ. აღსანიშნავია, რომ სალომე ზურაბიშვილის ძირითადი ოპონენტი გაცილებით მწვავე შინაარსის განცხადებებს აკეთებდა, ვიდრე ზურაბიშვილი, დიახ, ის აცხადებდა, რომ რუსეთი არაფერ შუაშია და ა.შ.და ა.შ. ბოლო დროს მისი ახალი ინტერვიუც გავრცელდა, რომელსაც არავინ უარყოფს, უბრალოდ, მათ უნდათ დაგვიმტკიცონ, რომ ზურაბიშვილის განცხადებას იყენებენ ჰაგაში და სხვის განცხადებებს კი არ იყენებენ. აი, აქ მინდა აღვნიშნო, რომ ბატონი ვაშაძის ინტერვიუ, რომელიც ახლახან გავრცელდა, მაშინ იქნა ჩაწერილი როცა ვაშაძე საქართველოს მოქმედი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ხოლო სალომე ზურაბიშვილი კი ექსმინისტრი. აი, ამას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. და ამაზე ისინი არაფერს ამბობენ, ესეც ორმაგი სტანდარტი წინასაარჩევნოდ და სხვა არაფერი.

ახლა საუბრობენ იმაზე სალომე ზურაბიშვილი, რომ გახდება პრეზიდენტი შესაძლოა მან იგივე განცხადება გააკეთოს და სახელმწიფო მეთაურის რანგში მისი განცხადებები უფრო დამაზიანებელი იქნებაო და ხომ შეიძლება იგივე განცხადება გრიგოლ ვაშაძემაც გააკეთოს? ამაზე არავინ სვამს კითხვას. მე ასეთ რამეებზე ცოტა უხეშად ვიტყვი – არ ვბოლდები. და აქ მინდა აუცილებლად აღვნიშნო, რომ სალომე ზურაბიშვილის იმ განცხადებას, რაც მან ძმათა სასაფლაოზე გააკეთა, არ ვეთანხმები, მიუხედავად იმისა ჩვენ დავბომბეთ ცხინვალი თუ არა. ძმათა სასაფლაო პოლიტიკური განცხადებების გაკეთების ადგილი არ არის, ამაზეც ბევრჯერ მისაუბრია, მაგრამ რატომღაც ჩვენს პოლიტიკოსებს ეს არ ესმით.

ახლა რაც შეეხება ცხინვალის დაბომბვის თემას და ამის გამო, მისი განცხადების გამო ზურაბიშვილისთვის მოღალატის იარლიყის ჩამოკიდებას. მოღალატე რას ნიშნავს? იმას რომ მას უნდა ჰქონდეს ჩადენილი ღალატი. ღალატი არის კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც უნდა დაადგინოს სასამართლომ, ისევე როგორც მკვლელობა, ქურდობა, ძალადობა და ა. შ. სასამართლოს განჩინების შემდეგ შეიძლება უკვე, რომ კონკრეტულ პირს, დამნაშავეს ვუწოდოთ მკვლელი, მოღალატე, მოძალადე და ა. შ. ანუ ჩვენ აქაც ვარღვევთ ყველანაირ სტანდარტს და ადამიანები, რომლებიც საუბრობენ დასავლურ ღირებულებებზე და ყველა დამნაშავის მიმართ მკვლელი იქნება თუ მოძალადე იცავენ უდანაშაულობის პრეზუმციას, რატომღაც სალომე ზურაბიშვილთან მიმართებაში ეს სტანდარტი მთლიანად დაირღვა, რასაც ასევე არ ვეთანხმები. ხაზს ვუსვამ, მე არ ვიზიარებ არც მის განცხადებას, ასევე არც იმას რა დევნაც მოუწყვეს მას და მის ოჯახს.

და თუ მოღალატეა და ღალატს ჰქონდა ადგილი, მაშინ უჩივლონ სასამართლოში, ან მიმართონ პროკურატურას, რატომ არ აკეთებენ ამას? დიახ, რატომ არ უჩივიან? უჩივლოს პოლიტიკურმა პარტიამ ან ფიზიკურმა პირმა, აქამდეც უნდა ეჩივლათ, მაგრამ ღალატს ვერ დაამტკიცებენ, და გეტყვით რატომ.

გარდა ტალიავინის კომისიისა, რომელზეც ყველა საუბრობს 2008 წლის 2 ოქტომბერს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელ რეზოლუციასაც საქართველოს წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი, რაც ვთვლი, რომ შეცდომა იყო.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს ეს ყველაფერი და ჩემი აზრით, ალბათ ერთმა პროცენტმა თუ იცის რაზე გვაქვს საუბარი და რაზე გვაქვს ხელი მოწერილი საერთოდ. აი, სწორედ ეს რეზოლუცია იქნება ის, რაც შესაძლოა ჩვენ წინ დაგვიდონ ძალიან ცუდად, იგივე სტრასბურგის სასამართლოში, სადაც სასამართლო განხილვები ფაქტობრივად, დასრულებულია და, რა თქმა უნდა, მოსამართლეების მიერ გადაწყვეტილების მიღებისასაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ამ რეზოლუციამ, თუმცა ჰაგის სასამართლო იხილავს კონკრეტულად ცალკეული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებებს, კაცობრიობის წინაშე ჩადენილ მძიმე დანაშაულებებს და არა იმას თუ ვინ დაიწყო ომი. რა თქმა უნდა, ეს იქ არავის აინტერესებს, ისევე როგორც ის ჩვენ დავბომბეთ ცხინვალი თუ არა.

ჩვენ დავბომბეთ, რუსებმა თუ უცხოპლანეტელებმა ამას არ აქვს მნიშვნელობა, ხოლო თუ დამტკიცდა, რომ ჩვენმა ქმედებებმა, კონკრეტული პირების ქმედებებმა გამოიწვია გენოციდი, ადგილი

ჰქონდა წამების ფაქტებს და სხვა მძიმე დანაშაულებებს, რასაც მთლიანობაში ომის დანაშაულებს ვეძახით, მაშინ რა თქმა უნდა, ცალკეული პირების პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

– რა მოლოდინი უნდა გვქონდეს, ვის და რა შეიძლება დაემუქროს ამ გამოძიებით?

– ჩვენ სამხედროებს გენოციდი არავისთვის მოუწყია. ომის დანაშაულები ჩვენი სამხედროების მხრიდან არ იკვეთება, ახლა თუ ტანკით გადაადგილება და არტილერიის ან სხვა სამხედრო ტექნიკის გამოყენებას ვიგულისხმებთ ეს ომის დანაშაულებად არ ითვლება. ომის დანაშაულებში არის კონკრეტული ჩამონათვალი და ჩვენ ასეთ ფაქტებს არ ვიცნობთ და ვერც დაგვიმტკიცებენ. აი, ჩვენი სამხედროებისა და ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ ომის დანაშაულები კი არის ჩადენილი, მათ შორის მძიმე ფაქტები, დაწყებული ეთნიკური წმენდიდან, დამთავრებული ჩვენი სამხედროებისა და მოქალაქეების წამების ფაქტებით. და არსებობს ამის ვიდეო მასალა. შესაბამისად იმის საფრთხეს, რომ ჩვენ სამხედროებს იქ რაიმე დაემუქროს, მე ვერ ვხედავ.

რაც შეეხება თავად ჰაგის სასამართლოსთან თანამშრომლობას და პროცესს: აქ ორი ვარიანტია, პირველი: უარი ვთქვათ ჰაგის სასამართლოსთან თანამშრომლობაზე, რაც არაგონივრულია, ჩვენ იქ ჩვენ უფლებებს ვერ დავიცავთ და დარჩება ერთი მხარე — რუსეთის და სამხრეთ ოსეთის, გარდა ამისა, შეგახსენებთ, რომ ჩვენ ვალდებული ვართ ვითანამშრომლოთ, თუ არადა უნდა გავიწვიოთ ის ხელმოწერაც და საერთოდ შევწყვიტოთ რომის სტატუტის ფარგლებში თანამშრომლობა. ეს იქნება ძალიან დიდი შეცდომა. შესაბამისად რჩება მეორე ვარიანტი, ჰაგის სასამართლოსთან თანამშრომლობა ბოლომდე სანამ პროცესები არ დასრულდება. და თუ ვთანამშრომლობთ, სასამართლო წარმოუდგენელია ორივე მხარის გამოკითხვის გარეშე ხომ, ამიტომ, რა თქმა უნდა, ამ პროცესზე პროკურორებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებით მოუწევთ მონაწილეობა ჩვენს მოქალაქეებსაც იმისთვის რომ იქ სიმართლე დავამტკიცოთ. ჩვენ ანალოგიურად უკვე ვიმოქმედეთ სტრასბურგის სასამართლოში, სადაც უამრავი ჩვენი მოაქალაქე იყო ჩასული. ამით არაფერი დანგრეულა და არც გაუგია მოსახელეობას რამდენი ასეული მოწმე იქნა იქ ჩაყვანილი და ალბათ, სამხედროებიც. რატომღაც ვფიქრობ, რომ ჰაგის თემა ოპოზიციის მხრიდან წინასაარჩევნოდ გამოიყენება.

დამაინც, რაც შეეხება სამხედროების საკითხს. მე სპეციალურად გავაკეთე ეს შესავალი იმისთვის, რომ ვინც წაიკითხავს მოქმედი თუ თადარიგში მყოფი სამხედრო კარგად გაერკვიოს ამ ყველაფერში და გაიგოს, რომ არავითარი საფრთხე მათ არ ემუქრებათ. სახელმწიფო დაიცავს, როგორც მომქმედ, ისე თადარიგში მყოფ სამხედროს და არა მარტო მათ – მოქალაქეებს. ამაში 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ და თუ ეს ასე არ მოხდება, მე ვიქნები პირველი, ვინც ხმას ამოიღებს. მე აქ საფრთხეებს ვერ ვხედავ და კარგი იქნება თუ მეორე ტურის დარჩენილ პერიოდს მშვიდად ჩავატარებთ.

ქეთი ხომერიკი
592 53 53 03

სააკაშვილო, იდიოტი ხარ და ვერ ხვდები, თორემ შენ სწორედ იმ გლდანის ეკლესიის დარბევამ მოგიღო ბოლო, დღეს რომ ფარდულს ეძახი!

ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან

— მამაო, რა უნდოდა სააკაშვილს, ვერ მოუნელებია, რომ გლდანში გრანდიოზული ეკლესია კვლავ არსებობს და უფალს ადიდებთ?

— სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულითა წმიდისათა. ჩვენთან არს ღნერთი! ჩემო ძვირფასო, ჩვენი მრავალჭირგამოვლილი ქვეყანა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის წილხვედრია. საუკუნეები განვლეთ და ღმრთის შემწეობით მოვედით დღემდე. იმპერიები გადაშენდა, ჩვენ კი ვდგავართ. ქრისტეს ეკლიან გზაზე თუ ვიჩოქებდით, ისევ ჩვენ ვაი-თანამოძმეთა მზაკვრობით, რამეთუ გამყიდველები, მტრებთან შეკრულნი პირადი ინტერესების საფასურად, თელავდნენ ერის ღირებულებებს, წინაპართა ნაამაგარს.

მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტება უფლისგან უდიდესი გამოცდა იყო. სააკაშვილი შეეკრა ბარაბას, ჩამოაყალიბა საქართველოს გამყიდველებთან ერთად „ნაცმოძრაობის“ სატანისტური სექტა და დაიწყო ჩვენი ერის ისტორიაში ფაშისტური რეჟიმი, 9-წლიანი ტანჯვა. ყოველივე ამას მე წინასწარ ვგრძნობდი. სანამ ის ხელისუფლებაში მოვიდოდა, 2003 წელს ჩემი მრევლით, აკადემიკოს გურამ შარაძესთან ერთად 3 დღე და ღამე ვიდექით პარლამენტის შენობის წინ და მათ არ ვუშვებდით იქ. სწორედ ეს გახდა მიზეზი მისი მხეცური ქმედებისა შურისძიების მიზნით. ბატონი გურამი დღისით, მზისით ქალაქის გულში დახვრიტეს, ხოლო ჩვენ დიდი მარხვის პარასკევს, ღამენათევი მრევლი უმოწყალოდ დაგვარბიეს. მოგვისიეს 300 სპეცნაზელი, სამხედრო ჯარი — ე.წ. მე-8 პოლკი და ეკლესიის ეზოში სისხლის გუბეები დააყენეს. მრევლის 10 წარმომადგენელი დააპატიმრეს, ხოლო მე 5 წლით ციხეში გამომკეტეს. 5-ჯერ ეცადნენ ჩემს ლიკვიდაციას, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, რამეთუ მე ღმერთი მიცავს, მიცავს ყოვლადწმიდა დედა.

რა თქმა უნდა, სააკაშვილს ყველა ადგილი, სადაც უფალს ადიდებენ და პიროვნებები, ვინც ღმერთს მსახურებენ, ვერ აუტანია, რამეთუ ის ძალიან შორს არის მართლმადიდებლობისგან. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ მას აღიზიანებს ეკლესია და ყოველივე, რაც ღმერთთან ასოცირდება.

— მამაო, ზოგადად, სალოცავი ადგილი, სადაც ეკლესიური რიტუალი ტარდება, შეიძლება ფარდულად შეირაცხოს?

— ნებისმიერი ადგილი, სადაც ეკლესიური რიტუალი ტარდება, წმიდა ადგილად იწოდების. და თვით ფარდულიც კი, სადაც უფალს ადიდებენ და მართლმადიდებელნი იკრიბებიან ღმერთის სახელით, საპატიო ადგილად ითვლება.

პირველ საუკუნეებში, როცა მართლმადიდებლობა იდევნებოდა, მორწმუნენი ყველგან ლოცულობდენ. უდიდესი მამა, სასწაულმოქმედი სერაფიმე საროველი ტყეში ლოცულობდა. ჩვენ თვითონ 5 წელი ღია ცის ქვეშ ვლოცულობდით და ისეთი მადლი მოვიღეთ უფლისგან, მრევლის შემოწირულობით გრანდიოზული, ულამაზესი ტაძარი ავაგეთ, გავამშვენეთ, შევქმენით სულიერი სავანე, რომელიც ტვინდაბნელებული სააკაშვილის ხედვით, ფარდულია. ქრისტესმოძულე სააკაშვილს უამრავ კითხვას უსვამენ, რატომ დაარბია ეკლესია, ის იდიოზურად პასუხობს, რომ ფარდული დაარბია. შენ, მტანჯველო, მწამებელო, ფერიას მთაზეც ფარდული დაარბიე?..

სააკაშვილო! შენ ჩვენი ეკლესიის დარბევამ მოგიღო ბოლო, დარბევის დღეს დაედო შენს ე.წ. მოღვაწეობას ვეტო, რამეთუ, შენ საქართველოს ვერ იხილავ, ნუ ოცნებობ, რამეთუ შენისთანა მოღალატეები, სისხლისმსმელები საქართველოს არ სჭირდება. შენ საქართველო დაღუპე. ჩვენი მიწა-წყლის 20% შენი უტვინობით რუსეთს ჩააბარე. 8 აგვისტოს ომში ქართული გენი ბომბდამშენების ქვეშ დატოვე და თვით გამოიქეცი, შიშით იმალებოდი და მიწაზე ფორთხავდი. ჩახვედი უკრაინაში და იქაც ყველაფერი თავდაყირა დააყენე. მათაც დააკარგინე ტერიტორია. ეხლა კვლავ აქეთ იყურები, რათა, რაც დაგრჩა გასაჩანაგებელი, ბოლო მოუღო. შინაური მტრები ყოველთვის ჰყავდა საქართველოს, მაგრამ შენი დონის მოღალატე არასოდეს ჰყოლია. შენი და შენი თანამზრახველების მიზანი იყო ამოგეძირკვათ ქართული გენი, იდენტობა, ზნეობა მსოფლიოს შავ-ბნელი მასონური ორგანიზაციების მხარდაჭერით, რომელთა მიზანია, შექმნან კლონირებული ადამიანები, რომელთაც არ ექნებათ არც წარმოშობა, არც ეროვნება, არც ისტორია, მაგრამ ეს არ დაგცალდა. ამ ბოროტებასთან მისასვლელი გზა სწორედ ვაშაძის გაპრეზიდენტებაა. ჩვენ, ქართველნი ვცხოვრობთ წინაპართა სისხლით გაპოხიერებულ მიწაზე. ეს მიწა-წყალი უფალმა გვიბოძა და შენ, ბოროტო, ვერ შეძლებ, მოგვწყვიტო ამ მიწას. ვერ მოესწრები ამ დღეს.



— მამაო, რამდენადაც ვიცით, ვინც მონაწილეობა მიიღო თქვენი ეკლესიის დარბევაში, ბევრი დაისაჯა. სააკაშვილის შეთხვევაში რას გვეტყვით?

— სააკაშვილისა და მისი ბანდის შესაკრებელი შავნაბადას რეზიდენცია იყო. ეს გაუწონასწორებელი, პოტენციური გიჟი შეკრებდა თავის თანამზრახველებს ღამის 12 საათზე: ვანო მერაბიშვილს, გიგა ბოკერიას, ძმებ ახალაიებს, ადეიშვილს, თოფურიძეს და გეგმავდნენ, მომავალში ვინ მოეკლათ, რომელი ბიზნესმენისთვის რა რაოდენობის თანხა გამოეძალათ. ჩვენი დარბევაც იქ დაიგეგმა. მათი გეგმის ნაწილი იყო ჩვენი ეკლესიის ტერიტორიაზე შემოეტანათ დიდძალი საბრძოლო იარაღი, თითქოს ჩვენ ასლან აბაშიძეს ვეხმარებოდით, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

ვინც ჩვენი ეკლესიის დარბევაში მონაწილეობდა, ბევრი მათგანი მკაცრად დაისაჯა. არ გეგონოთ, ეს მახარებს. მე ღვთის მსახური ვარ და ბოროტებას ბოროტებითვე არ ვპასუხობ, პირიქით, მეცოდებიან ისინი. მათ ღმერთი მიაგებს დამსახურებისამებრ. სასჯელი ღმრთის არს. ეს სააკაშვილია, რომელშიც ბოროტი სული ბუდობს. იმ ღამით, როცა ჩვენ გვარბევდნენ, სააკაშვილი ამერიკაში ჯორჯ სოროსთან ერთად რესტორანში იჯდა და იქიდან ადევნებდა თვალს, როგორ უსწორდებოდა 5000-მდე კბილებამდე შეიარაღებული დამსჯელი ღამენათევ მრევლს. ზოგ მაღალჩინოსანს ნიღაბი ეკეთა, ხოლო დათა ახალაია, ვასილ სანოძე, გოგი თათუხაშვილი უნიღბოდ ებრძოდნენ მრევლს ხელკეტებით.

მეკითხებით, სააკაშვილის შემთხვევაში რას გეტყვით. ეს ჩვენ გვეჩქარება, უფალს კი არა. მე თვითონ გეკითხებით, მეტი სასჯელი შეიძლება, რაც სააკაშვილს სჭირს? დასჯილი, მაწანწალასავით უვლის მსოფლიოს გარშემო. შორიდან უყურებს მისი 9-წლიანი ფაშისტური შედეგით განადგურებულ საქართველოს. ვერ შემოდის და ვერც შემოვა! ჩვენი ტანჯული ქვეყანა მისი სამშობლო ვერ იქნება. სამშობლოს სიყვარული სულ სხვა მცნებაა. ასე იწანწალებს უმისამართოდ. მე მეცოდება მისი შვილები. შევევედრები უფალს, შეინანოს მათმა მამამ თავისი ცოდვები, გონს მოეგოს, რათა მისი უმძიმესი ცოდვები მომავალ თაობას არ დაეკისროს. როგორც ვიცი, მისი სულიერი მამა პაატა ცაავა იყო. ახალაიებსაც ის იფარებდა მარტვილის რეზიდენციაში. თავად ის მიეხმარა, გასულიყვნენ საქართველოდან უვნებელნი. საინტერესოა, რით მოძღვრავდა ცაავა თავის „ღირსეულ“ სულიერ შვილებს.

— თქვენ ქადაგებთ, რომ „ნაცმოძრაობა“ არ უნდა არსებობდეს. მათი რჩეული კანდიდატი არ უნდა იბრძოდეს პრეზიდენტობისთვის. რატომ ისმება საკითხი პრინციპულად, რომ სალომე ზურაბიშვილმა უნდა გაიმარჯვოს?

– ქართველი ხალხი დიდი დილემის წინაშე აღმოჩნდა. აქეთ ფაქტობრივი ხელისუფლება და იქით იმედგაცრუებული ხალხი. სხვა მხარეს გაავებული იბრძვის შერეკილი სააკაშვილი და მისი ბანდა, რომლებიც ტყუილი დაპირებების პირამიდებს უშენებენ ხალხს.

გავიხსენოთ ციხის კადრები, 7 ნოემბერი, 26 მაისი. ქუჩებში ჩაცხრილული ახალგაზრდები, რომლებიც მტკვარში ჩაყარეს, დაკარგული, გასხვისებული ტერიტორიები, ბატონი გურამ შარაძის მკვლელობა, პატარკაციშვილის მკვლელობა, სულხან მოლაშვილის წამება და უამრავი სადისტობა და ყოველივე ამის შემდეგ კვლავ „ნაცმოძრაობის“ რჩეულს მისცეს ხმა. მე არავის ვუწევ აგიტაციას. ყველა თავისუფალია არჩევანში, მაგრამ საღად მოაზროვნე ადამიანი უნდა არჩევდეს, რა უნდა გადაწყვიტოს ერის კეთილდღეობისთვის.

მოდით, თუ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები შეკრულნი ერთად იბრძვიან, დააბრუნონ ფაშისტი სააკაშვილი, ჩვენც ერთად შევიკრათ და ვიხსნათ ჩვენი ქვეყანა გადაშენებისგან, გადავარჩინოთ სარწმუნოება, სხვა გზა ჩვენთვის არ არსებობს, ყველაფერი ვიღონოთ, არ მოვიდეს ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობა“ და მათი მაწანწალა ხელმძღვანელი.

ღმერთმა დაგლოცოთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ახლაც ის ხდება, რაც აფხაზეთსა და ქვემო ქართლში უკვე მოხდა - რუსეთი „ნაცმოძრაობის“ და ვაშაძის ხელით საქართველოს დაპყრობას ცდილობს, ოღონდ ტანკების გარეშე, არჩევნების გზით

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ. პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:

— ქალბატონო ნანა, არჩევნებზე დამდგარი შედეგის მიხედვით, რა მესიჯი გაუგზავნა ხალხმა ხელისუფლებას?

— ეს გახლდათ ხალხის რისხვა ხელისუფლების მიმართ. არადა, თავისუფალი საქართველოს პერიოდში ასეთი დიდი ნდობა, რაც „ნაცების“ შეცვლის შემდეგ მოსულ ხელისუფლებას ჰქონდა, სხვა არ მახსენდება. შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. სახელმწიფო გუნდმა არჩევნების დროსაც კი არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ხმები დაეცვა, რაც ქართველმა ხალხმა მათ მისცა. სამწუხაროდ, კომისიებში, ყველგან, „ნაციონალები“ ჰყავდათ და დღემდე ჰყავთ. პროკურატურაში, სასამართლოში, მერიაში, საკრებულოშიდა სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში ყველგან „ნაცმოძრაობაა“ გაბატონებული. კომისიებში „ქართული ოცნების“ და ასევე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის კვოტითაც, ძირითადად, „ნაცების“ წარმომადგენლები იყვნენ. მათ, ფაქტობრივად, არავინ აკონტროლებდა და არ უშლიდა ხელს ეკეთებინათ ის, რაც სურდათ.

დღეს, ივანიშვილი პოლიტიკურ პროცესებში ძალიან აქტიურად ჩაერთო და ფაქტობრივად, საარჩევნო შტაბს თავად მართავს. მას არამარტო პოლიტიკაში დაბრუნება მოუწია, არამედ პროცესების მართვაც. მან დაინახა, რომ მის მიერ ხელისუფლებაში მოყვანილი ადამიანები ისე გაზულუქდნენ და გათავხედდნენ, რომ არჩევნების დროსაც კი არ გაინძრნენ, რათა მათთვის მიცემული ხმები დაეცვათ. ვფიქრობ, მეორე ტური უფრო მეტად გაკონტროლდება. საზოგადოებამაც დაინახა, რომ მხოლოდ „ქართული ოცნების“ იმედად არ უნდა იყოს. ხალხი მიხვდა, რომ საკუთარი მომავალი მათი დასაცავია. ჩვენ, რუსთაველის №34-ში სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერად ოფისი გავხსენით, სადაც დიდ მუშაობა მიდის. გაერთიანებული ვართ საზოგადოებრივ საწყისებზე, როგორც შვილმოკლული ოჯახის წევრები ისე, ბიზნეს, ქონებაწართმეული ადამიანები, არასამთავრობო ორგანიზაციები და უბრალოდ, აქტიური მოქალაქეები. ჩავთვალეთ, რომ მეტად მობილიზებულნი უნდა ვიყოთ, რათა ჩვენი ქვეყანა მოსალოდნელი საფრთხისგან დავიცვათ. მოქალაქეებს რომლებიც თავიანთი სახსრებით ვერ ახერხებენ რეგიონებში ჩასვლას და ხმის მიცემას, საშუალებას ვაძლევთ, უფასო ტრანსპორტით გადაადგილდნენ და გააკეთონ არჩევანი. ჩვენი დევიზია — არა ნაციზმს, არა ფაშიზმს, არა ნაციონალებს! მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიებით რეკლამირებას ვერ ვახერხებთ, საზოგადოების დიდი ნაწილი მოდის ჩვენს ოფისში და რეგისტრირდება, რათა ქვეყანა დაიცვას. მადლობა ღმერთს ქართულ საზოგადოებას შენარჩუნებული აქვს თვითგადარჩენის ინსტინქტი და მოსალოდნელ საფრთხეს გრძნობს. საზოგადოების გააქტიურება არის სწორედ იმის გარანტი, რომ ჩვენ, აუცილებლად, გავიმარჯვებთ და „ნაციონალების“ ხელისუფლებაში დაბრუნებას არ დავუშვებთ. ჩვენი გაერთიანება აღარ დაუშვებს იმას, რომ ეს საფრთხე ოდესმე განმეორდეს. ამის შემდეგ, „ქართულ ოცნებას“ მოუწევს ყველა დანაპირების შესრულება, მათ შორის, უმთავრესის — სამართლიანობის აღდგენა და „ნაციონალების“ ხელისუფლებიდან არა ფორმალურად, არამედ რეალურად ჩამოშორება.

— ქალბატონო ნანა, ამომრჩევლის 50%-ზე მეტი არჩევნებზე არ წავიდა. როგორ ფიქრობთ, ერი გამოფხიზლდა, მზად არის საკუთარი ხმების დასაცავად?

— საზოგადოება თვითორგანიზებულია. გავხსენით თუ არა ოფისი სახელწოდებით — არა ნაციზმს, უცებ, აღმოვაჩინეთ, რომ ძალიან მალე მსგავსი ოფისები გაიხსნა რუსთავში, ქუთაისში და სხვა დიდ ქალაქებში. ასეთი ორგანიზაციები მასშტაბურად ფუძნდება, რომლებიც მიმართულია იმისკენ, რომ თავად ხალხმა გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ გადავრჩეთ. ვინ გაიმარჯვა 2012 წელს? — ამაში ბიძინა ივანიშვილის დიდი ღვაწლი იყო, მაგრამ ხალხის როლსაც ნუ დავივიწყებთ. ეს იყო აჯანყება, რომელიც ქართველმა ხალხმა ამ პროვინციულ ფაშიზმს მოუწყო და კიდეც დაამარცხა. მაშინ ხალხი საარჩევნო უბნებთან მივიდა და „ნაცმოძრაობას“ უარი უთხრა. დღეს, საზოგადოებაში ზუსტად ანალოგიური გამოფხიზლებაა. ხალხმა ზუსტად იგივე საფრთხე იგრძნო და მიხვდა, რომ ქართული სახელმწიფო და საკუთარი მომავალი მათი დასაცავია. სწორედ ამის იმედი მაქვს, თორემ, „ნაციონალური მოძრაობიდან“ პორტირებული ადამიანები, რომლებიც დღესაც საბოტაჟის მდგომარეობაში იმყოფებიან, რა თქმა უნდა, ქართული სახელმწიფოსთვის არაფერს გააკეთებენ. ხალხმა უნდა გავაკეთოთ ჩვენი არჩევანი — არა ფაშიზმს, არა ნაციზმს და გამარჯვების მერე ხელისუფლებას „ნაცებთან“ კოაბიტაციური არსებობის საშუალება არ უნდა მივცეთ. თუმცა, ამას კოაბიტაცია არც ქვია. კოაბიტაცია არ ნიშნავს ხელისუფლების კრიმინალთან თანაარსებობას. კოაბიტაცია არ არის ის, რასაც დღეს ქართულ პოლიტიკაში ვხედავთ — კრიმინალების ყოფნას. ეს არის დანაშაული. „ქართულმა ოცნებამ“ პასუხი უნდა გაგვცეს, რატომ დაუშვეს კრიმინალები პოლიტიკაში. მჯერა, ქართველი ხალხი ბოლომდე გაწშენდს პოლიტიკურ სივრცეს კრიმინალებისგან. ეს ორგანიზებული საზოგადოება არის გარანტი იმისა, რომ ქართული სახელმწიფო გადარჩება და გაიმარჯვებს.

— „ნაცების“ გამარჯვების შემთხვევაში არსებობს აგრესიული რევანშის საფრთხე. რა ძალას წარმოადგენენ „ნაციონალები“?

— არ მგონია, რომ ეს ძალა დღეს გაშიფრული არ იყოს. უდაოა, რომ „ნაცმოძრაობა“ სრულიად რუსეთის მიერ მართული და მათ მიერ მხარდაჭერილი ძალაა დაწყებული 2003 წლიდან დღემდე. „ვარდების რევოლუციის“ დროს ყველას კარგად გვახსოვს ვინ ჩამოვიდა რუსეთიდან და გვერდით დაუდგა „ნაცმოძრაობას“, რათა მათ გაემარჯვნათ. გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო შტაბი, აბსოლუტურად, რუსულია, იქ, ქართულ სიტყვასაც კი ვერ გაიგონებთ, არათუ რაიმე ქართულ აზრს ან იდეას. მთლიანად რუსული კამპანია, პიარი, პოლიტიკა მიდის. ეს უკვე ღია თამაშია პრო-დასავლურსა და რუსულ პოლიტიკას შორის. ხალხი ხედავს: ვაშაძე თავად აღიარებს, რომ მისი მშობლიური ენა ქართულთან ერთად რუსულიც არის. იგი, თავისი აზროვნებით, ოჯახით, შვილით, რომელიც დღემდე რუსეთის მოქალაქეა და ქართული ერთი სიტყვა არ ესმის, პრო-რუსია. მას რუსული ორიენტაციისა და აზროვნების ოჯახი ჰყავს. ვაშაძის სახით რუსი ფიგურები, რუსული სპეცსამსახურების, კაგებეს ნომენკლატურები ღიად არიან ჩართულნი ქართული პოლიტიკური სივრცის შესაცვლელად. აქ, გასაშიფრი არაფერი არ არის, ღია თამაშს ეწევიან. გაიძახიან: რუსები არ ვართო, მაგრამ ღიად, ლუსტრირებულად გვაჩვენებენ, რომ რუსეთი მოდის, რაც იკვეთება ვაშაძის შტაბიდან დაწყებული მისი ოჯახის წარმომავლობით დამთავრებული. ის აქტიურობა, რაც დღეს საზოგადოებისგან გამოიხატა სწორედ გარანტია იმისა, რომ საქართველო რუსულ წიაღში დაბრუნებას აღარ დაუშვებს და შეეცდება ცივილიზებული სამყაროს ნაწილი იყოს, რაც თავისთავად, გამორიცხავს პოლიტიკაში ვაშაძესთან თანაარსებობას. ასე, რომ მეორე ტურს იმედიანად ვუყურებ და დარწმუნებული ვარ, იგი, არა რომელიმე კანდიდატის, არამედ ქართველი ხალხის გამარჯვებით დამთავრდება.

— „ნაცმოძრაობა“ ბინძურ პიარ-კამპანიას არ ეშვება. მათ დამოუკიდებელი კანდიდატის წინააღმდეგ ქართული ჯარის ამხედრებაც კი მოახერხეს.

— დიახ, „ნაცმოძრაობა“ პირდაპირ საბოტაჟს მიმართავს. სამწუხაროდ, ეს საბოტაჟი, რაც ქვეყანაში ახლა ხდება, „ქართული ოცნების“ პოლიტიკის შედეგია. სალომე ზურაბიშვილის კი არა, ეს, რეალურად საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებაა, რათა ჩვენი ქვეყანა კრიმინალურმა ძალამ დაიპყროს. საშშობლოს ზოგი გულუბრყვილოდ, ზოგიც შეგნებულად ყიდის. ოდითგანვე ასეა: საქართველოს შინაური მტრები ყოველთვის უფრო მეტად აზიანებდნენ და აზარალებდნენ, ახლაც, ასე ხდება. ყველაზე დიდი მტერი, რაც დღეს საქართველოს ჰყავს, არის „ნაცმოძრაობა“, რომელიც ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებს. მჯერა, აქაც ქართული გენი გაიმარჯვებს და ღვთისშშობლის წილხვედრი ქვეყანა არ გაიწირება. უფალი არ დაუშვებს, რომ ქართული სახელმწიფო გადაშენდეს, რაც ავტომატურად, ნაცების დამარცხებას ნიშნავს.

— ნაცები გვეუბნებიან: დავივიწყოთ 9 წლიანი რეჟიმიო. განა ეს შესაძლებელია?

— დიახ, „ნაცმოძრაობა“ სულ ამას გაიძახის: ნუ გვახსენებთ ამ ცხრა წელს, რაღადროს ეგ არისო. კი მაგრამ ჩადენილი დანაშაულებებისთვის პასუხი აგეს? გერმანულმა ფაშიზმმა ხომ აგო პასუხი, იქ, განაჩენიც გამოიტანეს, მაგრამ ერი ფაშიზმს არ ივიწყებს იმიტომ, რომ ეს აღარასდროს განმეორდეს. როგორ შეიძლება ისეთი დანაშაულებების დავიწყება, რაც „ნაცმოძრაობამ“ ჩაიდინა?! დავივიწყოთ, რათა იგივე ჯოჯოხეთი კიდევ მოგვიწყონ? რას ნიშნავს დავივიწყოთ. დავივიწყოთ კი არა, მათი ქმედებების შესახებ ჩვენმა შთამომავლობამ უნდა გაიგოს, რათა ის, რაც ნაცების დროს ხდებოდა, აღარასდროს განმეორდეს.

ამ პროცესებმა ძალიან ბევრი სიბინძურე ამოატივტივა — ხელისუფლებაში დაშვებული შეცდომები და სახელმწიფოს მტრების უზარმაზარი არმია, რომლებიც სერიოზულ დონეებზე არიან მოკალათებული, მათ შორის, მედიაში, პოლიტიკაში, სამოქალაქო სექტორში. ეს ქართველმა ხალხმა კარგად უნდა გააზროს. ცვლილება ყველა რგოლს უნდა შეეხოს და მთელი სპექტრი გაიწმინდოს ფაშისტური წარმონაქმნებისგან და ფაშისტური რეჟიმის მხარდამჭერებისაგან. ყველა მიმართულებით უნდა მოხდეს ანტიქართული ძალების ჩამოშორება. დიდი მადლობა „საერთო გაზეთს“ და ბატონ ვახტანგს იმისათვის, რომ ინარჩუნებთ სისუფთავეს, იბრძვით ქვეყნის მომავლისა და თავისუფლებისთვის.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ჩვენ, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები, საქართველოს ერთგული ჯარისკაცები ვართ და ამ ქვეყნის ხელყოფის უფლებას არავის მივცემთ!

გვესაუბრება საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი.

— ბატონო ალი, თქვენ აქტიურად ხართ ჩართული საარჩევნო კამპანიაში და „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილ კანდიდატს გვერდით უდგახართ. მომაჩნია, რომ მამულიშვილურ საქმეს ემსახურებით. რის გამოც „საერთო გაზეთის“, ჩვენი მკითხველების და ქართული საზოგადოების სახელით მადლობა მინდა გითხრათ პატრიოტული საქციელისთვის და უანგარო თავდადებისთვის.

რამდენადაც ვიცით, თქვენ ინტენსიურად დადიხართ რეგიონებში. რა მდგომარეობაა, ზოგადად, რა განწყობაა ხალხში?

— ვინც ცხოვრობს საქართველოში, ყველა ადამიანის ვალია, იყოს ამ ქვეყნის პატრიოტი და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ სტაბილურობა იყოს ქვეყანაში.

მე შემოვიარე თითქმის მთელი აღმოსავლეთი საქართველო — ქვემო ქართლი და თბილისი. თითქმის ყველა ოჯახში ვიყავით და აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი საერთოდ არ იყო ჩართული საარჩევნო კამპანიაში. ზოგი ნაწყენი იყო უყურადღებობით. აღმოჩნდა, რომ 2014 წლიდან ახლადარჩეული მაჟორიტარი დეპუტატები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერები, მათი აპარატი, საკრებულოების ხელმძღვანელობა მთლიანად იყო დაშორებული ხალხს. შეწყვეტილი იყო სოციალური დახმარებები, შემწეობები და ა. შ.

„ნაცმოძრაობის“ და სხვა ვითომ გაერთიანებული ოპოზიციონერების მხრიდან ვგრძნობდით, რომ იყო ძალიან ბევრი სპეკულაცია, არასწორი ინფორმაცია მოსახლეობასთან.

აზერბაიჯანულ მოსახლეობაში ვრცელდებოდა ინფორმაციები, თითქოს სალომე ზურაბიშვილი არის სომეხი, თითქოს აფინანსებს სომხური დიასპორა საფრანგეთში, თითქოს ეწეოდა ანტითურქულ პროპაგანდას. თურქეთიდანაც კი დამირეკეს — ჩვენს მოწინააღმდეგე პრეზიდენტს ირჩევთო?!

ხალხში მრავლად იყო მცდარი ინფორმაციები.

შესაძლოა, ვიღაცებს ეგონათ, რომ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტით I ტურში აუცილებლად გაიმარჯვებდა ხელისუფლების მხარდამჭერი კანდიდატი.

ადგილობრივმა მუნიციპალტეტებმა ძალიან ცუდად იმუშავეს, ფაქტობრივად, საერთოდ არ უმუშავიათ, ამიტომ, რაც მოხდა I ტურში, ეს გასაკვირი არც უნდა იყოს.

36 სოფელი მოვიარე ბოლო ხანებში ჩემს მეგობრებთან ერთად. სრული არაინფორმირებულობა იყო ქარელის, კასპის, გორის, გარდაბნის რაიონების სოფლებში. სამი ინტერვიუ მივეცი აზერბაიჯანულენოვან საიტებს, რომ გაეგოთ, ვინ არის სალომე ზურაბიშვილი და რატომ უნდა დავუჭიროთ მას მხარი. ხალხი გაოცებული მხვდებოდა. მუნიციპალიტეტებში კი საარჩევნო პლაკატები იატაკზე ეყარა და ხალხამდე არავის მოჰქონდა. არავითარი სოციოლოგიური კვლევა არსად არ იყო ჩატარებული, „კარდაკარებზე“ ხომ საუბარიც ზედმეტია.

— რატომ, რა ხდება, რა მოხდა, ბატონო ალი?

— მე ვფიქრობ, ეს საქმე „ქართულ ოცნებაში“ პორტირებულებისთვის ჰქონდათ დავალებული. სიტყვით „ქართული ოცნების“, ანუ სახელმწიფოს მხარეს იყვნენ, საქმით „ნაცმოძრაობას“ ემხრობოდნენ.

დაწინაურებული არიან ისინი, ვინც გვატერორებდა, თითს გვიქნევდა და სასიკვდილოდ გვიმეტებდა. მათ შორის საკრებულოების დეპუტატებიც არიან, ზოგიერთი მერიც გახლავთ. მაგალითად, გარდაბნის დღევანდელი მერი, რომელიც წლების განმავლობაში აყალბებდა „ნაცმოძრაობის“ ხმებს.

მოგეხსენებათ, სართიჭალა-მუღანლო დიდი დასახლებაა. სასტიკად წააგო იქ სალომე ზურაბიშვილმა, რადგან არავითარი ინფორმაცია არ მიუწოდებია არავის ხალხისთვის. სოფლის დეპუტატს ჰქონდა მხოლოდ სახლის კარებთან გაკრული ზურაბიშვილის პლაკატი. სხვათა შორის, ეს ადამიანი „ნაცმოძრაობის“ დროს ვაჟა ლელუაშვილის და ყოფილი გუბერნატორის მოადგილის სოინ უსუბოვის აგენტურაში იყო ჩართული. ეს ადამიანი ახლა გარდაბნის საკრებულოს დეპუტატია.

ასეთები ბევრი იყვნენ.

ბატონი ივანიშვილის გამოსვლის შემდეგ, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები გააქტიურდნენ, დადიან მოსახლეობაში, მაგრამ რაც მოხდა, იმაზე უნდა განხორციელდეს სერიოზული რეაგირება.

ჩემი აზრით, პარტიამ სერიოზული ანალიზი უნდა გაუკეთოს თავის ქმედებას 2014 წლიდან 2018 წლამდე. არც რეგიონებში იმუშავეს, არც პოლიტსაბჭომ იმოქმედა. პარტიამ თავისი პლატფორმა უნდა გადაახალისოს, რადგან წინ სერიოზული ბრძოლაც გველის საპარლამენტო არჩევნების სახით.

კასპში არის სოფელი ხიდისყური. იქ საარჩევნო უბანზე ყოფილა შეხლა-შემოხლა. ნიკოლოზ მელია მისულა იმ სოფელში, მაგრამ ხალხს კი არ შეხვედრია, ამ არეულობის დროს დაზარალებულის ეზოში მისულა და დაუწყია ტრაბახი — ჩვენ ვიცავთ ეთნიკურ უმცირესობებსო და ა. შ.

ბატონო მელია, მელიასავით რომ მიცუნცულდი იმ სოფელში, არ შეგეკითხა არავინ, 9 წლის განმავლობაში სოფელ ხიდისყურში ან მის მახლობელ სოფელ საქადაგიანოში, რა გააკეთა „ნაცმოძრაობამ“?

მე გეტყვით, რაც გააკეთა — ამ სოფლებშიც ატერორებდა ხალხს, უდებდნენ ნარკოტიკს, განადგურებული ინფრასტრუქტურა იყო ყველგან,.

ამ ხელისუფლების დროს ხიდისყურსა და მადლობელ სოფლებში გაკეთდა გზა, გაიყვანეს გაზი, წყალი მიეწოდება მოსახლეობას, გარე განათებები დამონტაჟდა, სკოლები გარემონტდა, გეგმაშია ასევე ძალიან სერიოზული პროექტების განხორციელება.

როგორ შეიძლება „ნაცმოძრაობას“ მხარს უჭერდეს ვინმე, როცა ესენი არიან ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მტრები, ისლამური რელიგიის გამანადგურებლები, ტრადიციების მომსპობები. ამის დადასტურებაა ისიც, რომ შარვლები ჩაიხადეს სასაზღვრო ზოლთან. გაიგეთ, ხალხო, ნაციონალებისთვის ქართული და აზერბაიჯანული სულ ერთია. ყველა ტრადიცია, რასაც ვთვლით, რომ წმინდაა და კავკასიურია, ესენი ფეხით თელავენ.

კავკასიელი კაცი შარვალს არასოდეს ჩაიხდიდა და უკანალს არ აჩვენებდა.

— ასეთ სიმართლეს რომ ამბობთ, ნაციონალები არ გიტევენ?

— 2007 წლიდან აქტიურად ვდგავარ მათ წინააღმდეგ ქართველი ხალხის გვერდით. როგორც ჩემი წინაპრები იდგნენ საქართველოსთან. როგორც ხუდია ბორჩალოელი ედგა მხარში ერეკლე II-ს. საქართველო ჩემი სამშობლოა. ამას ვერავინ ვერ წამართმევს. მე ვიდექი და ვდგავარ ფეხზე საქართველოსთვის და ვერავინ ვერ დამაშინებს, მიუხედავად დიდი ტერორისა, რაც განვიცადეთ და რასაც განვიცდით მთელი ჩემი ოჯახი.

II ტურში ხმა უნდა მივცეთ 48 ნომერს, სალომე ზურაბიშვილს, რომელიც გახლავთ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი მშვიდობიანი დღის გარანტორი.

ჩემო აზერბაიჯანელო თანამემამულეებო, მე ვიბრძოდი და ვიბრძვი საქართველოში აზერბაიჯანელთა უფლებებისთვის ფლების განმავლობაში და გპირდებით, თქვენს უფლებებს მე ყველგან და ყოველთვის დავიცავ. ძალიან გთხოვთ, გაითვალისწინეთ და გაიხსენეთ ის დრო, როცა გარბევდნენ, თქვენს შვილებს იჭერდნენ, ჯიბეებში ნარკოტიკებს და იარაღს უდებდნენ, მიწებს გართმევდნენ, საცხოვრებელი სახლებიდან გჭრიდნენ. მიდით საარჩევნო ყუთებთან და ხმა მიეცით თქვენი შვილების მომავალს, ხმა მიეცით ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს.

„ქართული ოცნება“ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, ყველაფერს გააკეთებს, რომ საზოგადოების ასპარეზზე გამოჩნდნენ აზერბაიჯანელები, რომლებსაც ხმის ამოღების უფლება არ ჰქონდათ ნაციონალების დროს. წიხლს რომ გირტყამდნენ და თვითონ კარგად ცხოვრობდნენ, ის ახლხი აღარასდროს არ უნდა მობრუნდნენ ხელისუფლებაში.

— ბატონო ალი, „რუსთავი-2“-ს აზერბაიჯანული ეროვნების ახალი კორესპონრენტი გამოუჩნდა, რომელიც ამტკიცებს, აზერბაიჯანულ მოსახლეობას პურზე და ყურანზე აფიცებინებს „ქართული ოცნებაო“.

— რას ლაპარაკობთ. „ნაცმოძრაობის“ სიცრუეზე დაფუძნებულ ტელევიზიას როგორ უნდა დაუჯეროთ. ეს არის მოგონილი ტყუილი „ნაცმოძრაობის“ ქვემო ქართლის მთავარი მაფიოზის, აზერბაიჯანელების პირველი დამტერორებლის, ყოფილი „კმარას“ წარმომადგენლის დავით კირკიტაძის მიერ. ის არის ამის ინიციატორი. ეს კაცი ნაციონალების დროს იყო ქვემო ქართლის გუბერნატორი. მასე უამრავი საზიზღრობა აქვს გაკეთებული ქვემო ქართლში. დღევანდელი პროკურატურა, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან სუსტად მუშაობს, არ აქცევს ყურადღებას იმ ადამიანების საჩივრებს, კირკიტაძის წინააღმდეგ რომ არის შეტანილი.

2012 წლის არჩევნების დროს კირკიტაძემ რუსთავში მუსულმანი სასულიერო პირები, შეიხები და იმამები დაიბარა. მოუწოდა მათ: თითოეულმა თქვენგანმა უნდა იაროთ ყოველ სახლში, ხელში გეჭიროთ ყურანი და ყველა ოჯახში დააფიცებინათ ყურანზე, ხმა მისცენ „ნაცმოძრაობასო“. კირკიტაძის ამ მეთოდს ასაღებენ ახლა „ქართულ ოცნებას“. არ გამოუვათ. ჩვენი ხალხი ამ პროვოკაციას არ წამოეგება. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები ქართული სახელმწიფოს ერთგული ჯარისკაცები ვართ. ჩვენ გავიმარჯვებთ!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

სასაცილოდან სასაჭირლომდე

ანუ როგორ ცდილობენ მეორე ტურის წინ არჩევნების გაყალბებას „მიშმაკები“

ვაფრთხილებ ყველას, დიდსაც და პატარასაც, ქალსაც და კაცსაც, ერსაც, ბერსაც და ხელისუფლებასაც, „ნაციონალები“ ისევ აყალბებენ არჩევნებს (28 ნოემბერს დანიშნულ მეორე ტურს). თუ პირველ ტურში ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია (მაჭუტაძეები) საქართველოს მთავარი გამყალბებლის გარეშე მუშაობდნენ, ახლა ისიც ამ „სასტავში“ მოექცა. დიახ, ალბათ მიხვდით, ვისზეც მოგახსენებთ, მაგრამ მაინც დაგიკონკრეტებთ – ეს გახლავთ არჩევნების გაყალბების დედა ხათ(ქ)უნა გოგორიშვილი. ვერაფერს იტყვი, მას აქვს უპრეცედენტო გამოცდილება შევარდნაძიდან ეპოქიდან მოყოლებული დღემდე. თქვენ გგონიათ, დავით ბაქრაძემ (ჩანგალა და გოგონამ) მართლა მიიღო 10 პროცენტი პირველ ტურში? არ დაიჯეროთ, უბრალოდ ვიღასცებს ეგონათ, დავითი მოსესავით გვატარებს და თავს მართლა ევროპულ საქართველოში ამოგვაყოფინებსო, სინამდვილეში კი ისევ

„ნაცმოძრაობაში“ აღმოჩნდნენ. თან, როგორც გითხარით, ქალბატონმა ხათ(ქ)უნამაც შეიტანა თავისი მანიპულაციებით დიდი წვლილი ჩერგო-ბოკერვილების კანტორაში. მოკლედ, ასეა თუ ისე, ამჟამად გოგორიშვილი ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის (მაჭუტაძეების) შტაბშია გადასროლილი და შესაბამისად, უნდა ველოდოთ გაყალბების ახალ-ახალ იდეებსა თუ პროექტებს. მართალია, ქალბატონ ხათ(ქ)უნას გადასროლა (წონის გამო) იოლი არ იყო, მაგრამ „ნაცებმა“ მაინც მოახერხეს, მაგათი მოუხერხებელ-გაუკეთებელი არის რამე ამ დუნიაზე? ბოლო-ბოლო, „კასტილებით“ აუპატიურებდნენ თანამოქალქეებს!

ერთი სიტყვით და მრავალნაირი გაგებით, მე, როგორც ერთ-ერთმა რიგითმა მოქალაქემ, გადავწყვიტე, ბოლომდე ვებრძოლო „კასტილოვანთა“ მოდგმას და არ დავუშვა მათი დაბრუნება ხელისუფლებაში. ამიტომ პერიოდულად გვერდზე ვდებ კალამს (კლავიატურას) და თბილისიდან ჩავდივარ ჩემს მშობლიურ სიღნაღში, სადაც „ნაციონალებმა“ ლამის მთლიანად ააყროლეს იქაურობა და იკადრეს ყველაფერი. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების ნაწილს დღეს საერთოდ არ გააჩნია ანალიზის კი არა, უბრალოდ დაფიქრების უნარი – ბევრი წამოეგო ვაშაძის „ტუფტა“ (400-ლარიან) პენსიის თემას. ზოგი ბებო იძახის, განა მჯერა, შვილო, რო მოგვიმატებს, მაგრამ მაინც კარგი მოსასმენიაო. ჰო, ეგრეა, ყურს სიამოვნებს 400 ლარი. მეორე – გარკვეულ მასებში ასევე კარგად მუშაობს მიხო სააკაშვილის უძლეველობის თემა – მაგალითად, გავიცანი ადამიანი, რომელსაც ამ ხელისუფლებამ ორჯერ დაუფინანსა გულის ოპერაცია, ერთხელ 32 ათასი ლარით, მეორედ – 22 ათასი ლარით, ახლა სიცოცხლენაჩუქები ადამიანი და მისი ახლობლები ამტკიცებენ, რომ ეს ფული სააკაშვილმა დაუტოვათ წასვლისას (აზროვნების დონე ნახეთ!). ასეთ ადამიანებს ვერც ვერაფერს ავუხსნი, ვერც ვერაფერში დავარწმუნებ, საქმე გვაქვს ფსიქიატრიულ მოვლენასთან.

„ნაციონალებს“ კარგად აქვთ შესწავლილი ჩვენი ხალხის ფსიქოლოგია და გონებრივი შესაძლებლობები. ამავე დროს ეფექტურად იყენებენ იოზეფ გებელსის (ადოლფ ჰიტლერის იდეოლოგის) მეთოდებს – შენი სიბინძურეები უნდა მიაწერო და გადააბრალო სხვას, რათა იმ სხვას იქით მოუხდეს თავის მართლება. ამის საუკეთესო მაგალითი გახლავთ ბოლო დროს აჭარაში განვითარებული მოვლენები, სადაც „ნაცები“ დაძვრებიან ასლან აბაშიძის მომხრეებთან, მის ყოფილ სპეცრაზმელებთან, მიდის გადაბირება. ამ დროს იწყებენ კამპანიას, თითქოს „ოცნება“ აწარმოებს მოლაპარაკებებს მათთან. მურმან დუმბაძემ თქვა კიდეც ამაზე, ვახტანგ გომელაურია ჩამოსული აჭარაში და „ბაბუინებს“ ხვდება ფარულადო. ისე, მე თუ მკითხავთ, ამ ხალხს მართლა უნდა დაელაპარაკოს ვინმე, უნდა დამთავრდეს ამ ადამიანების გარიყვის პროცესი, მარტო 500-მდე ყოფილი სპეცრაზმელი ზის სახლში.

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბებიდან ჯერაც ვერ მოხერხდა „ნაციონალებისა“ და მათთან გათანაბრებული პირების განდევნა. როგორც მეუბნებიან, ბათუმის შტაბის უფროსს, ირაკლი ჭეიშვილს მარჯვენა ხელად ჰყავს გავარვარებული „ნაციონალი“, ვინმე ბერძენიშვილი. სულ მიკვირდა და ახლაც მიკვირს, თუ შენ ამ ხელისუფლების სამსახურში ხარ, მაშინ რატომ იყენებ ამავე სამსახურში ისეთ ადამიანს, რომელიც დღეს თუ ხვალ გადატრიალებას მოგიწყობს და ყელს გამოგჭრის? გარდა ამისა, „ოცნების“ საარჩევნო შტაბებიდან გრიალით გადის ინფორმაცია, „ნაციონალებისთვის“ ამ მხრივ არა არს რაიმე დაფარული. შტაბებში ჩანერგილების თემა არახალია, მაგრამ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ შენობებში დამონტაჟებულია მოსასმენი აპარატურები, ე.წ. „ჟუჩოკები“. მოვუწოდებ ხელმძღვანელებს, კარგად გადაამოწმონ ოთახები, ავეჯი და კედლები, ასევე „შტეფსელები“. თუ ვერაფერს აღმოაჩენენ, მაშინ გაითვალისწინონ ჩემი რჩევა და ოფისებში ნუ ილაპარაკებენ ბაზრის დონეზე, შეარჩიონ დრო და ადგილი. უჰ, რავა ყველაფერი ჩემი საფიქრალია ამ ქვეყანაში?! კაი, ვხუმრობ, სერიოზულად არ მიიღოთ!

რაც უფრო მოახლოვდება მეორე ტური, მით მეტი იქნება საბოტაჟის მცდელობა. ამ საქმისთვის „ნაციონალები“ იყენებენ სკოლების დირექტორებს, რეგიონებში ბიბლიოთეკების გამგეებს, ბაგა-ბაღების ხელმძღვანელებს და ასე შემდეგ. მაგალითად, ბათუმის ერთ-ერთი საჯარო სკოლიდან სწორედ მეორე ტურის წინ მოუნდათ „მავნებს“ პედაგოგების გათავისუფლება და საათების შემცირება, ვითომც განათლების სამინისტროდან დაავალეს. მე არ ვიცი, ვინ გასცა ბრძანება, სკოლაში პედაგოგები შემცირეთო, მაგრამ ეს რომ აშკარა საბოტაჟია, კარგად ჩანს. ამჟამად სიტუაცია გამოსწორებულია.

როდესაც ამ სტატიას ვწერდი, გავრცელდა ინფორმაცია, „ნაციონალური მოძრაობის„ კოორდინატორი, ვეჯინელი ელმირა ბეციაშვილი თელავის პროკურატურაში გამოკითხვაზე დაიბარესო. თურმე ელმირას ამავე სოფელში მცხოვრებ გულნაზ ცანკაშვილისთვის 40 ლარი მიუცია, შენს რძალს გადაეცი, რომ მხარი გრიგოლ ვაშაძეს დაუჭიროსო. გულნაზის ფული არ აუღია და როცა სახლში მისულა, შვილსა და რძალს უცებიათ. თურმე რძალმა არა მარტო სცემა, არამედ ხელის მტევანზეც რამდენჯერმე უკბინა. გაუძელით, ქალბატონო გულნაზ, ჩვენც მაგ დღეში ვართ, „ნაციონალები“ ხან ხელის მტევანზე გვკბენენ, ხან კიდევ ტრაკზე. ისე, ძალიან ძნელია, ოჯახში ასეთი სულგაყიდულები რომ გეყოლებიან. ეს ამბავი ცოტაოდენ სასაცილოკია, მაგრამ საბოლოო ჯამში სერიოზულ კატასტროფასთან გვაქვს საქმე – გამოვა ამხანაგი გრიგოლი (თუ აირჩიეს) და გამოგვიცხადებს, მე ვარ და ჩემი ნაბადიო, ქართველმა ხალხმა ქვეყნის სადავეები ჩამაბარაო. სინამდვილეში კი ბეციაშვილ-ცანკაშვილების ნაჩალიჩარი პრეზიდენტი გამოდის. უკვე გითხარით, სიღნაღში ჩავდივარ-მეთქი პერიოდულად... ჰოდა, იქ ერთ სოფელში აღმოჩნდა ბიბლიოთეკარი ქალი, რომელსაც სამკითხველო ამ კვარტალში არ გაუღია, აღარაფერს ვამბობ წინა კვარტლებზე. ამ ქალს იმავე სოფელში მაღაზია აქვს გახსნილი, ზის მთელი დღე და ვაჭრობს. ბიბლიოთეკაში ხელფასი აქვს პენსიასავით, თავს მშვენივრად გრძნობს, მაგრამ იმდენად გახარებულა, „ნაცებისგანაც“ აუღია და „განაცებულა“.

ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა: მეორე ტურში „ნაციონალები“ იმდენ ფულს ვეღარ ხარჯავენ, რამდენიც პირველ ტურში დახარჯეს. აშკარაა, რომ თურქეთის გავლით დიდ ფულს აღარ იძლევიან. თემურ ალასანიას ან გაუთავდა, ან კიდევ წუწკობს და ბიძინა ივანიშვილის მოსაკლავად ინახავს. ჰოდა, რაკიღა ეს წუპაკები ტელევიზიით სარეკლამო რგოლებს ვეღარ უშვებენ, მოსახლეობას ვეღარ არწმუნებენ, სალომე ზურაბიშვილი მოღალატეაო, მთელი თავიანთი ბინძური არტილერია სოციალურ ქსელებში გადაიტანეს. სოციალურ ქსელებში რა, მაგათ მარტო „ფეისბუქში“ შესვლა იციან ახლობლების დახმარებით და იბრძვიან ლათინური შრიფტი თ. აგერ, სალომეს ვაჟს, თეიმურაზ გორჯესტანს ლანძღავენ (ლათინური შრიფტით), შენ დედას რანაირად დაიცავ, როცა ქართველი კი არა, ირანელი ხარო? ჰა, ჰა, ჰა... ჯერ ერთი, თეიმურაზის ნამდვილი გვარი გუგუშვილია და მეორეც – რათ უნდა დედის დაცვას ეროვნება, თქვე ჭკუით ღატაკებო, ეგ რა შუაშია?! მოკლედ, „ნაცებმა“ თავიანთ „პადელნიკებს“ დაავალეს, როგორც შეგიძლიათ, ისე ლანძღეთ და თათხეთ სალომე ზურაბიშვილიო და ესენიც გადასულები არიან შეტევაზე. აქ მნიშვნელობა არ აქვს, როგორ სისულელეს დაწერენ ან იტყვიან, ამ ქვეყანაში იმდენი დეგენერატი ცხოვრობს, ამასაც იჯერებენ, იტაცებენ და მსჯელობენ.

და ბოლოს... „ქართულ ოცნებას“, მთავრობას, საკანონმდებლო ორგანოს და საერთოდ, „ნაციონალების“ მოწინააღმდეგე ძალებს ახლა სჭირდებათ ასი თვალი და ასი ყური, „ოცნებამ“ თავის შტაბებში კი შეცვალა „უმფროსობა“, მაგრამ იქ „მიშმაკები“ მაინც მრავლად არიან, ამ ეტაპზე ყველას ვერ მისწვდები, გაწშენდითი სამუშაოები არჩევნების შემდეგაც უნდა გაგრძელდეს. ერთ-ერთ რაიონში (შეგნებულად არ ვასახელებ) რამდენიმე ჩინოვნიკის მძღოლი „ნაციონალი“ რომ აღმოჩნდა, მაგაზე ვიცინე მაგრად. არა, რა სასაცილო ამბავი ესაა, მაგრამ „ოცნების“ ხელისუფლებაში რომ ხარ და მძღოლად „ნაციონალი“ გყავს, მაინც მაგარია. თან ამ მძღოლის ძმის სახლში ყოველ საღამოს რაიონული მაჭუტაძეების შეკრებები იმართება, ეგეც ხომ ძაან მაგარია? ჰოდა, ბიჭებო და გოგოებო, თქვენ მძღოლებზეც მე რაფერ უნდა ვიფიქრო, მაგრამ რაკი ახლა საქმეს სჭირდება, გადაამოწმეთ, შეიძლება ვინმეს გადაცმული გრიგოლ ვაშაძე, ან გადაცმული მიხო სააკაშვილი აღმოგაჩნდეთ მანქანაში. თუ თავს კარგად გრძნობთ მაგათთან, იმის გაგება მაინც მოახერხეთ, რომ ჯიბეებში „დიქტოფონები“ არ ედოთ. კარგად დაიმახსოვრეთ, ეგენი ფარული ჩაწერის დიდოსტატები არიან. მაგალითად, მე უკვე ისე ვარ დაზაფრული, როცა მანქანაში ვჯდები, საგულდაგულოდ ვათვალიერებ, შეიძლება სალონში უცებ მეგი გოცირიძე გამეჩითოს.

აბა, თქვენ იცით, ნუ გეშინიათ, ჩვენ ამ ომსაც მოვიგებთ და მერე პასუხსაც მოგთხოვთ, აქამდე რომ მიგვიყვანეთ, გასაგებია?!

გელა ზედელაშვილი

„ნაციონალებო“, თქვენი სიტყვებით ჩვენ უკვე მოგვკალით და შავ ხვრელებში გადასაყრელ გვამებად გამოგვაცხადეთ, მაგრამ ჩვენ მაინც ვიცოცხლებთ, რომ თქვენნაირებს ხმამაღლა ვუთხრათ: არა!!!

თუ ღმერთი, რაიმე სახის კეთილი ძალა და სამართალი არსებობს, მხოლოდ ამ ფრაზის გამოც ვერასდროს მოხვალთ – ვერსად!

წლების წინ, ლისის ტბაზე მდებარე ონკოლოგიურ საავადმყოფოში ახლობელის მოსანახულებლად მივედი. პაციენტის ძებნაში გართულს სართულები ამერია და მოზრდილთა ნაცვლად, ბავშვთა განყოფილების კარი შევაღე. გრძელ დერეფანში შესულს დაახლოებით ათი წლის, გამხდარი გოგონა დამხვდა. თავზე ჭრელი თავსაფარი ჰქონდა მოხვეული და ცისფერი, სევდიანი თვალებით მიყურებდა. ასე პატარას და ასე ფერადს იმდენად არ უხდებოდა საავადმყოფოს მძიმე და რუხი კედლები, რომ ვერ მივხვდი, რატომ იყო აქ, რატომ ეზოში, თანატოლებთან არ დარბოდა, ბურთს არ თამაშობდა და რატომ ჰქონდა ასე პატარას თვალებში ასეთი დიდი ტკივილი და სევდა..

იმის შემდეგ წლები გავიდა და მჯერა, რომ ის გოგონა ახლა ჯანმრთელი და ბედნიერი ქალია, მაგრამ როცა რამდენიმე დღის წინ, გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა პირველი არხის გადაცემაში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე ისაუბრა, სწორედ ის გოგო და მისი სევდიანი თვალები გამახსენდა. გიორგი ვაშაძემ „ქართული ოცნების“ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა გააკრიტიკა და განაცხადა, რომ პროგრამის მთავარი ხარვეზია, რომ ფინანსები არა დაავადებების პრევენციაზე, არამედ – მომაკვდავი ადამიანის მკურნალობაზე იხარჯება.

„ნაცვლად იმისა, რომ გამართული ინფრასტრუქტურის პირობებში ფინანსები პრევენციის მიმართულებით დახარჯულიყო, ჩვენ ამ ფულს ვასხამთ შავ ხვრელში, რადგან ვმკურნალობთ მომაკვდავ ადამიანს. ანუ, მაგალითად, ადამიანს რომ სიმსივნე აქვს, ვმკურნალობთ იმას, რომ ქიმიოთერაპია მიიღოს და ვიცით, რომ ამან შეიძლება, ექვსი თვით გაუხანგრძლივოს ცხოვრება“.

2009–2010 წელი იქნებოდა, როცა ჩემს სამეზობლოში 16 წლის მოზარდი დაიღუპა. გოგონას ბრმა ნაწლავი გაუსკდა და საავადმყოფოში აუტანელი ტკივილებით გადაიყვანეს. გადარჩენა შეიძლებოდა, მაგრამ საოპერაციოში ვერ შევიყვანთ, სანამ ფულს არ გადაიხდითო – თავზარდაცემულ მშობლებს გამოუცხადეს ექიმებმა. სანამ გაგიჟებული მამა ფულის საშოვნელად ახლობლებში და ნათესავებში დარბოდა, საოპერაციოს კართან, ურიკაზე მწოლი ბავშვი გარდაიცვალა და იმ წლებში ასეთი არაერთი შემთხვევა მოხდა.

რამდენიც არ უნდა ვაკრიტიკოთ „ქართული ოცნება“ და მისი პოლიტიკა, იმის უარყოფა შეუძლებელია, რომ საყოველთაო დაზღვევის პროგრამამ უამრავი ადამიანი სიკვდილს გადაარჩინა და საოპერაციოს კართან არავინ მიუტოვებია. აქედან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია, რა საფრთხეს უკავშირდება მძიმე დაავადებების მქონე ადამიანებისთვის პროგრამის შეწყვეტა,

რაც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში სრულიად რეალურია და ეს გიორგი ვაშაძის სიტყვებმაც დაადასტურა.

სამწუხაროდ, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა ხანგრძლივი და ძვირადღირებული პროცესია, რომელთან გამკლავება ფიზიკურადაც, მორალურადაც და ფინანსურადაც რთულია. ონკოლოგიურ პაციენტებს, სერიოზული გამოკვლევის გარდა, ქირურგიული ჩარევა, რადიოთერაპიისა და ქიმიოთერაპიის არაერთი კურსი ჭირდება თ. საყოველთაო ჯანდაცვამდე ონკოპაციენტების უმეტესობა უბრალოდ, ვერ იტარებდა მკურნალობას. პროგრამის ამოქმედების შემდეგ კი ისინი სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ აღმოჩნდნენ, ამიტომ გიორგი ვაშაძის განცხადება ყველაზე მტკივნეული ამ კატეგორიის ავადმყოფებისთვის აღმოჩნდა. ონკოლოგიური დაავადების მქონე ადამიანები თოდუას კლინიკასთან შეიკრიბნენ და „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის შტაბის ხელმძღვანელის განცხადება გააპროტესტეს. აქციის მონაწილეების თქმით, ქიმიო-თერაპიის კურსი მათთვის აუცილებელია.

ვაშაძის განცხადებას სოციალურ ქსელშიც უამრავი ადამიანი გამოეხმაურა. ნინი მთვარაძემ ფეისბუქის პირად გვერდზე თვალხატულა ბავშვის ფოტო და ემოციური პოსტი გამოაქვეყნა:

„ბატონო გიორგი ვაშაძე, თქვენთვის ე.წ. “შავი ხვრელი” ჩემთვის მთელი ცხოვრებაა – აი, ეს მზესავით ბიჭი, რომელიც ახლა გერმანიაში მკურნალობს. ეს ის ბიჭია, თქვენი განცხადება რომ წავიკითხე და ნაგავი-მეთქი რომ წამოვიძახე, შენიშვნა რომ მომცა, ადამიანებზე ასეთი სიტყვის თქმა არ შეიძლებაო.

მე ახლა ისეთი დრო მიდგას ვინმეს “გამპრავებლად” და მხარდამჭერად ნამდვილად ვერ გამოვდგები, იქეთ ვარ მხარდასაჭერი, მაგრამ მისგან ასეთი გაუმართლებელი ბოროტება არც გვსმენია და გულით მჯერა, არც არასდროს გავიგებთ. და კიდევ იმის მჯერა გულით, რომ თუ ღმერთი, რაიმე სახის კეთილი ძალა და სამართალი არსებობს, მხოლოდ ამ ფრაზის გამოც ვერასდროს მოხვალთ – ვერსად! თქვენ და თქვენი თანამებრძოლები, ძველებიც და ახლებიც! თქვენ, რომელმაც ძალიან ბევრი დედის, მამის, ძალიან ბევრი შვილის, ძალიან ბევრი ძმის და დის გული კიდევ ერთხელ მოკალით ამ ნათქვამით. ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურად ვებრძვით ამ ვერაგ დაავადებას და წარმოუდგენელ სიძლიერეს ვიჩენთ, გვითხარით, რომ ეს ყველაფერი ფუჭია, რომ აზრი არ აქვს. და თქვენმა თანაგუნდელებმა, რომლებმაც ბევრი ხან სიტყვით და უფრო ხშირად პირდაპირ საქმით მოკალით.

მიუხედავად ამისა, ჩვენ, რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ ბრძოლას და მთელი გულით, სულით და სხეულით მინდა ერთ დღეს, დემეტრე რომ უფლის წყალობით, დიდი ბიჭი გაიზრდება განახოთ, როგორ უნდა დაუდგეს სახელმწიფო “შავ ხვრელში” მყოფ ადამიანებს გვერდით, იმისთვის, რომ ისინი გადარჩნენ, იცოცხლონ და დიდები რომ გაიზრდებიან თქვენგან განსხვავებით თავად გადაარჩინონ ბევრი სიცოცხლე ამ ძალიან მძიმე განსაცდელგამოვლილებმა!“

ონკოლოგიური დაავადების მქონე ზოგიერთმა პაციენტმა „ვაშაძე და კამპანია“ ფაშისტებს შეადარა, რომლებიც მძიმე დაავადებების მქონე პაციენტებს სასიკვდილოდ იმეტებდნენ.

„კიბო არცერთ სტადიაში არაა განაჩენი“ – წერს სოციალური ქსელის მომხმარებელი ნატალია ენუქიძე, რომელიც ექვსი წელი მე-4 სტადიის სიმსივნეს ექვსი წელი ებრძვის.

მერწმუნეთ ჩემნაირებო 6 წელია ცოცხალი ვარ და კიდევ მრავალი 6 წელი უნდა ვიცოცხლო. არაფერს შეუშინდეთ და არასდროს იფიქროთ რომ უკვე გვიანია, რომ ბრძოლას აზრი არ აქვს, არდაიღალოთ, არ დანებდეთ, არ ჩაიკეტოთ საკუთარ თავში, სიხარულზე იფიქრეთ და მოვა, სიცოცხლეს დაუძახეთ და გესტუმრებათ, სიკვდილი გააპანღურეთ და წავა!!! ძალიან გთხოვთ როდესაც სიტყვა მო(მა)კვდავს ახსენებთ და შავ ხვრელში გადასაყრელ გვამებად მოგვიხსენიებთ, დაფიქრდით რომ თქვენ თვითონაც ისეთივე მო(-მა)კვდავები ხართ როგორც ჩვენ და ოდესღაც თქვენც გაივლით იმ შავ გვირაბს, რომლის ბოლოშიც ყოველთვის სინათლეა. ღმერთს ებარებოდეთ!!! “

და ბოლოს, ნაციონალებს რომ ჩვენს ჯანმრთელობაზე ფიქრით ღამე არ ეძინათ, იქიდანაც ჩანს, რომ სააკაშვილის ხელისუფლების დროს სასწრაფო დახმარების გამოძახებაც კი ფასიანი გახდა. აღარაფერს ვიტყვით ძვირადღირებულ ოპერაციებზე. ამიტომ დრეს გიორგი ვაშაძემ როგორც არ უნდა „გადააბრუნოს პლასტინკა“ ასე კი არა, ისე ვთქვიო, მეხსიერებიდან ვერ ამოშლის, რომ მათი მმართველობის დროს, უფულო პაციენტი საავადმყოფოს ეზოშიც ვერ შედიოდა. პირადად მე, საყოველთაო დაზღვევამ ინსულტიანი დედის 5 თვის სიცოცხლე მაჩუქა და ამ ხუთი თვის ფასი მხოლოდ მე ვიცი..

ამასწინათ, ახლობელმა, რომელიც საავადმყოფოში მუშაობს, გამიმხილა – ამდენი პაციენტი დიდი ხანია არ გვყოლია. ნაცების ხელისუფლებაში დაბრუნებით შეშინებული ადამიანები მოგვაწყდნენ – სანამ ჯანდაცვის პროგრამა გაუუქმებიათ, ოპერაციის გაკეთება მოვასწროთო. როგორ ფიქრობთ, ეს ადამიანები არჩევნებზე ხმას ვის მისცემენ? გგონიათ, „ქართულ ოცნებაზე“ გაბრაზება ჯანმრთელობის დაკარგვის შიშს გადაწონის? ასე, რომ რაც დათესეთ, 28 ოქტომბერსაც იმას მოიმკით, ნაცებო!

ნელი თორდია
571 35 36 88

დრო – 168 საათი!

არჩევნებამდე 168 საათი დარჩა...

ღრმად ვარ დარწმუნებული, 28 ნოემბერს, მათთან ერთად, ვინც I ტურში ხმა მისცა „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს, I ტურში შინ დარჩენილთა 54% უმრავლესობაც შეუერთდება და ხმას ვაშაძის წინააღმდეგ მისცემს, რომ „ნაცმოძრაობის“ კრიმინალურ-ფაშისტური რეჟიმის ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთოს.

ვინც არ უნდა ჩაერიოს ამ საქმეში შიგნიდან თუ გარედან, „ქართულ ოცნებაში“ მეხუთე კოლონად შეგზავნილ-პორტირებული ნაცების არმია თუ პიარტექნოლოგიებით აღჭურვილი იდეოლოგიური დესანტი კრემლიდან, მაინც არაფერი გამოვა — ქართველი ხალხი 2012 წლის მონაპოვარს არავითარ შემთხვევაში არ დათმობს, რადგან იცის — უკან დასახევი გზა არ არსებობს — უკან

წყვდიადია, სიბნელეა, ძალადობაა, სადისტების და მანიაკების რევანში და ანგარიშსწორებაა.

28 ნოემბრის გამარჯვება ეს იქნება არა მხოლოდ „ქართული ოცნების“ და სალომე ზურაბიშვილის, არამედ, პირველ ყოვლისა, ქართველი ხალხის გამარჯვება, რომელიც აცნობიერებს, რომ ნაცების უკან მობრუნებით შეიძლება სამშობლო დაკარგოს.

●

კიდევ ერთხელ ვიტყვი აქამდე ბევრჯერ ნათქვამს: მიკვირს იმ ადამიანების, ძალიან მიკვირს, რომლებიც მხარს ვაშაძეს და „ნაცმოძრაობას“ უჭერენ.

სიტუაციაში რომ ვერ ერკვეოდე, რაღაც დაფარული და დამალული რომ იყოს და ამის გამო ცდებოდე და მცდარ არჩევანს აკეთებდე, მესმის, მაგრამ, როცა „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი რეჟიმის ნამოქმედარი წინ გიდევს, როცა მათ მიერ ჩადენილი უამრავი შემზარავი დანაშაულის მოწმე და თვითმხილველი ხარ, როცა საკუთარ თავს წესიერ, პატიოსან, პატრიოტ ადამიანს უწოდებ, ხმას როგორ აძლევ ყოველივე ამ უბედურების ჩამდენებს და შემოქმედებს, თუ შენც, ბოდიში მომითხოვია და მათნაირი არ ხარ და მათ მსგავსად, თუ შესაძლებლობა მოგეცემა, იგივეს გააკეთებ, რასაც ისინი აკეთებდნენ — მოკლავ, გააუპატიურებ, დაჩაგრავ, დააჩმორებ, წაართმევ,. დააყაჩაღებ.

სხვანაირად რით და როგორ შეიძლება ამ საქციელის ახსნა ან გამართლება?

როცა მკვლელს და მოძალადეს მხარს უჭერ, შენც მკვლელი და მოძალადე ხარ, უფრო ზუსტად, მკვლელსა და მოძალადეზე ცოტათი უარესი და ცოტათი უფრო საშიში.

„ნაცმოძრაობა“ 9 წლის განმავლობაში მთელ საქართველოს და დანარჩენ მსოფლიოს თვალში ნაცარს აყრიდა, მაგრამ გასკდა ნაცრის ეს დიდი გუდა და დღეს ყველამ ყველაფერი გაიგო, გარდა იმ 600 000 კაცისა, რომელიც ვაშას ძახილით კუდში დასდევს ვაშაძეს, რუსეთის აგენტს.

ფარისევლობა და უტიფრობა კი გამიგია, მაგრამ ასეთი და ამ მასშტაბის ნამდვილად არა.

რას ნიშნავს და როგორ ავხსნათ ის ფაქტი, როცა რუსეთს ოკუპანტს და მტერს ეძახი და ამ დროს რუსეთის ზესაიდუმლო სამსახურების მაღალჩინოსანს, ფაქტობრივად, რუს პოლიტიკოსს, საქართველოს პრეზიდენტის გვირგვინი გინდა თავზე დაადგა, ამის პარალელურად კი მოღალატეს სალომე ზურაბიშვილს ეძახი, რომ შენი ღალატის და ქვებუდანობის ამბავი ამით გადაფარო.

ოცი წელია „ „ნაცმოძრაობაზე“ ვწერ და მის ანატომიას ვუკირკიტებ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მაინც ბოლომდე ვერ გავიგე და ვერ ამოვხსენი, რა ძალაა ეს, რომელიც ფორმალურად თითქოს პოლიტიკური ორგანიზაციაა, მაგრამ მის მოქმედებებს და მის მიერ ჩადენილ საქმეებს რომ დააკვირდები, ის პოლიტიკურ პარტიას კი არა, უფრო მეტად კარგად ორგანიზებულ ბანდას ჰგავს, რომელიც ნაწილია რაღაც გრანდიოზულად დიდი მასშტაბების საერთაშორისო ბანდისა.

„ნაცმოძრაობა“ თითქოს ამ ტრანსკონტინენტალური ბანდის რეგიონალური განყოფილებაა, მისი ფილიალია.

„ნაცმოძრაობისთვის“ საქართველო სამშობლო კი არა ტერიტორიაა, ზონაა, საიდანაც „ნაცმოძრაობის“ დროს ძალზე სერიოზული თანხები მიედინებოდა საერთაშორისო „ობშიაკში“.

როცა საჭიროებამ მოითხოვა, ეს ბანდა უკრაინაში იქნა გადასროლილი და კარგა ხანს იქ ალაგებდა „პალაჟენიას“.

სულაც არ არის გამორიცხული, „ნაცმოძრაობა“ და მისი ლიდერი ხვალ თუ ზეგ სხვაგან და სხვა ქვეყანაში მიავლინონ წესრიგის დასამყარებლად.

ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა ბეწვის ხიდზე გაიარა და რა სახიფათო ძალას დაუპირისპირდა ბიძინა ივანიშვილი და ქართველი ხალხი 2012 წელს.

ამ ძალის ხელისუფლებაში მობრუნება გარდაუვალ კატასტროფას ნიშნავს ქართული სახელმწიფოსთვის.

კარგად დაიმახსოვრონ ეს იმ ადამიანებმა, რომლებიც სრულიად ალოგიკური და უსაფუძვლო მოტივებით ხმის მიცემას გრიგოლ ვაშაძისთვის აპირებენ.

ქვეყნის ღალატია ეს, ქვეყნის მტრობაა, ქვეყნისთვის ზურგში ლახვრის ჩაცემაა.

— წყეულიმც იყოს ყველა, ვინც მხარს „ნაცმოძრაობას“ უჭერს! წყეულიმც იყოს ყველა მოღალატე და ქვეყნის გამყიდველი! — ასეთი წყევლა ამოვიკითხე ამასწინათ სოციალურ ქსელებში.

მართალია, ნაციონალებს არც ღმერთის სწამთ, არც ზნეობრივ-მორალური ნორმები და სხვა ღირებულებებია მათთვის პატივსაცემი და მისაღები, ისინი მხოლოდ ეგოისტურ და ძალაუფლების პყრობის მანიაკალურ ინსტინქტებს ემორჩილებიან, მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ეს ყველაფერი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად ისჯება იმ სამართლით, რომელსაც განგების სამართალი ჰქვია და რომელსაც ვერავინ ვერ დააღწევს თავს.

ამიტომ გეშინოდეთ, ნაციონალებო, გეშინოდეთ ცხრა წლის განმავლობაში თქვენი არაადამიანური, სასტიკი და სადისტური დანაშაულების გამო თქვენს წინააღმდეგ აღვლენილი ყველა წყევლის.

ერთად შეკრებილ და ერთ ენერგიად გაერთიანებულ წყევლას იმდენად დამანგრეველი და გამანადგურებელი ძალა აქვს, მას

ვერაფერი ვერ შეაჩერებს.

„ნაცმოძრაობასთან“ ერთად თქვენც გეშინოდეთ, ნაციონალების მხარდამჭერებო, გეშინოდეთ ყველას, ვინც II ტურშიც 5-იანის შემოხაზვას აპირებთ და ამით იმ დიდ ცოდვას უერთდებით, იმ შემზარავი დანაშაულების თანამონაწილე ხდებით, რომელიც „ნაცნოძრაობამ“ ჩაიდინა.

●

„ნაცმოძრაობა“ ცდილობს, ყოფილი სამხედროები დაუპირისპიროს სალომე ზურაბიშვილს და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას და ამ მიზნით უამრავ ტყუილს და დეზინფორმაციას ავრცელებს.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ყოფილი სამხედრო პირი იოლად წამოეგო „ნაცმოძრაობის“ ამ პროვოკაციულ ხრიკს.

— ჩვენ მთელი ცხოვრება საქართველოს ვიცავდით, ახლა კი სალომე ზურაბიშვილის განცხადებებით შეურაცხყოფილები ვართო, — ამბობენ ეს პატივცემული ადამიანები და ზოგი ღიად, ზოგიც შეფარვით მხარს ვაშაძის კანდიდატურას უჭერს.

კი, მაგრამ, ბატონებო, თქვენ რა მალე დაგვიწყნიათ, რა რეპრესიების რისხვა დაგატეხათ თავს, თქვენ, სამხედროებს, თქვენმა მთავარსარდალმა აგვისტოს სამარცხვინოდ წაგებული ომის შემდეგ და როგორ უტიფრად ცდილობდა იგი თავისი უუნარობა, თავისი შეცდომები, თავისი დანაშაულებრივი ქმედებები და გაუაზრებელი, წინდაუხედავი ნაბიჯები, რომლებიც მიზეზი გახდა ქართული შეიარაღებული ძალების დამარცხებისა, თქვენთვის, სამხედროებისთვის, გადაებრალებინა.

როგორც სულმოკლე, სულმდაბალ, ლაჩრული ბუნების კაცს სჩვევია, მან თავისი შეცდომები რეზერვისტებს, რიგით ჯარისკაცებს, სერჟანტებს, ოფიცრებს გადააბრალა და ზოგს დეზერტირობაში დასდო ბრალი, ზოგს ღალატსა და ჯაშუშობაში.

მაშინ სად იყავით, მაშინ რატომ არ ამოიღეთ ხმა, ბატონო გენერლებო და ოფიცრებო, როცა უდანაშაულო ადამიანებს მასობ-

რივად ათავისუფლებდნენ სამხედრო შენაერთებიდან, ავიწროებდნენ, ზეწოლას ახდენდნენ, ციხეებში ყრიდნენ, კლავდნენ, აწამებდნენ და ეს ყველაფერი იმის გამო ხდებოდა, რომ ჭკუიდან გადასული თქვენი მთავარსარდლის დანაშაულებრივი ქმედებები მიჩქმალულიყო.

განა მარტო სააკაშვილი, გიგი უგულავა, სამხედრო საკითხებში აბსოლუტური პრაფანი, თქვენი სარდალი არ იყო და იმის ბრძანებებსაც უსიტყვოდ არ ასრულებდით?

აკი, თქვა გენერალმა მამუკა ყურაშვილმა, გიგი უგულავა იყო მთავარი „ქანჩი“ ამ სამხედრო ოპერაციებშიო.

ეს მაინც როგორ დაუშვით, ამაზე მაინც რატომ არ ატეხეთ განგაში — ქალაქის მერს, სამოქალაქო პირს, რა ესაქმება საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვაში? ომი გვაქვს ჩვენ აქ თუ ცხინვალის დასუფთავების და ინფრასტრუქტურული სამუშაოების მოგვარების „ოპერაციას“ ვატარებთო?

რა მოხდა 2008 წლის აგვისტოს ომში ყველამ ყველაფერი ვიცით, ვიცით დეტალებში, საათების და წუთების მიხედვით.

ასე რომ რაღაც-რაღაცების დამალვას და სალომე ზურაბიშვილისთვის გადაბრალებას აზრი არ აქვს — მოვა დრო და არა ჰააგის, არამედ ქართული სასამართლოს წინაშე აუცილებლად მოუწევს პასუხისმგებლობა, როგორც მთავარსარდალ სააკაშვილს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებმაც თავიანთი გაუაზრებელი, პროვოკაციული, ლოგიკურად აუხსნელი და უკიდურესად საეჭვო გადაწყვეტილებებით უდიდესი ზიანი მიაყენეს საქართველოს, მის მოსახლეობას, ქართულ ჯარს, მთლიანად ქართულ სახელმწიფოებრიობას.

●

„ქართულ ოცნებას“ ამ ექვსი წლის განმავლობაში ორჯერ და სამჯერ მეტი საქმე აქვს გაკეთებული, ვიდრე „ნაცმოძრაობას“ 9 წლის განმავლობაში, მაგრამ დავუშვათ და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გარდა სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა „ქართულ

ოცნებას“, განა ეს არ გადაწონის ყველას და ყველაფერს, თავის გზებიან-ხიდიან-საწარმოებიან-სასტუმროებიანად?

აბა, წარმოვიდგინოთ, რამდენი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა ამ პროგრამამ, რამდენი ოჯახი ისხნა ეკონომიკური გაჩანაგებისგან და გაკოტრებისგან.

რა თქმა უნდა, არსებობს ზუსტი სტატისტიკური მონაცემები, ზუსტი ციფრები, რა კოლოსალური თანხები დახარჯა ხელისუფლებამ მისი მოქალაქეების გადასარჩენად, თუმცა „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო პერიოდებშიც კი არ უკადრია თავის გამოსაჩენად და საკუთარი ღვაწლის წინ წამოსაწევად ეს ციფრები შეეხსენებინა საქართველოს მოსახლეობისთვის.

ძალიან მაინტერესებს, იმ 600 000 ადამიანიდან, რომლებმაც ხმა „ნაცმოძრაობას“ მისცეს, არავინ გამხდარა ავად, არავის დასჭირვებია ოპერაცია თუ სხვა სახის სამედიცინო დახმარება?

როგორც ჩანს, უმადურობას საზღვარი არ აქვს, თორემ როგორ შეიძლება თუნდაც ამ პროგრამის გამო „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მადლიერი არ იყო და „ისტუკანივით“ იძახო — აბა, რა გამიკეთა „ქართულმა ოცნებამო“?

რა გაგიკეთა და სიცოცხლე გაჩუქა შენ, შენს ახლობლებს, შენს მეზობლებს, სიცოცხლე გაჩუქა, ოჯახი გადაგირჩინა.

სააკაშვილი დღეს გამოდის და ბრტყელ-ბრტყელ დაპირებებს იძლევა თუ როგორ გააკეთილშობილებს საბანკო სისტემას, როგორ გააუქმებს საჯარიმო საურავებს, როგორ დასწევს საპროცენტო განაკვეთებს და ა. შ.

ამ დაპირებებიდან, სააკაშვილი, ცხადია, არც ერთის შემსრულებელი არ არის. მას ამის იოტისოდენა სურვილი რომ ჰქონოდა, თავისი 9-წლიანი პრეზიდენტობის დროს ერთ ნაბიჯს მაინც გადადგამდა ამ მიმართულებით.

ვინც „ნაცმოძრაობის“ უკან მობრუნებას ნატრობს, კარგად გაიხსენოს, რა ხდებოდა „ნაცმოძრაობის“ დროს ჯანდაცვის სფეროში.

რა ხდებოდა და ადამიანები იძულებულნი იყვნენ, გაეყიდათ სახლ-კარი, გაეყიდათ ყველაფერი, ბანკებიდან კაბალური პირობებით აეღოთ სესხები, რომ საჭირო სამედიცინო მომსახურება მიეღოთ და თავიანთი თუ თავიანთი ახლობლები სიკვდილისგან ეხსნათ.

ფაქტობრივად, ეს იყო კარგად დაგეგმილი გენოციდი საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელიც არა მარტო ერთი კონკრეტული ადამიანის ფიზიკურ განადგურებას, არამედ მთელი მისი ოჯახის დედა-ბუდიანად გაკოტრებას და ამოძირკვას ისახავდა მიზნად.

ბანკებზე და ბანკების მიერ გაძარცვულ მოსახლეობაზე რომ ლაპარაკობთ, ნაციონალებო, განა ზუსტად თქვენს დროს არ გაუბედურდნენ ეს ადამიანები, განა თქვენი „ბედნიერი“ და „აყვავებული“ ეპოქიდან არ მოჰყვება ის ვალები მოქალაქეთა დიდ ნაწილს?

„ნაცმოძრაობას“ თითი არ გაუნძრევია ამ ადამიანების პრობლემების მოსაგვარებლად — იჯდა და მშვიდად უყურებდა, როგორ ყრიდნენ ადამიანებს სახლებიდან გავეშებული „აღმასრულებლები“.

●

სამწუხაროდ, დემოკრატიას ერთი დიდი ნაკლი აქვს — დემოკრატიის დროს სულელის და ჭკვიანის, გიჟის და ნორმალურის, გონებაჩლუნგის და გონიერის, ავანტურისტის და კეთილსინდისიერი ადამიანის ხმას ერთი წონა და ერთი ფასი აქვს.

დარწმუნებული ვარ, 28 ნოემბერს ჭკვიანი, გონიერი, კეთილსინდისიერი ადამიანები უფრო მეტნი იქნებიან, ვიდრე უგუნურები.

სინამდვილეში, უგუნურების ხსნა და შველაც ჭკვიანი და კეთილსინდისიერი ადამიანების გამარჯვებაშია...

სწორი გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს სულ რაღაც 168 საათი დარჩა...

ვახტანგ ხარჩილავა

ჩვენ ვიცავთ თავისუფლებას!

პოეტი
დავით მაღრაძე:

— მივესალმები ქართველი ხალხის ენთუზიაზმს, მამულიშვილობას. მინდა, მათ უღრმესი მადლობა ვუთხრა მხარდაჭერისთვის, თანაგრძნობისთვის. უფრო ზუსტად, ჩვენ, ერთი საქმისთვის — სამშობლოსთვის, თავისუფლებისთვის ვართ გაერთიანებულნი, გნებავთ „შეთქმულნი“. უნდა აღვნიშნო, რომ პირველი ტურის შედეგები გამიხარდა, რადგან იქ, ქართველი ხალხის, მისი ღირსების ხმა

ისმოდა, რომელმაც ჩვენს ხელისუფლებას უთხრა: ჩვენ, გაგვაჩნია ღირსება. ხელისუფლებამ კარგად გაიგოს, რომ ქართველ ხალხს აქვს ღირსება. ამიტომ, ბატონებო, ნუ იქნებით ასე არხეინად, მშვიდად. ხალხმა დღევანდელ ხელისუფლებას უთხრა, რომ არ მოსწონს როდესაც იგი არ ემიჯნება „ნაცმოძრაობას“ და ხდება ის აღრევა, რამაც, პირადად მე, ბევრჯერ დამაბნია — სად გადიოდა ზღვარი დამნაშავესა და მსხვერპლს შორის, სად მოსწონდა „ქართულ ოცნებას“ რომ დამნაშავე მსხვერპლი ყოფილიყო და მსხვერპლი დამნაშავე, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ყველაფერში ერთად უნდა გავერკვიოთ. დღევანდელ ხელისუფლებას მოვუწოდებ: გაემიჯნოს „ნაციონალურ მოძრაობას“ იმიტომ, რომ ხალხმა მხარი საქართველოს დაუჭირა და არა მათ. ჩვენი ხალხი ამ გაუგებარ შენაერთს მხარს არ უჭერს, ეს ცხადზე უცხადესია, რაც პირველივე ტურში მკაფიოდ გამოიხატა. საქმე იმაშია, რომ დღეს, არის აგრესიული რევანშის საფრთხე, რომელსაც ყველა ჩვენგანი კარგად ხედავს. აგრესიული რევანშისტები გვიკიჟინებენ, რომ ჩვენ მათი ავკაცობა, სისასტიკე, სადიზმი, შეურაცხყოფა, რაც ქართველ ხალხს არაერთხელ მიაყენეს, უნდა დავივიწყოთ. ოღონდ, ეს არ ხდება არც სინანულით, არც პატიების თხოვნით, არც ჩვენი სულგრძელობის იმედით. არა, ეს ხდება ერთადერთი მიზნით — როგორმე ისევ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ, სხვა ამ ხალხს არაფერი ამოძრავებთ, არანაირი სინდისის ქეჯნა, მათში ერთი მისხალი სინანული არ გაღვიძებულა. პირიქით, ალბათ, ფიქრობენ: ბოლომდე როგორ ვერ მოგვაყენეს შეურაცხყოფა და როგორ დაგვრჩა კიდევ ძალა იმისა, რომ ვიბრძოლოთ თავისუფლებისათვის და ჩვენი სამშობლოსთვის. მივესალმები ჩვენს მეხსიერებას, რომელიც არცერთი წუთით არ მოგვცემს უფლებას მოვდუნდეთ, შევწყვიტოთ თავისუფლებისათვის და ქვეყნის მომავლისათვის ბრძოლა. ჩვენი გაერთიანება ერთი ნათელი, მკაფიო გამოვლინებაა იმისა, რომ ქართული საზოგადოება, საქართველოს მოსახლეობა არასოდეს არ ივიწყებს იმას, რაც დასავიწყებელი არ არის. მოდით, ჩვენს მეხსიერებას გაუმარჯოს. არჩევანი ძალიან მკაფიოდ გამოიკვეთა — ჩვენ, არაერთხელ ვთქვით, რომ მხარს ვუჭერთ მომავალს, მშვიდობას, სიმშვიდეს, საზოგადოების ევოლუციურ განვითარებას, ევროპულ არჩევანს. თუ ევროპული არჩევანი ჩვენი არჩევანია, რომელიც არც მინდა ოდესმე სათუო იყოს, გვყავს კანდიდატი, რომელიც დაბადებული, გაზრდილია ევროპაში, შენარჩუნებული თავისი მშობლიური ენით. მისმა მამა-პაპამ თავის ოჯახში ქართული ენა გადაარჩინა. სალომე ზურაბიშვილის წინაპრები ელოლიავენ ამ ენას, შეინახეს, მათ არ მიიღეს ორმაგი მოქალაქეობაც კი, რათა ქართული ენა არ დაკნინებულიყო. საფრანგეთის მოქალაქეობაზეც კი თქვეს უარი. რაც შეეხება მეორე კანდიდატს, ამხანაგი ვაშაძე გახლავთ საბჭოთა გადმონაშთი, პირდაპირ საბჭოთა რუსეთის ოფიციალური თანამშრომელი, რომელიც გვიცხადებს, რომ თურმე, ეიფელის კოშკი საფრანგეთი, პარიზი არ არის. ეიფელის კოშკი თურმე, არის კრემლის ვარსკვლავი, სადაც თვითონ გაიზარდა და დაიბადა. აი, ასეთი შეურაცხმყოფელი, აღვირახსნილი კამპანიაა გაჩაღებული. იმედი მაქვს ქართული თავმოყვარეობის. თუ ქართული თავმოყვარეობა თავის სიმაღლეზე იდგება, მაშინ ამ საბჭოთა გადმონაშთმა თავისი კრემლის ვარსკვლავით და ოკუპანტი უფროსით ერთი ხმაც ვერ უნდა მიიღოს არჩევნებში. არჩევანი ძალიან მკაფიოა — ჩვენ ვირჩევთ ჩვენი შვილების განათლებას, კულტურას, სულიერებას, სილამაზეს, მშვენიერებას, რომელსაც ასხივებს დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი. არავითარ შემთხვევაში არ იფიქროს ვინმემ, რომელიმე პარტიის ბოსმა ან ხელმძღვანელმა, ხალხი, რომელიც ჩვენს მიერ რეგიონებსა თუ დედაქალაქში ჩატარებულ შეხვედრებზე მოდის, რომელიმე პარტიის, ჩემი ჩათვლით, მხარდამჭერია. არცერთი პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი ჩვენ არ ვართ. ჩვენ ვართ საქართველოს მხარდამჭერი. ახლა, საქართველოს მხარდაჭერა ნიშნავს მეორე ტურში ქუდზე კაცის მოსვლას და საბჭოთა წარსულისთვის უარის თქმას.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„შევუნარჩუნოთ ახალგორს მოსახლეობა!“

გასულ კვირას რედაქციაში ახალგორის მაცხოვრებლები გვეწვივნენ და მოისურვეს საკუთარი მოსაზრებების „საერთო გაზეთის“ მკითხველებისთვის გაზიარება.

გვესაუბრებიან არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასია-1014“-ის დამფუძნებელი, ქალბატონი იზო ყაულაშვილი და სახალხო აქტივისტი, ბატონი გიორგი წიპტაური.

იზო ყაულაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასია-2014“-ის დამფუძნებელი: ჩვენს ორგანიზაციაში არიან, ძირითადად, ცხინვალისა და სოხუმის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობა.

ჩვენი მთავარი ამოცანაა, სახალხო დიპლომატიით ურთიერთობის აღდგენა.

22 ნოემბერს დევნილთა დასახლებაში საქველმოქმედო აქცია ტარდება — „შევუნარჩუნოთ ახალგორს მოსახლეობა“. თუ სახალხო დიპლომატია თავის სიტყვას იტყვის და მოლაპარაკებები დაიწყება, დაიწყება სწორედ ახალგორიდან.

ჩვენ საქართველოს სადარაჯოზე ვდგავართ რიგით ჯარისკაცებად და ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. წინ დიდი ბრძოლა გველის და ეს ბრძოლა ჩვენ უნდა მოვიგოთ!

მოგეხსენებათ, 25 ნოემბერს „პატრიოტთა ალიანსი“ აქციას მართავს.

მოვუწოდებ ყველას, შევიკრიბოთ და შევუერთდეთ ამ აქციას. განსაკუთრებით სოხუმიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილებს მოვუხმობ, მოვიდნენ და დადგნენ ჩვენს გვერდით, დავანახოთ ყველას, რომ დამნაშავე რეჟიმის წინააღმდეგ ყველანი ვერთიანდებით!

გიორგი წიპტაური, აქტივისტი ახალგორიდან: საპრეზიდენტო არჩევნები ისე ჩატარდა, რომ არათუ მიაქტიურია, არამედ საერთოდ არც წავსულვარ არჩევნებზე. არ დაგიმალავთ, ძლიერ უკმაყოფილო ვიყავი ახლანდელი ხელისუფლების, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიღაცებს იმის საშუალება მივცეთ, რომ ქვეყანაში კვლავ არასტაბილური ვითარება შეიქმნას და სამოქალაქო დაპირისპირება მოხდეს.

დღევანდელი საპრეზიდენტო კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის უკან დგას მათი ბელადი მიხეილ სააკაშვილი და მისი ამფსონები, რომლებსაც მთელი ცხრა წლის განმავლობაში და მანამდეც უამრავი ბნელი საქმე აქვთ გაკეთებული.ე, თუ დავაზუსტებ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მახსოვს ეს ხალხი და რაც ჩაიდინეს მაშინ, ყველამ ვიცით.

მე, პირადად, როგორც ერთი ადამიანი, წინ აღვუდგები ყოველგვარ დაპირისპირებას ქვეყნის შიგნი თ. ამიტომაც ვარ ხელისუფლების მხარდაჭერილი კანდიდატის მომხრე.

ამ ეტაპზე ჩვენი რეგიონის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია და მთელი საქართველოსთვის აუცილებელი, რომ II ტურში ხელისუფლების მხარდაჭერილმა კანდიდატმა გაიმარჯვოს. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი.

22 ნოემბერს გავმართავთ აქციას — „შევუნარჩუნოთ ახალგორს მოსახლეობა“, სადაც ჩაერთვებიან საზოგადოების ცნობილი ადამიანები, პატრიოტი ხალხი.

მეორე ტურში უნდა გავიმარჯვოთ! ამის შემდეგ კი მივმართავთ ხელისუფლებას იმის გარდა, რასაც აკეთებდნენ ახალგორის რაიონში, უფრო მეტი გააკეთონ და მხარში ამოგვიდგნენ ახალგორის მოსახლეობას. კერძოდ, უნდა განხორციელდეს სოფლის მეურნეობის პროექტები ახალგორში. ეს აუცილებელია რეგიონში მოსახლეობის დასამაგრებლად.

დიახ, ხელისუფლების გვერდით ვდგავართ. უნდა გავიმარჯვოთ. არჩევნების შემდეგ ჩვენი განცხადებები იქნება ძალიან მძიმე და მკვეთრად გამოხატული. მანამდე, როგორც ზემოთაც გითხარით, საქველმოქმედო აქციას ვმართავთ „შევუნარჩუნოთ ახალგორს მოსახლეობა“, სადაც ქართული ჩოხებითა და ადათ-წესების დაცვით წარმოვაჩენთ ჩვენს კულტურას და წეს-ჩვეულებებს. ეს გამიზნულად კეთდება. შარვლები რომ ჩაიწიეს და უკანალები გამოაჩინეს, ჩვენ უნდა დავანახოთ ყველას, რომ ესენი კი არ არიან ქართველები, არამედ ისინი, რომლებიც ჩოხას ღირსეულად იცვამენ და ვაჟკაცები არიან. საზღვარგარეთ რომ წავიდეთ, რა ვთქვათ, ჩვენ იმ ხალხის თანამემამულეები ვართ, უკანალები რომ მოიშიშვლესო? ვინღა დაგველაპარაკება ჩვენ სერიოზულად სერიოზულ თემებზე?! 22 ნოემბრის ღონისძიებით ჩვენი ქართული სახე კიდევ ერთხელ უნდა დავანახოთ ყველას.

ქალბატონი იზო ყაულაშვილი დამეთანხმება, რომ ეს საჭირო ღონისძიებაა, ისიც თავის თანამოაზრეებთან ერთად გვიერთდება 22 ნოემბრის აქციაში — „შეუნარჩუნე ახალგორს მოსახლეობა“, რომლის შემდეგაც უკვე 25 ნოემბერს ყველანი „პატრიოტთა ალიანსის“ აქციას დავესწრებით.

მჯერა, ქართველი ხალხი 28 ნოემბერს კიდევ ერთხელ გაიმარჯვებს და მშვიდობა დამკვიდრდება ქვეყანაში, რაც წინაპირობაა ჩვენი ერთადერთი და მთავარი მიზნის — საქართველოს გაერთიანების.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

რა ხდება სამტრედიაში?

სამტრედია ეხლა დიდ გაურკვევლობასა და ქაოსშია.

რატომ დამარცხდა ქართული ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატი?

რატომ დამარცხდა ქართული ოცნების კანდიდატი სამტრედიის საკრებულოს არჩევნებში?

რატომ გაიმარჯვა ეგრეთ წოდებულმა ნაციონალურმა მოძრაობამ? ბოდიში მოიხადა ჩადენილი დანაშაულებების, მკვლელობების, უმსგავსობის, ბიზნესმენთა დაწიოკების გამო?

მიეახლა და დაუჩოქა გრიგოლ ვაშაძემ სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ზურა ვაზაგაშვილის, სხვათა და სხვათა საფლავებს? ბოდიში მოიხადა მათი მხეცური მკვლელობების გამო? იქნებ ვაჟკაცი მეომრის სერგო თეთრაძის ოჯახში მივიდა და უდანაშაულოდ განწირული პოლკოვნიკის ოჯახს სამძიმარი უთხრა?

არა და არა. მსგავსი არაფერი მომხდარა.

მაშ, რაშია საქმე? რატომაა შეწუხებული და შეძრწუნებული სრულიად საქართველო და მათ შორის სამტრედიაც პირველ ტურში „ნაცმოძრაობის“ წარმატებით?

ალბათ, იმიტომ, რომ ხელისუფლებამ და მმართველმა პარტიამ ჩათვალეს, რომ ერთხელ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ შემდეგი — გამარჯვებები ხონჩით იქნებოდა მორთმეული.

დაწყებით კარგად დაიწყეს, როცა გლეხებს მხარში ამოუდგნენ და სასოფლო-სამეურნეო მიწების დამუშავებაში ლომის წილი დადეს, მაგრამ შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა, ფასების უმოწყალოდ ზრდამ თითქმის ყველაფერზე, საწვავი იქნებოდა ეს თუ სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქცია, მოსახლეობა გაღატაკების პირას მიიყვანა.

საქმის გამოსწორების ნაცვლად ლამის მოკომკავშირელო გოგო-ბიჭების აღლუმის მომსწრენი ვართ, რომლებიც თითქმის მხოლოდ საკუთარი ხელფასის, დანამატების და პრემიების მომატებით არიან დაკავებულნი. მედიდურად სხედან სავარძლებში და ფიქრობენ, რომ ის პოსტები საშვილიშვლოდ გადაეცათ.

შედეგი სახეზეა...

ალბათ, ერთადერთი დადებითი შედეგი ისაა, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე ორი წელი რჩება და ამ ორ წელიწადში მმართველმა გუნდმა სრულად უნდა გააზროს და გააანალიზოს მის მიერ დაშვებული შეცდომები, მთლიანად გადაერთოს ხალის პრობლემების გადაჭრაზე და თავი დაანებოს კოჰაბიტაციის ყბადაღებულ თემას, რომელმაც აქამდე მიიყვანა ქვეყანა.

არ იქნებოდა ცუდი, თუ ის სამტრედიელები, რომლებიც დღეს ამინდს ქმნიან ქართულ პოლიტიკაში, უფრო ხშირად თუ ჩამოვლენ მათ მშობლიურ რაიონში და სამტრედიელებს წყნარად, მშვიდად, ადამიანურად ეტყვიან თავიანთ სათქმელს, თუ, რა თქმა უნდა, ეს სათქმელი აქვთ.

„სხვა გზა, სხვა ხსნა “ ამ სიტუაციიდან არ არსებობს.

ნატო ივანიაძე
სამტრედია

ხალხის ხმა

დავით გაგნიძე (პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი): „კაგებეს“ გენერალი თემურ ალასანია და მისი „მრევლი“, რომელსაც საპრეზიდენტო კანდიდატიც ამავე სამსახურის გამოზრდილი კადრი გრიგოლ ვაშაძე ყავთ. სააკაშვილისთანა ვამპირის გამზრდელი, სირცხვილით ხმას ვერ უნდა იღებდეს, ამ დროს თემურ ალასანია უწმაწური სიტყვებით ლანძღავს ქართველ ერს, ვინ მისცა მას ამის უფლება? ნაცსექტანები გასაგებია, მაგრამ ინტელიგენციას მინდა მივმართო, განსაკუთრებით იმ ადამიანებს, რომლებიც ვაშაძის მხარდამჭერებად მოიაზრებიან, სულ დაკარგეთ თავმოყვარეობა, ნუთუ არავის გაგიჩნდათ პროტესტის გრძნობა ქართველი ხალხის ასეთ შეურაცხყოფაზე, ხმას რომ არ იღებთ?! ამ ყველაფერსაც თავი რომ დავანებოთ, ხმა როგორ უნდა მისცე იმ ადამიანს, რომელიც კომუნისტების ნაჩუქარ „მოსწავლეთა სასახლეს“ ართმევდა ბავშვებს. ნაციონალების ხელისუფლებაში მობრუნება არაფრით არ შეიძლება, ეს ჩვენი ქვეყნის საბოლოოდ დაღუპვას ნიშნავს. ჩემს ადრინდელ ინტერვიუებში არაერთხელ მითქვამს, რომ ნაციონალები დესტაბილიზაციას გეგმავდნენ, თუ ერი არ გაერთიანდა, დიდი საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით. ამიტომ ყველამ გვერდზე უნდა გადავდოთ, წყენა იქნება თუ გულგატეხილობა, 28 ნოემბერს მივიდეთ საარჩევნო უბნებზე და ხმა მივცეთ სალომე ზურაბიშვილს“.

ნუკრი ჟირია (26 მაისის დარბევის დაზარალებული, მცხეთა): „არჩევნების პირველ ტურში მცხეთაშიც იგივე მოხდა, რაც საქართველოს დანარჩენ რაიონებში, „ქართული ოცნება“, რომ იტყვიან, მხართეძოზე წამოწოლილი შეხვდა საპრეზიდენტო არჩევნებს, ეგონათ ხალხი ისედაც მიიღებდა სწორ გადაწყვეტილებას. სამწუხაროდ, მეორე ტური გახდა საჭირო, რომ ხალხს კარგად გაეანალიზებინა, რომ მათმა გულგრილობამ, კატასტროფამდე შეიძლება მიგვიყვანოს. არავინ დაუშვებს ნაციონალების უკან დაბრუნებას, ხალხმა თვითონ აიღო ხელში ინიციატივა, ყველა მივა არჩევნებზე და დარწმუნებული ვარ, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი დამაჯერებლად გაიმარჯვებს. პირადად მე, არაერთხელ გავხდი ნაცრეჟიმის სამიზნე. 2008 წელს საკუთარი თვალით ვუყურებდი, როგორ გააყალბეს ნაციონალებმა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. გაერთიანებული ოპოზიციის კოორდინატორი ვიყავი მცხეთაში. საპარლამენტო არჩევნების დროს, მოტყუებით მიმიყვანეს პოლიციაში, ვერაფერი რომ ვერ მომიძებნეს, მითხრეს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ხარო, რა ნარკოტიკი, მაღალი სიცხე მქონდა, სერიოზული ოპერაცია უნდა გამეკეთებინა. პოლიციელები მეუბნებოდნენ, დაურეკე გუბერნატორ ჩოჩელს, ხომ კარგად იცნობ, ის თუ გვეტყვის, რა პრობლემაა, გაგიშვებთო. არაფერი დამიშავებია, რა მქონდა ჩოჩელთან სათხოვარი, უარი ვთქვი ვინმესთან დარეკვაზე. ის ღამე საკანში გამათევინეს, ნარკოლოგიურ ექსპერტიზაზე წამიყვანეს და ვითომ ნარკოტიკის მოხმარება დამიდგინდა. სასამართლომ 500 ლარით დამაჯარიმა, არ გამისაჩივრებია, იურისტებმა მირჩიეს, აზრი არ აქვს გასაჩივრებას, ამათ ხელში სამართალს მაინც ვერ იპოვნიო. ჩემთვის ყველაზე მძიმე გასახსენებელი მაინც 2011 წლის 26 მაისია, იმ ღამეს სიკვდილს ჩავხედე თვალებში. ასეთი სისატიკე, როგორითაც ხალხს უსწორდებოდნენ ნაცზონდერები, არასდროს მინახავს. რუსთაველის გამზირი ყველა მხრიდან ჩაკეტეს, ხალხს უმოწყალოდ ურტყამდნენ ხელკეტებს. კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ წავიქეცი, ხალხის ტალღამ რკინის მოაჯირი გადაანგრია, ამ მოაჯირის ქვეშ მოვყევით მე და ცნობილი მოჭიდავე ლუკა კურტანიძე. ლუკამ მოახერხა მოაჯირის აწევა, რომ გამოვსულიყავით, თორემ გადაგვჯეგავდნენ მარბიელები. ასე რომ, ლუკა კურტანიძემ გადამარჩინა სიკვდილს. კინოთეატრის შენობაში შევცვივდით, მარბიელები იქაც შემოგვყვნენ, აქ უკვე შავფორმიანი რაღაც დაჯგუფება გამოუშვეს, რომელთა სისასტიკემ სპეცრაზმელებიც კი გააოგნა, ძირს დაყრილ, ხელებშეკრულ ხალხს რაღას ერჩით, ნულარ ურტყამთო ეუბნებოდნენ, მაგრამ ესენი ჭკუაზე აღარ იყვნენ, ზომბებივით იქცეოდნენ. სპეცრაზმელები ამათზე ამბობდნენ მიხეილ სააკაშვილის „ლიჩნიკები“ არიან, 30-კაციანი დაჯგუფებაა, მხოლოდ სააკაშვილს ემორჩილებიანო. როგორც დაგეშილი ძაღლები, ისე იწევდნენ ხალხზე, ლამის ორმეტრიანი ხელკეტები ეჭირათ და იმით სცემდნენ ხალხს განურჩევლად, ქალი იყო, მოხუცი თუ ბავშვი. ბევრს გაუტეხეს თავი, მათ შორის, ჩემს მეგობარსაც. ერთი მოხუცი კაცი ეუბნებოდა, აქციის მონაწილე არ ვარ, აქ შემთხვევით მოვხვდი, შვილიშვილს ვეძებო, არც ის დაინდეს, ხელკეტით გაუხეთქეს თავი და სისხლში აბანავეს. ამ შავფორმიანებმა დარბაზიდან გაიყვანეს ქალები, გვეგონა მათ უშვებდნენ, ვიფიქრეთ, რაღაც სინდისი კიდევ შერჩენიათო, შენობიდან რომ გავყავდით, მერე გავიგეთ ქალები ტუალეტებში ჰყავდათ შეყრილი, ისეთი წივილ-კივილი იყო, გახსენება აღარ მინდა, ნურაფერს მკითხავთ. კი ამბობენ, ამ დარბევის დროს ორი კაცი დაიღუპაო, მაგრამ მსხვერპლი გაცილებით მეტი მგონია.

აი, ამ ნაძირალებს უნდათ ხელისუფლებაში დაბრუნება, ქართველი ხალხი ამას არ მოითმენს. ჩემსავით გამწარებული უამრავი ადამიანია, რომლებიც არ დაუშვებენ, რომ ის სისხლიანი რეჟიმი უკან დაბრუნდეს და უარესი სასაკლაო მოგვიწყონ. ყველას მოვუწოდებ, 28 ნოემბერს მივიდეთ არჩევნებზე და მხარი დავუჭიროთ სალომე ზურაბიშვილს, დღეს ეს არის მთავარი, მერე სამართლიანობაც აღდგება, ყველაფერი დალაგდება და ხალხსაც ეშველება.

გიორგი თევზაძე (უფლებადაცველი): „თუ არჩევნების მეორე ტურში სახელისუფლებო კანდიდატმა გაიმარჯვა, ეს იქნება მოსახლეობის მხრიდან ავანსად გაცემული ნდობა. ამიტომ პოლიტიკოსები ნუ ჩაიკეტებიან საკუთარ ნაჭუჭში, გამოვიდნენ ილუზიებიდან. ხელისუფლება საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრ, ვაზის ქვეყაანაში „მარიხუანასა“ და სხვა ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკების კულტივაცია-ექსპორტზე, როგორც შემოსავლების სერიოზულ წყაროზე არ უნდა საუბრობდეს. ეს ყველაფერი უდიდეს საფრთხეს უქმნის ჩვენს გენოფონდს, მომავალ თაობებს, ამიტომ ბუნებრივია, მოსახლეობა ამ ინიციატივას დადებითად არ შეხვდებოდა. მისასალმებელია, რომ ხელისუფლებამ ბოლოს და ბოლოს გაითვალისწინა ჩვენი ბრძენი პატრიარქის რჩევა და გაიწვია ეს პროექტი. მაინც და მაინც მოსახლეობას მკვეთრად უარყოფითი პოზიცია უნდა დაეფიქსირებინა არჩევნების პირველ ტურში და მეორე ტურის დანიშვნის აუცილებლობა უნდა დამდგარიყო, რომ ხელისუფლებას ეს გადაწყვეტილება მიეღო?!“

როგორც ჩანს, ნაციონალების „რჩეულმა“ გრიგოლ ვაშაძემ თავი უკვე პრეზიდენტად დაიგულა და ქვეყნის „დალაგებას“ მიჰყო ხელი. სახელმწიფო თურმე არც თეატრებს უნდა აფინანსებდეს, არც ფეხბურთს. მისი მოგვარე და მარჯვენა ხელი გიორგი ვაშაძე უფრო შორს წავიდა, სახელმწიფომ ონკოლოგიური დაავადების მქონე ავადმყოფები არ უნდა დააფინანსოს, ეს წყალში გადაყრილი ფულიაო. ვაშაძეების ტანდემის „ნოვაციებმა“ დიდი აღშფოთება გამოიწვია ნაციონალებისადმი ისედაც უარყოფითად განწყობილ საზოგადოების უდიდეს ნაწილში.

მსახიობი **თემურ გვალია** გრიგოლ ვაშაძის „ბრძნულ“ მოსაზრებას თეატრებთან დაკავშირებით ასე ეხმაურება: „ეს ენოტთან ნაჯვარი მაჩვი ნახეთ რა დღეშია, 80-იანი წლების შემდეგ ქართულ თეატრში არავის შეუხედიაო. სხვას რომ დასცინი ქართულად ვერ მეტყველებსო, ჯერ ერთი „შეუხედია“ კი არა, „შეუხედავს“. მეორეც, ვინმე ხომ არ გეხუმრა, უკვე პრეზიდენტი ხარო და შემთხვევით ხომ არ დაიჯერე? შე მართლა თანამდებობისთვის შეუფერებელო „კაგებეს“ პრაპორშჩიკო, ჯერ ფეხბურთელებს დაემუქრე, ახლა ქართულ თეატრს, ხვალ ალბათ მომღერლების ჯერი დადგება. ყველას კარგად გვახსოვს როგორი მონდომებით „ახევდი“ ბავშვებს „მოსწავლეთა ახალგაზრდულ სასახლეს“, რომ შენი წეროსთვის თუ გედისთვის „ტბა“ მოგეწყო ფულის გასაკეთებლად, უბრალოდ არ დაგცალდა. მთელი ქართული „თეატრალური საზოგადოების“ საყურადღებოდ, მოუსმინეთ ამ „ბეთხოვენას“ რეების გაკეთებას აპირებს და ისე გააკეთეთ არჩევანი! ეს კანდიდატი დაღუპავს საქართველოს. საქართველოში „მიშა-გრიშას“ დრო წავიდა. არა მიშას! არა ნაციონალურ მოძრაობას და მასში შემავალ ხუთკაციან „პარტია-სამიკიტნოებს“!

ზურაბ ჟიფშიძე (მსახიობი): „გრიგოლი იტყოდა ასეთ რამეს... აბსოლუტურად იდიოტია, რა იცის მაგან. ყოველთვის ასე იყო, სახელმწიფოში არ არსებობს თეატრი, რომელიც სახელმწიფო დოტაციაზე არ არის. თეატრი არის ქვეყნის სიამაყე, ან საერთოდ როგორ შეიძლება ვაშაძემ ილაპარაკოს ხელოვნებაზე. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ერთადერთი ბროდვეის თეატრია, რომელიც თავს თვითონ ინახავს.

ვეტერანი ფეხბურთელი **ლადო ბურდული**: „თავს ვიკავებდი განცხადების გაკეთებისგან, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. ეს რომელი პარტიის „ჩლენია“? თავის ენაზე რომ მივმართო, მართლა „ჩლენია“, ამხელა კაცი ფეხბურთზე ამბობს, არ უნდა დაფინანსდესო. ვინმემ ამ „ჩლენს“ აუხსენით, რომ საქართველოში პროცენტულად რა სპორტსმენებიც ფიქსირდებიან, იმის ნახევარი ფეხბურთით არის დაკავებული და ეს ამ განცხადებით უნდა მოვიდეს ქვეყნის სათავეში? ზუსტად ეს საფეხბურთო სამყაროს ოჯახები და ფეხბურთელები გეყოფით, რომ გადაგახიოთ თავზე ეს არჩევნები“.

ანა მიქაძე (ფერმერი): „ხალხი დარაზმულია, მე არ ვიცი ვის აძლევენ ხმას მეორე ტურში, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ შეშფოთებულები არიან პირველი ტურის შედეგებით, მათაც ჩემსავით არ უნდათ ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნება. მე არ მომწონდა მათი მართვის სტილი. სიამოვნებით გავუწევ პროპაგანდას, რომ ფერმერული მოძრაობის წარმომადგენლები პოლიტიკაში მოვიდნენ, ეს იქნება ხალხის ხმა, მერე ყველა ნახავს ნამდვილ მშრომელ ადამიანებს რა აწუხებთ და ჭირდება თ. „ქართულ ოცნებას“ პიარი არ უვარგა, ამდენი გადამამუშავებელი საწარმო, სათბური, დამუშავებული მიწები ამ ხნის ქალს, არ მახსოვს. თქვე დალოცვილებო, თქვენ თუ არ გინდათ ამდენი გაკეთებული საქმის გაპიარება, მე მჭირდება მოტივაციისთვის. ძალიან მიხარია რაიმე კარგი თუ კეთდება, ასეა ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი. მმართველ პარტიას მოვუწოდებ, კეთილი ინებეთ და გააპიარეთ, რაც ქვეყანაში კარგი ხდება, მიიტანეთ ეს მოსახლეობამდე, რომ ვიღაცებს სათქმელი არ ჰქონდეთ, რომ ამ ხელისუფლების ხელში, თითქოს ქვეყანა თავზე გვენგრევა“.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ტრაკია ადამიანი?

ეს გვერდი მოარიდეთ ბავშვებს და წაკითხვისთანავე დაწვით

როდესაც ვნახე, თუ რა ჩაიდინეს ე.წ. პოლიტიკური გაერთიანება „გირჩის“ წევრებმა (იგივე „ნაციონალებმა“) საოკუპაციო საზღვართან, როგორ ჩაიხადეს შარვლები და რანაირად აჩვენეს თავიანთი უშნო დუნდულები მოშორებით გამაგრებულ რუსებს, უნებლიედ აღმომხდა: ჰაი, დედასაააა... განა ტრაკია ადამიანი?! არა, აქამდეც ბევრი ტრაკი მინახავს საქართველოში, ბევრი ქვემძრომი, ბევრი ვაზელინწასმული, ბევრი შარვალჩახდილი, მაგრამ ეგრე, კაცო, ეგრე სახალხოდ აშვერილნი და თანაც მტრის წინაშე, რომელსაც ხიშტიანი „კალაშნიკოვი“ უჭირავს?! არა-მეთქი, რეალში არ მინახავს! ახლა მკითხავთ, რეალში თუ არა, სხვაგან სად გინახავსო? უცხოური ფილმია ერთი, სათაური აღარ მახსოვს, თუ არ ვცდები, შოტლანდიელმა მეომრებმა უჩვენეს ასე ბრიტანელ მეომრებს, გააღიზიანეს და ისინიც გამოეკიდნენ მშვილდებით. ოღონდ

შოტლანდიელებსა და ე.წ. ქართველებს შორის დიდი სხვაობაა – იქ რეჟისორმა უფრო მკვრივი და ზაგარმიღებული ტრაკები შეარჩია, აქ კი ჩვენ ვიხილეთ თეთრი, გაფუებული და უნიათო დუნდულები. აი, ისეთები, ადამიანს რომ შეგეცოდება და მიფურთხება მოგინდება. ეეეჰ, ამოიოხრეს ამის შემყურე ცოტა ნორმალურმა ქართველებმა და ჩაილაპარაკეს: ჩვენი წინაპრები და ჩვენც ყოველთვის იარაღით ვიბრძოდით, ესენი კი ტრაკებით აპირებენ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასო. პრინციპში, მეტრაკეების დროში რით და რანაირად უნდა დაიბრუნო დაკარგული ტერიტორიები, თუ არა ტრაკით?!

* * *

ჰოდა, იმას ვამბობდი... როდესაც ვნახე ეს დუდულოვიჩები, მაშინვე აღმომხდა: ტრაკია ადამიანი?! ალბათ გახსოვთ, ამაზე ჩემამდე ილია ჭავჭამაძემ იფიქრა, მაგრამ რაკი ის უფრო ზრდილობიანი კაცი გახლდათ, სიტყვა „ტრაკი“ „კაცით“ შეცვალა. მე ბოდიშს ვუხდი მის სულს, პატიებასაც ვთხოვ, უბრალოდ სხვა გზა არ მაქვს, თუ ყველას და ყველაფერს თავისი სახელი არ დავარქვით, ქვეყანა შემოგვეღუპება.

მოკლედ, ჩემო მკითხველო, ჯერ იმაზედ ვიმსჯელოთ, რა როლი აკისრია მეტრაკეობას ქართულ პოლიტიკაში? დამეთანხმებით, ამ სფეროში ეს დარგი დიდად გახლავთ განვითარებული. ჩვენში ბოლო დროს ფეხი მოიკიდა ერთმა ფრთიანმა გამოთქმამ, სადაც დიდი ტკივილია ჩადებული – დღეს მავანი და მავანი იტყვის ხოლმე, როცა შვილები და შვილიშვილები მკითხავენ, შენ სად იყავიო, მე ამაყად ვუპასუხებ, რომ ქვეყნის სადარაჯოზე ვიდექი, ბოროტებას ვებრძოდიო. ბუნებრივია, ცხოვრებაში დადგება დრო, როცა იმ ტრაკაშვერილ ადამიანებსად იგივეს ჰკითხავენ თავიანთი შთამომავლები და როგორ გგონიათ, რას უპასუხებენ? მე უკვე წარმოვიდგინე: ბაბუ, მე საოკუპაციო ხაზთან ვიდექი, სამშობლოს სადარაჯოზე. შეკითხვა: ესე იგი, თოფი გეჭირა, ბაბუ? პასუხი: მდაااა... ისა, არა,

ტრაკით ვიბრძოდი, ბაბუ! შეიძლება პასუხი სულაც სხვანაირი იყოს, შეიძლება ამათ თავიანთი შთამომავლებიც მოატყუონ და დაარწმუნონ, რომ ტანკისტები იყვნენ ომამდე. კაი, ბატონო, მე პირადად შარვალჩახდილების სახეები არ მინახავს, ქუჩაში კი არა, სადმე სუფრაზეც რომ შემხვდნენ ვერ ვიცნობ, მაგრამ ეს უფრო ცუდი არ არის? მე ხომ დღეს ამ უცოდინრობის გამო ყველა ქართველი „ვაჟკაცი“ შარვალჩახდილი მეტრაკე მგონია? ეჭვი, მეგობრებო, ეჭვი უფრო საზიზღარი რამეა, ვიდრე დუნდულებაშვერილთა სახეზე ცნობა. აი, ასევე ცუდ დღეში ჩაცვივდებიან ჩვენი შვილები და შვილიშვილები, ისინიც ხომ ყველა ჩვენგანში შარვალჩახდილ „გმირს“ ხედავენ? ალბათ, გახსოვთ, რა თქვა ილია ჭავჭავაძემ, როცა „ტრაკია ადამიანი?“-ს... უკაცრავად, „კაცია ადამიანი?“-ს წერა დაიწყო, ნუ გეწყინებათ, ჩემო თანამემამულეებო, თუ ლუარსაბში საკუთარ თავებს ამოიცნობთო, მე მხოლოდ „მოყვარეს პირში“ უნდა ვუძრახო და სარკეში ჩაგახედოთო. ჰოდა, ჩემო თანამემამულეებო, მეც მინდა, პირში გიძრახოთ და სარკეში ჩაგახედოთ, მაგრამ საგონებელში მაგდებთ – ვცდილობ, სარკეში საკუთარი თავი

დაგანახოთ, თქვენ კიდევ ამ სარკეს ტრაკს უშვერთ. თუმცა ახლა იმისიც მეშინია, რომ გაიძულოთ და სახით დაგაყენოთ, მაინც ტრაკი არ გამოჩნდეს. სხვათა შორის, ჯორჯ ორუელს აქვს ერთი გენიალური რომანი („ცხოველების ფერმა“), სადაც მოთხრობილია, თუ როგორ მოაწყეს ცხოველებმა, თხებმა, ცხვრებმა, ვირებმა, ღორებმა და ასევე ფრინველებმა ფერმაში რევოლუცია, როგორ ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება და როგორ გააძევეს ფერმის პატრონი. ფინალი ასეთია: იყურებიან სარკეში ღორები და საკუთარ თავებს ვეღარ სცნობენ... ანუ ჩვენს დღევანდელობას თუ შევადარებთ, სარკეში ხედავდნენ მხოლოდ ტრაკებს.

ზურაბ ჯაფარიძე, იგივე „ჯაფარა“, იგივე „ნაციონალი“, რომელმაც თავის თანამოაზრეებს შარვლები ჩახადა, გახლავთ თანამადროვე ლუარსაბ თათქარიძე, საქმე რომ არაფერი აქვს და მუდმივად ყვერებს იფხანს. კაი, ბატონო, ამან მოიფიქრა, ამას თავში წაუღიტინეს, შენ, ვითომ ქართველო კაცო, რა ბნედა დაგცემია, რომ ამას აკეთებ? თან როგორი ყაზილარები შეურჩევია, ორმეტრიანები, ქუჩაში რომ გაივლიან და იტყვი, თქვენს გამზრდელებს ვენაცვალეო. სინამდვილეში კი რა ხდება? ფუი, თქვენს კაცობას და ვაი თქვენს მოდგმას, განა თქვენ ხართ დავით აღმაშენებლის შთამომავლები? არა, არ ხართ, ვერ ხართ!

„ჯაფარა“ გახლდათ პრეზიდენტობის კანდიდატი, კენჭს იყრიდა პირველ ტურში და ხმების გარკვეული რაოდენობაც აკრიფა, ზოგიერთ ე.წ. პოლიტიკოსს აჯობა. მოდით, ვიფანტაზიოროთ და წარმოვიდგინოთ, რომ ის გამხდარიყო საქართველოს პრეზიდენტი, როგორ დაიბრუნებდა დაკარგულ ტერიტორიებს, როგორ დაელაპარაკებოდა ოკუპანტებს? როგორ და მივიდოდა ე.წ. საზღვართან, ჩაიხდიდა შარვალს, გადმოყრიდა გაყვითლებულ დუნდულებს და ოკუპანტებს აჩვენებდა შუა თითს. დიახ, ის თავის მიმდევრებსაც დააყენებდა ასეთივე პოზაში და ეს იქნებოდა უპრეცედენტო ომი რუსეთის წინააღმდეგ. მე თუ მკითხავთ, 2008 წლის აგვისტოს ომიც დაახლოებით მსგავსი იყო, უბრალოდ „ნაცმთავრობის“ სარდლებმა შარვლების ჩახდა ვეღარ მოასწრეს. თუმცა ვეღარ მოასწრეს რა, რა რეზოლუციაზეც ხელი მოაწერეს ევროსაბჭოში, შარვლის ჩახდაზე უარესია, რაც მიხო სააკაშვილმა ჩაიდინა გორში თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე, მაგას შარვლის ჩახდა სჯობდა. დიახ-მეთქი, ჰალსტუხის ღეჭვას და წითელი ხიდისკენ გაქცევას ნამდვილად სჯობდა შარვლის ჩახდა!

უკაცრავად, დღეს ვინ გველაპარაკება ჩვენ გმირობაზე, პატრიოტობასა და სინდის-ნამუსზე? ის, ვისაც არც ერთი გააჩნია, არც მეორე და არც მესამე. რა, მიხო სააკაშვილი არ არის პირწავარდნილი ლუარსაბ თათქარიძე? ილია ჭავჭავაძე ცოცხალი რომ ყოფილიყო და მიხოს ჭამისა თუ ცხოვრების სტილი ენახა, ვის დახატავდა ლუარსაბის ნაცვლად? ვის და მიხოს, გაქსუებულ თემურ ალასანიას დის შვილს. ეს ის ნაძირალა თემური გახლავთ, რომელსაც ქართველი ხალხის თავზე დაჯმა სურს. სამწუხაროდ, საქართველოში აღმოჩნდნენ აპრაკუნე ჭიმჭიმელები, რომებიც ყაბულს არიან, მოგვაფურთხეთ, დაგვაფსით და უფრო მეტიც გვიქენით, ბატონო, ეს ჩვენთვის ჟუჟუნა წვიმააო.

დასკვნა: დღეს საქართველოში ბევრი ტრაკია, რომელსაც გარეგნულად ადამიანის ფორმა აქვს, ფრთხილად!

გელა ზედელაშვილი

რატომ გაუღო „ნაცმოძრაობამ“ მისთვის ვითომდა საძულველ რუსეთს და მის ეკონომიკას ასე ფართოდ კარები?

„დღეს, განსხვავებით სამი თვის წინანდელიდან, რუსეთის საზოგადოებრივი აზრი მკვეთრად პოზიტიურად განეწყო საქართველოს მიმართ. მე ეს ვერ წარმომედგინა რომ შეიძლება ასე სწრაფად მომხდარიყო. დღეს საქართველოს ხსენებაზე, რუსეთში უკვე აღარ არის ის უარყოფითი, რომელიც იყო და რომელმაც ძალიან დაგვაზარალა თავის დროზე. დღეს აღარ არის მოდაში, თუნდაც ყველაზე ნაციონალისტი პოლიტიკოსების მხრიდან, საქართველოს ლანძღვა და ამით პოლიტიკური ქულების დაწერა, იმიტომ, რომ ამას აზრი არა აქვს. და თავის დროზე ასეთმა რიტორიკამ საქართველოში, ათ-

ჯერ და ასჯერ დაგვაზარალა და სერიოზულად მოგვითხარა ძირი აფხაზეთშიც და საქართველოს სხვა რეგიონებში. ამიტომ სერიოზული, პარტნიორული ურთიერთობის წარმოება რუსეთთან, მე მიმაჩნია ჩემს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად და ამ მხრივ ჩვენ, უახლოეს პერიოდში, იმედია, მივიღებთ სავიზო რეჟიმის გამარტივების გადაწყვეტილებას, რაც მნიშვნელოვანია. შეიძლება მთლიანად შეცვლა, მთლიანად გაუქმება, სწორი არც იყოს, მაგრამ გამარტივება სრულიად აუცილებელია. ჩვენ მივიღებთ ახალი ეკონომიკური პრეფერენციების მიღების გარანტიებს რუსეთიდან, ყოველშემთხვევაში, ამაზე ვლაპარაკობთ. მნიშვნელოვანია, რომ სხვა ნაბიჯები გადმოდგა რუსეთმა ჩვენთან შესახვედრად და ჩვენც უნდა გვესმოდეს, რომ ეს არის მხოლოდ ჩვენთვის სასარგებლო, ჩვენს წინაშე მდგომი, ასევე შიდა ამოცანების აუხლოეს მომავალში გადასაწყვეტად, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ფაქტორი“, – ამ სიტყვების ავტორი არის მიხეილ სააკაშვილი და ეს მან პარლამენტში განაცხადა, ეგრედ წოდებული ვარდების რევოლუციიდან რამდენიმე თვეში. ამის შემდეგ იყო – პუტინს პატიოსანი კაცის თვალები აქვს.

იმ დროინდელი ხელისუფლება ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ბევრს მუშაობდა, რათა ქვეყანაში გაზრდილიყო უცხოური ინვესტიციების შემოსვლა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიც არის ელექტროენერგია, წყალმომარაგება, მადნეული, მინერალური წყლები, განხორციელებული ინვესტიციების დიდი წილი რუსულ კომპანიებზე მოდის. 2015 წლის მდგომარეობით, კომპანია „ინტერ რაო“, რომლის აქციონერები რუსული სახელმწიფო კომპანიები არიან, ფლობენ საქართველოს ენერგოსადისტრობუციო კომპანია „თელასს“, თბოსადგურ „მტკვარი ენერგეტიკას“, ჰესებს „ხრამჰესი 1“, „ხრამჰესი 2“. „ინტერ რაოს“ მართვაში აქვს გადაცემული ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგური „ენგურჰესი“. რუსეთის მოქალაქე ფლობს შპს „ენერგიასაც“, რომელსაც ეკუთვნის დარიალი ჰესი, ლარსი ჰესი, შილდა ჰესი. რუსეთის მოქალაქეების საკუთრებაშია ავანიჰესი, ალგეთი ჰესი, სკურდიდი ჰესი. ქართული და რუსული მხარე ერთობლივად ფლობენ „საქრუსენერგოსაც“, რომელიც ქვეყანაში ელექტროენერგიის გადამცემ სისტემას განკარგავს. რუსეთის მოქალაქეების საკუთრებაშია ჟინვალჰესი, რუსეთის მოქალაქეების საკუთრებაშია ნავთობ კომპანიები „ლუკოილი“, „გალფი“, „ფოთის ნავთობტერმინალი“, ძვირფასი ლითონების მომპოვებელი კომპანიები RMG Gold და RMG Copper, აგრეთვე მინერალური წყლების მწარმოებელი „ბორჯომი“, მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავლების მწარმოებელი სს “ელმავალმშენებელი”, „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „ბილაინი“ და ბევრი სხვა კომპანიები. აღსანიშნავია რომ, იმ ფონზე, როდესაც საქართველოში პრობლემები ექმნებათ ირანისა და ინდოეთის მოქალაქეობის მქონე ბიზნესმენებს, შეუფერხებლად საქმიანობენ ის რუსული კომპანიები, რომლებსაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა სანქციები დაუწესა – მათ შორისაა „ლუკოილი“, „ვითიბი ბანკი“ და „როსნეფტი“, რომელიც ოფშორული კომპანიების საშუალებით ფლობს ფოთის ნავთობტერმინალებს და ბენზინგასამართი სადგურების ქსელს. სანქციები რუსეთის წინააღმდეგ ბოლო ათწლეულში რამდენიმეჯერ გააფართოვეს ევროკავშირმა და აშშ-მ, მიზეზი კი უკრაინის აღმოსავლეთში რუსეთის მიერ უკრაინელი ამბოხებულების მხარდაჭერა და კონფლიქტის ესკალაცია გახდა. ყველაზე ფართომასშტაბიანი სანქციების შესახებ აშშ-მ და ევროკავშირმა 2014 წლის სექტემბერში გამოაცხადეს. სანქციების მიხედვით, ამერიკულ და ევროპულ კომპანიებს აეკრძალათ სანქცირებულ რუსულ კომპანიებთან თანამშრომლობა, მათთვის ნავთობის მომპოვებელი და ნავთობსაბადოების საკვლევი ტექნოლოგიების მიწოდება, ასევე, გრძელვადიანი სესხების მიცემა და ა.შ. სანქციები, ძირითადად, შეეხო ენერგეტიკის, ნავთობისა და საბანკო სექტორებს. სანქცირებულთა შორის აღმოჩნდნენ რუსეთის უმსხვილესი ბანკები, მათ შორის VTB ბანკი, აგრეთვე, უმსხვილესი ნავთობკომპანია „როსნეფტი“ და „ლუკოილი“. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჰქონდა საერთაშორისო სანქციებისთვის მიერთების პრაქტიკა, რუსეთის შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება ხელისუფლებამ ვერ მიიღო.

საქართველოში დაფუძნებული კომპანიების, ნუსხა რომლებსაც რუსეთის მოქალაქეები ფლობენ საკმაოდ ვრცელია, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „ნაცხელისუფლება“ თან რუსეთს ლანძღავდა და არასასურველ ხალხს რუსეთის აგენტს უწოდებდა, თან სარფიანად ყიდდა სტატეგიულ ობიექტებს „მოსისხლე მტერ სახელმწიფოს“ მოქალაქეებს. 2015 წლის მონაცემებით, „ინტერ რაო“ -ს საკუთრებაშია „თელასის“ აქციათა 75%, დაახლოებით 25%-ს კი ქართული სახელმწიფო ფლობს. 2011 წელს გაფორმებული ახალი მემორანდუმით, “ინტერ რაო” ხრამზე სამი ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ვალდებულებას იღებდა, რისთვისაც 193 მილიონი დოლარის ინვესტირება უნდა განეხორციელებინა. ამ პროექტით ახალი ჰესებით 85100 მეგავატი ენერგიის გამომუშავება იყო დაგეგმილი. IDFI-მ გამოიკვლია, რომ „ხრამჰესის“ გაყიდვიდან მიღებული თანხა (99774000 ლარი) ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის აშენებას მოხმარდა. 2008 წლის დეკემბერში, რუსეთ – საქართველოს ომის დასრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ „ინტერ რაოსთან“ კიდევ ერთი მემორანდუმი გააფორმა, რაც „ენგურჰესის“ ერთობლივ მართვას გულისხმობდა. „ენგურჰესი“ უდიდესი ჰიდროელექტროსადგურია კავკასიაში, რომელიც მდინარე ენგურთან მდებარეობს. მასში შედის ვარდნილჰესების კასკადიც. მისი ჯამური სიმძლავრე 1300 მგვტ-ია. ენგურჰესის კაშხალი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზეა, ხოლო ელექტროსადგური ადმინისტრაციული საზღვრის აფხაზურ მხარეს მდებარეობს. „ინტერ რაოსა“ და საქართველოს შორის დადებული მემორანდუმის შესახებ ქართულმა მხარემ პირველი კომენტარი ხელმოწერიდან ორი კვირის შემდეგ გააკეთა. 2009 წლის 12 იანვარს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა მედიას განუცხადა, რომ ენგურჰესის მართვა რუსული და ქართული მხარეების მიერ ერთობლივად განხორციელდება. „ინტერ რაოს“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ხელმოწერილი მემორანდუმის მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ ენგურჰესის „ეფექტიანად ექსპლუატაციის“ მიზნით შეიმუშავონ ათ წელზე არანაკლები ხანგრძლივობის პროგრამა. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, რუსულ კომპანიასთან დადებული მემორანდუმი არ გასაჯაროებულა. უცნობი დარჩა რეალურად რას ითვალისწინებდა მხარეებს შორის შეთანხმება. რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური ეკუთვნის შპს „ენერგიას“, რომელიც 2010 წელს საქართველოში დაფუძნდა. მისი 70 პროცენტი რუსეთის მოქალაქე მევლუდ ბლიაძეს ეკუთვნის, 30 პროცენტი კი შპს „ფერის“ მფლობელობაშია. შპს „ენერგია“ სს „დარიალი ენერჯის“ აქციონერია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მევლუდ ბლიაძის ინვესტიცია 2011 წელს რუსეთიდან განხორციელებულ ყველაზე მსხვილ ინვესტიციებს შორის მოხვდა. მევლუდ ბლიაძე საქართველოში დაიბადა. მოგვიანებით რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად. 1992 წელს კი რუსული სააქციო საზოგადოება „პილონის“ ხელმძღვანელობა დაიწყო. დღეს ის კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა. „პილონი“ სანკტ პეტერბურგში ხიდების, გზების რეკონსტრუქციასა და შეკეთებას უზრუნველყოფს და ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა ამ მიმართულებით. 2012 წელს ამ კომპანიის მიერ განხორციელებული მორიგი პროექტის გახსნას თავად პრემიერ მინისტრი დიმიტრი მედვედევი ესწრებოდა. მევლუდ ბლიაძეს მინიჭებული აქვს „რუსეთის დამსახურებული მშენებლის“ წოდება. წყალმომარაგების სექტორში რუსეთის მოქალაქეების მიერ დაფუძნებული კომპანიის გამოჩენა საქართველოში 2008 წლის მაისიდან იწყება.

(გაგრძელება იქნება)

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

შესანიშნავი სამეული კგბ-დან

ჩვენს დედა-სამშობლოს, საქართველოს, არასოდეს მოკლებია შინაური თუ გარეული მტერი, ჭილყვავი მრავლად ეხვია მუდამჟამს ჩვენს ქვეყანას, გაჭირვების დროს თუ დალხენილი ცხოვრებისას. ყველა აშკარა მტერი, ვითომ მოყვარე, რომელიც ძმობას გვეფიცებოდა და ზურგსუკან მახეს გვიგებდა, ცდილობდნენ საქართველოსთვის ევნოთ. სამწუხაროდ, ასეა დღესაც. 2012 წლის არჩევნების შემდეგ საქართველოს მოსახლეობამ შვებით ამოისუნთქა. გვეგონა, საბოლოოდ მოვიცილეთ სახადი, ჭირი, რომელსაც „ნაცმოძრაობა„ ჰქვია. ჩვენდა საუბედურად, პირსისხლიანი, დამნაშავე რეჟიმი არათუ გაქრა საქართველოს პოლიტიკური სივრციდან, იბარტყა! პირსისხლიანი „ნაცმოძრაობის“ ნიადაგზე აღმოცენდნენ „გირჩი“, „ევროპული საქართველო“... მათ დაემატათ პარტიები, რომლებიც ჯერ კიდევ 6 წლის წინ

ნაცრეჟიმის ოპოზიციად გვაჩვენებდნენ თავს „რესპუბლიკელები“, ლეიბორისტები და კიდევ სხვები.

გაყიდული თუ ირპირი პარტიების ფარისევლობა კარგად გამოჩნდა საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგების გამოცხადების შემდეგ. მათ თითქმის ერთხმად განაცხადეს, მეორე ტურში მხარს ნაცების კანდიდატს გრიგოლ ვაშაძეს დავუჭერთო. თავისთავად, ნებისმიერი ადამიანი არჩევნებში თავისუფალია, საკუთარ ხმას ვისაც უნდა, იმას მისცემს. აქ საკითხავია, იმსახურებს კი ნაცრეჟიმის კანდიდატი ხალხის მხარდაჭერას?

საკითხავია, რატომ არ იმსახურებს ნაცრეჟიმის კანდიდატი ქართველი ხალხის ნდობას, დაიკავოს ქვეყანაში მაღალი თანამდებობა. დავიწყოთ იმით, რომ ამხანაგ ვაშაძეს გვარ-სახელის გარდა ქართული არაფერი აქვს. ეროვნულობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. იგი სულით ხორცამდე უცხოელია, სხვა ქვეყნის ინტერესების კბილებით დამცველი. უცხოეთში, კერძოდ, რუსეთში, უმაღლესი განათლება უამრავ ქართველს აქვს მიღებული. უმეტესობა მათგანი საქართველოს სამსახურში ჩამდგარა და ახლაც არის, რასაც ვაშაძეზე ვერ ვიტყვით. აფხაზეთის კონფლიქტის დროს მას თითი თითზე არ დაუკარებია, ერთი სიტყვაც არ დასცდენია საქართველოს მხარდასაჭერად. სამაგიეროდ, პირად კეთილდრეობაზე ზრუნავდა.

დავუშვათ, აფხაზეთის კონფლიქტის პერიოდფში ამხანაგ ვაშაძეს უკვე აღარ ჰქონდა ავტორიტეტი საგარეო საქმეთა სამინისტროში და უშიშროებაში, სადაც მოღვაწეობდა. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, 80-იან წლებში, შვეიცარიის ხელისუფლებამ ათი საბჭოთა დიპლომატი გააძევა ქვეყნიდან შპიონაჟის ბრალდებით. ერთ-ერთი მათგანი სწორედ გრიგოლ ვაშაძე გახლდათ. სავარაუდოდ, პატრონებმა ჩავარდნა არ აპატიეს. თუმცა, მშობლიური რუსეთის დედაქალაქი არ მოუტოვებია. იმედი ჰქონდა, კვლავ გამოადგებოდა სამშობლოს, ანუ რუსეთს. ეს დროც დადგა და კახა ბენდუქიძის მსგავსად, ისიც გამოაგზავნეს საქართველოში, სავარაუდოდ, განსაკუთრებული დავალებით, ანუ ქვეყნის დასაზარალებლად.

რუსეთშია დაბადებული მსახიობი ოლეგ ბასილაშვილი. ქართული არ იცის, სამაგიეროდ, ახსოვს თავისი მამა-პაპის ფუძე. რუსეთში ვარ დაბადებული, არ ვიცი ქართული, განაცხადა ეთ-ერთ ინტერვიუში. თუმცა 2008 წელს, ცხინვალის ამბების შემდეგ სანქტ-პეტერბურგში დარბაზი გაავსო და ღიად, მკაცრად დაგმო რუსეთის აგრესია, ამხანაგი ვაშაძე კი რუსეთის კულტურის სამინისტროს ქართული ანსამბლების კონცერტების გამართვას სთხოვდა.

პირსისხლიანი ნაცრეჟიმის დანაშაულების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუმც ვაშაძისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა და მათ სამსახურში ჩადგა — საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე მისი დანიშვნა რამდენად სამართლიანი და ლოგიკური იყო, ცალკე თემაა. გულის და ხელის კანკალით, თვალცრემლიანმა დათმო რუსული პასპორტი თანამდებობაზე დანიშვნისას. თუმცა აღნიშნა, რუსეთი ჩემში რჩებაო. კარგი, ბატონო, დაინიშნა მინისტრად, მაგრამ რა გააკეთა სასიკეთო? არაფერი! პირიქით, ცდილობდა რუსეთის ინტერესების გატარებას, ანუ დავალების პირნათლად შესრულებას, რასაც კარგადაც აკეთებდა.

დანაშაულები, რომელსაც ფაშისტური რეჟიმი სჩადიოდა, ამხანაგ ვაშაძისთვის მისაღები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ლეგიტიმურიც კი იყო. მას ხმა არ ამოუღია ვეტერან მებრძოლთა აქციაზე მათი დების, მეუღლეების ფიზიკურ შეურაცსყოფაზე. 2011 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე ამაყად იდგა ტრიბუნაზე. ოფიცერმა ვაშაძემ არაფრად ჩააგდო იმ ღამით მშვიდობიანი მიტინგის სასტიკი დარბევა, დაღუპულები, რომლებიც მაღაზიის სახურავზე გადამალეს. ან რა ჰქონდა სათქმელი, მისი გადასახედიდან თურმე ასე იყო საჭირო.

საარჩევნო კამპანია ამხანაგმა ვაშაძემ აგრესიულად რომ დაიწყო, ყველამ კარგად ნახა. კამპანიის წარმოების დასახმარებლად ვაშაძემ მშობლიურ რუსეთს სთხოვა დახმარება, საიდანაც ე.წ. „პიარშიკების“ დესანტი გადმოსხეს, ეგებ მართლა გახდეს ჩვენი კაცი პრეზიდენტიო.

სისხლით და ხორცით რუსეთის მოქალაქე და მადიდებელი ვაშაძე იქამდე მივიდა, საფრანგეთში დაბადებულ და გაზრდილ, სულით და გულით ქართველს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს რუსეთის აგენტობა დააბრალა! ქართული მეტყველება დაუწუნა ოფიცერმა გრიგოლმა, რომელიც არ გამოირჩევა მჭერმეტყველებით. ამასთან, მისმა შვილებმა ქართული საერთოდ არ იციან, ქალბატონი სალომეს საფრანგეთში გაზრდილი შვილები კი მშვენივრად მეტყველებენ ქართულად. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, როდესაც კაგებეშნიკი ვაშაძე რუსეთის აგენტობას აბრალებს საფრანგეთში დაბადებულ ადამიანს, რომელმაც უცხოეთშიც არ დაივიწყა ენა, მამული, სარწმუნოება.

გრიგოლ ვაშაძე იმ პარტიაშია, რომლის დამფუძნებელ-სულის ჩამდგმელები შლეგი საკაშვილი, ბიძამისი თემურ ალასანია, რომელიც არანაკლები სადისტია, ქვეყანას (სამშობლოო, ვერ ვიტყვით, მათთვის უცხოა ეს ცნება), სადაც დაიბადნენ, ქართველ ხალხს დედას აგინებენ. თუმცა, რა, სამივე მათგანი კაგებეს შვილები არიან. მათი მიზანი საქართველოს დანაწევრება ან მთლიანად რუსეთისთვის ჩაბარება გახლავთ. თურმე შლეგი საკაშვილის ავანტუ-

რა ცხინვალში უნდა დავივიწყოთ და არ გავახსენოთ!

აი, ამიტომაც ვუწოდებთ ნაცრეჟიმს და მის სატელიტებს ქვეყნის მტრებს. ამიტომ არ შეიძლება ოფიცერ ვაშაძის არჩევა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტად.

და ბოლოს, ოფიცერ ვაშაძის საქართველოს პრეზიდენტად არჩევა რომ არ შეიძლება, ამის თაობაზე ევროპარლამენტშიც დააფიქსირეს. ევროდეპუტატებს დაუშვებლად მიაჩნიათ საქართველოს პრეზიდენტად საბჭოთა დიპლომატის არჩევა. შესაძლოა, მათ არ იციან, რომ საბჭოთა დიპლომატი კაგებეშნიკი, თანაც ოფიცერია. ან თუ იციან, ისევ ქართველი ხალხი და სახელმწიფო დაინდეს, ბოლომდე არ გაგვწირეს. ანუ პირდაპირ არ გვითხრეს, გამოფხიზლდით, კარგად გაიაზრეთ, ვინ იყრის კენჭს პრეზიდენტობაზეო. ამის გარდა, ნიშანდობლივია, რომ „ევროპული საქართველოს“ რიგებს დასტა-დასტა ტოვებენ მხარდამჭერები იმ მიზეზით, რომ ე.წ. პარტია მხარს ნაცების კანდიდატს უჭერს. ვნახოთ, საბოლოო განაჩენამდე მხოლოდ ერთი კვირაა დარჩენილი.

გია ბურდული
551 71 27 07

®

მკითხველის ფოსტიდან

ნუგზარ ტიბუა

ჩვენი ქვეყანა

ჩვენი ქვეყანა ვითომ თქვენ გიყვართ ჩვენზე ძალიან?
მაშ, რას გვიმტკიცებთ, თავდადებულო გრიშა ძამია?
ერისკაცობის დასტურ ყოველდღე მესიჯს გვიგზავნი,
ვერ დაგვაბოლებთ, გაშიფრულია თქვენი მიზანი.
გიენთა ხროვა დაძრწიხართ და ნადირობთ ხმებზე,
ამდენს რომ ბედავთ, ფარისეველნო, ახია ჩვენზე!
თქვენმა პარტიამ ჭირი მოგვჭამა და არც მსურს, ვახსენო,
ადამიანო, ამათ ჩავუგდოთ კვლავ საჯიჯგნად
ჩვენ საქართველო?!

გრიშა და მიშა

ნახეთ, გრიშა როგორ ბაძავს მიშას „პახოტკით“,
ნაცნი, პრაცნი ძლიერ ამაყობენ თავის „ნახოტკით“...
კაცი-ოტელო, კაცი-პიოტრი, კაცი-ჰამლეტი,
ბოლოს მარცხით დასრულდება გრიშას ბალეტი.

მწარედ ამჟავდა

თქვენ პარტიასთან ერთად დაბერდით,
თქვენი ხრიკები ყველა გამჟღავნდა,
დაპირებები, ბრიყვთათვის ტკბილი,
ბრძენი ერისთვის მწარედ ამჟავდა.

ფარსები

სისხლიანი მანქანით კვლავ დაძრწიან ფარსები,
ასჯერ „გადაკრასკულნი“, ბორტზე სხედან ნაცები.
თითქოს უკვე გაიმარჯვეთ, გაფხორილი დააბიჯებთ,
ის თუ იცით, ამ ქვეყანას როგორ მწარედ ამახინჯებთ?!
გაიხსენეთ წარსული, თქვენი ხროვის მეფობა,
საკუთარი ხალხის მიმართ ჩადენილი მხეცობა!
ათი წელი ჯვარს გვაცვით, ბოლოს ხალხმა გარეკა,
როგორც იქნა, ბუნაგიდან თქვენი ხროვა გარეკა.
ახლა ისევ მოგინდათ სათავეში თარეში,
ისევ ძველი მეთოდებით ნაცარს გვაყრით თვალებში.
ინფიცირება დასრულდა ავადმყოფი ფრაზებით,
გაიგეთ, მიშა კიბოა, თქვენ – მიშას მეტასტაზები!

საერთო ფაფეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ
შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983